

## კრიტიკის ამოხანები

(შენიშვნის სახით).

კრიტიკოსისათვის საჭიროა სამი პირობა: პირველი — გარკვეული მსოფლმხედველობა, როგორც კრიტიკული კვლევისა და შეფასების საზომი; მეორე — შესაფასებელი ობიექტის მეცნიერული ცოდნა, როგორც საშუალება შემოქმედის გაგების, მისი მიღწევისა და ნაკლის გათვალისწინების; მესამე — ზნეობრივი სიწმიდე ე. ი. ლიტერატურული ეთიკა, როგორც გარანტია მიუდგომელი და სწორი გარჩევისა და შეფასების.

დღეს ჩვენში კრიტიკის მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე ოდესმე. ახალი ცხოვრება ახალ მუშაკებს, მწერლებს, პოეტებს, მეცნიერულ ძალებს ჰქმნის. წიგნის ბაზარზე „ცნობილი ავტორიტეტების“ გვერდით ახალგაზრდა მკვლევარნი გამოდიან. ახალგაზრდობას ხშირად ახასიათებს ბოლომდე მოუფიქრებლობა საკითხის, ზედმეტა გატაცება ამა თუ იმ ტენდენციით, დაუხვეწლობა ენის და სხ. და სხ. ყოველივე ეს კი საჭიროებს კრიტიკას, რომელიც უნდა აძლევდეს ახალგაზრდა მწერლებს, მოაზროვნეთ გარკვეულ გზას, მიმართულებას, შეცდომათა აცდენის საშუალებას.

და სწორეთ ასეთ მომენტში, ისტორიის ირონიით, კრიტიკაში გაცილებით მეტი ზერელობა, უმწიფრობა, უპრინციპობა და ცალმხრივობა იქმნება, ვიდრე მწერლობაში.

აიღეთ ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურა. ვინ არის სამეცნიერო შრომების დამფასებელი? სად შეხვდებით სპეციალურ გამოკვლევათა გარჩევას ჩვენს ყოველდღიურ პრესაში თუ სქელტანიან ჟურნალებში? თითქმის არსად. სად იპოვით საზოგადო, სპეციალურ მეცნიერებათა დარგის ნაშრომთა მარქსისტულ-მეცნიერულ კრიტიკას? იშვიათად, მეტად იშვიათად, თუ ვინმე საკითხის მცოდნე, საამისოთ „მოიცილს“. უმთავრესად კი ფრაზეოლოგია სალდება სოციალურ-მატერიალურ მსოფლმხედველობათ, პოლიტცოდნის კურსის შესწავლა საკმაოდ მიიჩნევა დიდი რიხით სოციალურ მეცნიერებათა დარგიდან დაწერილ ნაშრომთა შესაფასებლად.



არც მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების შეფასება, კრიტიკა სდგას თავის სიმალლეზე. აქაც მოხალისეობა, ზერელობა, უპრინციპობა და ლიტერატურული ეთიკის დავიწყება ხშირად აპოგეას აღწევს. რასაკვირველია, ეს ყველას არ შეეხება. ზოგჯერ, ვხვდებით ამა თუ იმ ამხანაგის სერიოზულ კრიტიკას, დამყარებულს მარქსისტულ მეთოდზე, საკითხის ცოდნაზე და ლიტერატურულ ეთიკაზე. მაგრამ საერთოდ კი ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

აიღებთ ოპერის, დრამის, კინოს რეცენზიებს და დაინახავთ ანეკდოტურ უვიცობას, სპეციალური საკითხის სრულ არ ცოდნას, სხვადასხვა „გავლენათა“ სიაშკარავს. ამ დარგშიაც გამონაკლისები, იშვიათი გამონაკლისები, გვაძლევენ ჯანსაღსა და მიუდგომელ შეფასებას.

ამ საერთო მდგომარეობას, კრიტიკის დაცემას, ემატება ჩვენში კრიტიკის კრიტიკის სრული უქონლობა. ჩვენში სრულიად არ ხდება ამ შემფასებელთა შეფასება.

არსებული მდგომარეობა კრიტიკის დარგში იწვევს მკითხველში კრიტიკისადმი ცინიკურ დამოკიდებულებას. მკითხველი კრიტიკოსს, ბიბლიოგრაფს, რეცენზენტს სრულიად აღარ უწევს ანგარიშს. ის მიაჩნია ავტორის პირად ანგარიშის საქმეთ შეფასების ობიექტის ავტორისადმი. დღეს ჩვენს საზოგადოებაში იშვიათად იშოვით ისეთ მოქალაქეს, რომელიც რაიმე მნიშვნელობას აძლევდეს რეცენზიებს და ბიბლიოგრაფიებს. მართლაც, როცა კრიტიკული წერილი მოკლებულია გარკვეულ მეთოდოლოგიურ საფუძველს, კრიტიკის ობიექტის მეცნიერულ ცოდნას და ლიტერატურული ეთიკის ელემენტარ მოთხოვნებს, ის აღარ შეიძლება შეტანილ იქნეს საზოგადოებრივი აზროვნების აქტივში. ის მხოლოდ გაფუჭებული ქალაქი და დახარჯული მელანია და მეტი არაფერი.

რა საერთო მომენტები ახასიათებს ჩვენს კრიტიკას?

კრიტიკის სისუსტე აუქმებს შემოქმედების კონტროლს, გზას უხსნის ავტორების თვითნებობას, შეწყდარ აზრთა გავრცელებას.

კრიტიკის უპრინციპობა, უმეცრება და ცალმხრივობა აყალბებს იმ ჭეშმარიტ მომენტებსაც, რაც მოცემულია ავტორების მიერ. ხელს უშლის აზრის სწორ და ნორმალურ მსჯელობას. აბრკოლებს



სერიოზული და პოზიტიური მუშაობის პროცესს მცოდნე და ნიჭიერ მუშაკთა შორის.

კრიტიკის უკრიტიკო დატოვება აყალბებს კრიტიკის აზრს და აქცევს მას, შემთხვევით, მასალის კრიტიკოსთა მონოპოლიური იარაღად. ეს უკარგავს კრიტიკას მნიშვნელობას, აუქმებს მის როლს როგორც შემოქმედების, ისე საზოგადოებრივი აზროვნების დარგშიაც.

სად არის გამოსავალი? ჩვენ ვფიქრობთ არა მარტო პიროვნულ კრიტიკაში. ქართული პიროვნული კრიტიკა იმ თავითვე იქცა პირადულ კრიტიკათ, პირად ანგარიშების საქმეთ, პირად სიმპატიებისა, და ანტიპატიების ორგანოთ. რუსთაველის პროსპექტი ისე ვიწროა, რომ აქ ხვდება ერთმანეთს ყოველი მწერალი და კრიტიკოსი. აქ არის მტრობა და მეგობრობა, შური და ძმა-ბიჭობა. ეს თვისებები გადადიხს ლიტერატურაშიაც.

ამას რომ ბოლო მოეღოს, საჭიროა ნაშრომზე კოლექტიური კონტროლის შემოღება. თუ წიგნი გამოდის სპეციალური დარგიდან (ეკონომიკა, იურისპრუდენცია, სოციოლოგია, ფიზიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა და სხ. და სხ.) ან შრომათა წინასწარი კონტროლი უნდა ხდებოდეს ჩვენი უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტების საგნობრივ კომისიებში. ამით მოიგებს გამომცემლობა, რადგან აღარ გამოიციემა ისეთი წიგნები, რომლებიც შემდეგ ფუთობით იყიდება. მოიგებს ავტორი, რადგან წიგნს ექნება ნდობა და ის უფრო იშოვის მკითხველს. მოიგებს მკითხველი, რადგან აღარ მიიღებს უმეცრებას მეცნიერებათ.

თუ წიგნი გამოდის ხელოვნების თეორიის დარგიდან (მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, ხუროთმოძღვრება და სხ.) შეიძლება ის წინასწარ შეფასებულ იქნეს. უკეთ კონტროლ ქმნილი იქნეს სათანადო უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტების საგნობრივი კომისიებით (კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია). თუ წიგნი ეხება ლიტერატურას, თეატრს, კინოს და სხ. შეიძლება შემოწმებულ იქნეს მწერლობის საბჭოსა და განათლების კომისარიატის სამხატვრო საბჭოს მიერ.

ცხადია, ეს წინასწარი შემოწმება არ არის კრიტიკა. ეს არის ავტორიტეტულ დაწესებულებათა „მანდატი“ წიგნებზე, რომ ის ატარებს გარკვეულ მეცნიერულ-მხატვრულ ღირებულებას. ეს „მანდატი“ თუ არ წაუხდენს ხალისს მოხალისე კრიტიკოსებს, თუ ისინი უარს აღარ იტყვიან თავიანთ ხელობაზე ყოველ შემთხვევაში რედაქციები აღარ მისცემენ თავს ნებას უმაღლეს



სასწავლებლების ავტორიტეტული ძალების მიერ შემოწმებული წიგნი, შესაფასებლად მიანდონ ყოველ ავტორიტეტ მოკლებულ ადამიანებს. ამ გზით კრიტიკას იკისრებენ და კრიტიკას დაივალენ კომპეტენტური პირები, რომელთა აზრი სასარგებლო იქნება ავტორისათვისაც და საზოგადოებისთვისაც.

მოსაზრება, რომ აღნიშნული წესი წიგნებზე კონტროლისა, გაართულებს გამომცემლობის საქმეს, არ არის სწორი. დღესაც ადგილი აქვს წიგნებზე კონტროლს, მაგრამ ეს ხდება საგამომცემლო დაწესებულებათა კოლეგიების მიერ, სადაც სპეციალისტები ყოველ დარგიდან არ არიან და არც შეიძლება იყვენ. ჩვენი წინადადების გატარების დროს წესი არ იცვლება წიგნების შემოწმების, ხოლო შემოწმება ხდება უფრო კომპეტენტური ორგანოების მიერ.

კრიტიკის საქმე არ თავდება წიგნების შემოწმებით, საჭიროა სათეატრო და კინო კრიტიკის საქმის მოგვარება კრიტიკოსთა ასოციაციის დაარსებით, როგორც მოსკოვშია. ასოციაცია აამაღლებს თეატრალურ და კინო კრიტიკის ხარისხს, გამოაცლის მას პირადულ საფუძველს და შემთხვევით ელემენტების რეცენზენტობის შესაძლებლობას, აამაღლებს რეცენზენტის კვალიფიკაციას.

ამასთან ერთად აუცილებელია კრიტიკის კრიტიკას მიექცეს გენერალური ყურადღება. ვიდრე კრიტიკოსი რაღაც „ფეოდალური იმუნიტეტით“ სარგებლობს, მანამდე ის ყოველთვის იქნება „ფეოდალური“ პირადი კაპრიზების წყარო. კრიტიკის კრიტიკამ, რომ შესძლოს გზის გაკაფვა ურიგო არ იქნებოდა საამისოთ ერთი ლიტერატურული კვირეულის ჩატარებაც. ჩვენ შევდივართ თვითკრიტიკისა და შემოწმების პერიოდში და ამასთან დაკავშირებით საჭიროა ჩვენი საერთო კრიტიკის მტკიცეულ მომენტების მოგვარებაც.

— : —



## როგორ კეთდება ახალი ხელოვნება

(თეორიული გამოკვებისათვის)

ეს წერილი ცდა არის ახალი აზროვნების განვითარების ასახვისა იმავე გზით რომლითაც ის თავისთავად ვითარდება. მე მხოლოდ ხელს ვუწყობ ხელოვნების მიზნობრივ გამორკვევას ახალი ეპოქის მიმართულებით.

ამავე დროს ვუპასუხებ იმ ხალხს, ვინც ვერ გამოერკვა თანამედროვე რთულ და საპასუხისმგებლო მდგომარეობაში და ბურჟუაზიული ხელოვნების სუროგატს ხშირად ახალს უწოდებს.

### პირველი ამბოხება.

მრავალი კამათი და კიდევ მეტი კრიტიკული წერილი დაგროვდა ახალი ხელოვნების გამოსარკვევად. ჩემი მიზანიც ეს არის: თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ ახალი ხელოვნება მხოლოდ უდიდეს სოციალურ გადატეხიდან იწყება, და რადგან ასეთად ოქტომბრის რევოლიუცია უნდა ჩაითვალოს, ამიტომ ახალი ხელოვნების თარიღიც მხოლოდ ამ რევოლიუციიდან იწყება. მაგრამ, ახალი სოციალური წყობის და მსოფლმხედველობის გამოაშკარავებას და გარკვეულ ორგანიზაციულობით ჩამოყალიბებას მუდამ წინ უსწრებს ანარქიული ტეხილები.

თუ ასეთ ტეხილად შეიძლება ჩაითვალოს 1905 წ. რევოლიუცია სოციალურ და ეკონომიურ მიმდინარეობაში, — ხელოვნებასაც აქვს ასეთი წინასწარი ხილვა მომავლის. ერთ-ერთ ასეთ ხილვას ფუტურში წარმოადგენს, და მეც უმთავრესად ამ მიმართულებას შევეხები როგორც უახლოესს ახალი ხელოვნებისა და ეპოქალური გაგებისათვის.

ფუტურისტებმა, პირველად გაილაშქრეს „მთვარის შუქის“, რომანტიზმის, სენტიმენტალობის, ძველი სინტაქსის და ტრადიციის წინააღმდეგ. ამ მიმართულების მიმდევრებმა იგრძნეს ბუნების ბატონობის დასასრული ხელოვნებაში და მანქანური ეპოქის მოახლოება. მათ შეაქვს მანქანის სამყარო — ქალაქი და ქალაქის შემქ-



მნელი მეცნიერება და ტექნიკა. მარინეტი, თავის „გამრავლებულ ადამიანში“ გარკვეულად ამბობს: „თქვენ ადვილად შეგიძლიათ შეამოწმოთ, რომ ეხლა თანდათანობით ადვილად პოულობენ ადამიანებს უბრალო ხალხიდან, რომლებიც მოკლებულნი არიან განათლებას და აღზრდას მაგრამ, ამის მიუხედავად დაჯილდოვებულნი არიან იმით, რასაც მე ვუწოდებ დიდებულ მექანიკურ შთაგონებას ან და ლითონის მგრძობელობას. ეს იმიტომ, რომ მუშებმა უკვე გამოსცადეს მანქანის აღზრდა და რამოდენიმედ შეუსისხლხორცდენ მოტორებს“.

ცხადია, ბურჟუაზია ასეთი ხალხის გამოჩენაში ხედავდა თავის ხელოვნების დასასრულის დაწყებას და იმავე ეპიტეტებით ეგებებოდა მათ, როგორც დღეს ეგებება კომუნისტებს: „ჯიბგირები“ „ავანტიურისტები“ „ხულიგნები“. მაგრამ, ასეთმა შეხვედრამ სიმართლე ვერ დაფარა. დრომ ყველაფერი გამოარკვია და უპირველეს ის, რომ „ფუტურიზმი არის უდიდესი სოციალური გადატეხის რევოლუციონური ხელოვნება. ეს დებულება განსაკუთრებით ნათელი ხდება ჩვენს დროში, მაგრამ ამაზე შემდეგ.

„უზრდელი“ ადამიანი.

რევოლუციონური განწყობილებით უზრდელად შეიჭრა მარინეტი ძველი ეპოქის პასეისტურ გემოვნებაში. მომავლის სახელით ბურჟუაზიული ხელოვნების ყველა ღირებულებანი ააფეთქა. ნანგრევების ქვეშ მოექცა იდილიური ყოფა. სათნოიან მოქალაქეების წუწუნის ნანგრევებიდან მოისმოდა ლანძღვა-გინების კილოზე.

მაგრამ, მომავლის „უზრდელი“ ადამიანი დამარცხდა. დამარცხდა იმიტომ, რომ ის მოვიდა ესთეტიკიდან. გემოვნების და ყოფის წინააღმდეგ აჯანყება ახალ ეპოქას ვერ შექმნის, თუ არ შეიცვალა ან ყოფის და გემოვნების კანონმდებელი ხალხი. ხალხის შეცვლა სოციალურ რევოლუციას ნიშნავს. გემოვნების და ყოფის კარგმა რევოლუციონერმა ეს ვერ იგრძნო და პოლიტიკური რევოლუციონერობა რესტავრაციას დაუკავშირა, ე. ი. იმას რის წინააღმდეგაც იბრძოდა ხელოვნებაში.

ამიტომ იყო ძველი მარინეტის პოლიტიკური ლოზუნგები:

„ომი არის ქვეყნის გიგიენა, გაუმარჯოს ომს“!

„ომი უძლეველი იტალიის გაბატონებისათვის მთელს ქვეყანაზე.“

„ყოველი თავისუფლება მხოლოდ ეროვნულ თავისუფლებისათვის“.



ეს ძველი იმპერიალისტური ლოზუნგები, მარინეტიმ უფრო გაფერა, ააბრჭყვიალა და ამით თავისივე ხელით ასწმინდა პასეისტების თავზე დაყრილი ნანგრევები ძველი ყოფის და გემოვნების.

მარინეტი ეხლა ტაქტილიზმზე სწერს მანიფესტებს. კაპიტალისტურ კომფორტს ადიდება. უდავოა, რომ ის ეხლა უკვე კარგი „ტკბილეულია“ ბურჟუაზიის! და მასვე ბაძავენ ყველა ქვეყნის ფუტურისტები, რომლებიც კლასთა ბრძოლის პრინციპს გვერდს უვლიან. ასეთი ხალხის მოქმედება უთუოდ რეაქციონურია თავისი ბუნებით და აი რატომ:

### მარინეტის სილა

სიცილით მოინელეს პასეისტებმა. ხელოვნებამ ეს იგრძნო მსოფლიო ომის თხრილებში. ხელოვნების გულ-ღია და საუკეთესო მეგობრები თხრილებში დამიწდნენ. ვინც ტყვიას და შიმშილს გამოასწრო, — სამშობლოში დახვდა ესთეტიური რევოლიუციის უაზრობა. სამშობლოში მიხვდნენ, რომ ნაციონალისტობა იმპერიალიზმის სული ყოფილა; მიხვდნენ, რომ გაბატონებული გემოვნებისა და ყოფის წინააღმდეგ რევოლიუცია, სოციალური წყობილებიდან უნდა დაიწყოს. — ხელოვნება მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი ბრძოლის.

ეს იგრძნო ევროპის მემარცხენე ხელოვნებამ და თავისი გამოცემები და მანიფესტები მარინეტის პოლიტიკურ იდეალებს დაუპირისპირა. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. მათი მიმართვა საზოგადოებისა და ჯარებისადმი იმავე აზრით და კილოთია დაწერილი, როგორც იწერებოდა ოქტომბრის პირველი დღეების მოწოდებები.

ქრონოლოგიურად, ევროპის მემარცხენეები, იმავე გეზით მიემართებიან, როგორც რუსეთის მემარცხენე ხელოვნება 15-16-17 წლებში; ამზადებენ სოციალურ რევოლიუციის ნიადაგს, შლიან ძველ ყოფას და გემოვნებას ლიტერატურული ტერორის გზით. ახალის შექმნის ნაცვლად — პოლიტიკური მემარცხენეობისაკენ მოუწოდებენ. ეთანხმებიან მარინეტის იმაში, რომ ომი არის ქვეყნის გიგიენა, მაგრამ გიგიენათ სთვლიან ეროვნებათა შორის ომს-კი არა (იმპერიალიზმი) — კლასთა ბრძოლას. ეს პირველი ცდა არის ძველი ეპოქის დარღვევისათვის და იმავე დროს ამ ეპოქის დამთავრების წინადგრძნობა. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული დაჯერებით მუშაობენ „ზერეალისტები“ „დამოუკიდებელნი“ საფრანგეთში, „ზენიტელები“ ავსტრიაში და „შტურმისტები“ გერმანიაში.



გაუახლებელი ახალი.

ხელოვნების რევოლუციას არაფერი აქვს საერთო სოციალურ წყობილებასთან!

სოციალურ წყობილებას და მხატვრულ შემოქმედებას არა აკავშირებს რა!

ეს არის რწმენა და ძახილი იმ ხალხის, ვინც ხელოვნების სიკვდილზე ყვირის. ყოველ ხელოვანს-კი უნდა ესმოდეს, რომ ეპოქის შეცვლა არ ნიშნავს ეპოქის კულტურულ ან პოლიტიკურ თანდათანობითი გარდაქმნას გაბატონებულ კლასის მეთაურობით. ევოლუციონური „ეპოქები“ ყოველ ეპოქაში მრავლათ არის. მისი რიცხვი დამოკიდებულია ამ ეპოქაში მომქმედ ხალხების ტემპერამენტზე, ცოდნაზე და პოტენციაზე.

ჩვენი დროის ახალი ეპოქის დაწყება ასეთი ევოლუცია არ არის მომავალი ეპოქისა. პირიქით: დამთავრებული ძველი მსოფლმხედველობა ისპობა ამ მსოფლმხედველობის მატარებელ ხალხებთან ერთად და იქმნება ახალი შეგრძნობა სამყაროსი, ახალი ხალხით და ახალი მიზნებით.

ცხადია, რომ ამ დროს ხელოვნება უშუალოდ უნდა გამომდინარეობდეს ახალ საზოგადოებრივ წყობილებიდან და ამ წყობილების მიზნებიდან.

ახალ ხელოვნებაზე საუბარი იმას ნიშნავს, რომ ახალი ხელოვნება დამოკიდებულია და შექმნილი ახალი ცხოვრების მსოფლმხედველობიდან. ახალი ნიშნავს პირველ გაჩენას და საერთო არა აქვს რა განახლებასთან.

„რა“ „როგორ“ „რად“

გაჩენა გულისხმობს სიცოცხლის დაწყებას და ხელოვნებაში მთავარი ის არის, რომ მოინახოს ძირი ამ ახალი ცხოვრების მსოფლმხედველობის აუცილებლობისა. თუ როგორ ისახება ხელოვნება ახალ ეპოქაში და როგორ უნდა გარდაქმნას ხელოვნებამ ახალი ეპოქის ცხოვრება მხატვრულ ფაქტად, — ამაზე მოგვიხდება შეჩერება რადგან ახალი ხელოვნების უახლოესი მიზანია ეს საკითხები ნათლად გაარკვიოს.

ეს მით უფრო აუცილებელია, რადგან ახალ ხელოვნებას არ შეუძლია განვითარება თუ არა აქვს გამორკვეული მიზნობრივი გამართლება.

ახალმა ცხოვრებამ ხელოვნების ორ ტრადიციულ კითხვას „რას“ და „როგორს“ შემატა კიდევ ერთი კითხვა: „რად“. ახალმა ხელოვნ-



ნებამ უპირველეს ამ კითხვაზე უნდა უპასუხოს. ძველი ხელოვნება ამ კითხვას ვერ უძლებს, რადგან მისი ანარქიული და უორგანიზაციო საწყისი არ გამომდინარეობს შემოქმედების მიზნობრივობიდან.

ახალი ეპოქის რკალში მოქცეული ძველი ხელოვნების შემოქმედი იმ გლახსა ჰგავს, რომელიც პირველად მოხვდა დიდ ქალაქში და ყოველ ნაბიჯზე ეფეთება, რადგან არ იცის მიზნობრივი და ორგანიზაციული მოძრაობა საგნების და ადამიანების. პირიქით ეჩვენება: ჰგონია, რომ დიდი არეულობა და უწყესრიგობაა. მისთვის სოფლის ყრილობა უფრო მწყობრია ვიდრე გეომეტრიულად განზომილი ქალაქის მოძრაობა. ამ გლახის მდგომარეობაშია ძველი ეპოქის ხელოვანი. იმისათვის გაუგებარია, თუ ახალი რითი სჯობია ძველს.

რადგან ახალ ხელოვნებისაგან გაცემული პასუხი (მიზნობრიობა) არ არის ორგანიულად დაკავშირებული ძველი ხელოვანის ბუნებასთან, ამიტომ არსებითად არ ესმის ეს პასუხი მას და დაჯერებით ყვირის „ხელოვნება კვდება“.

### ხელოვნება კვდება.

როდესაც ნაცნობი კვდება პირველი კითხვა არის: „რითი კვდება“? თუ ასე შევეკითხებით იმ ხალხს, პასუხიდან დავასკვნით, რომ ხელოვნება კი არა კვდება, კვდება ის ხალხი ვინც ხელოვნებას უკავშირებს დამთავრებულ სახელმწიფოებრივ წყობილებას, — ყოფას და გემოვნებას. ისინი ვერ გრძნობენ, რომ ხელოვნებაში დღეს ერთდროულად იცვლება როგორც ფორმა აგრეთვე შინაარსი და ამ ცვლილებას სიკვდილად სთვლიან. ასეთი „კრიზისი“ მუდამ ჩნდება ეპოქის შეცვლის დროს. ჩვენი დრო ასეთ ცვლაშია მოქცეული. ახალი ხელოვანის მთავარი მიზანია მოუწახოს მომავალ ეპოქას მხატვრული გამართლება. ეს გამართლება უნდა შენდებოდეს ახალი ეპოქის იდეოლოგიით ახალი ხელოვანი ამას შესძლებს მხოლოდ მაშინ, თუ დამთავრებულ ეპოქის ღირებულებებს შეითვისებს და მოახდენს მათ გადაფასებას ახალი ეპოქის მხატვრული მეთოდებით.

### ეპოქის სამკუთხედი.

ეპოქის დამთავრება ნიშნავს ამ ეპოქის აზრის აღმოჩენას. ეპოქის აზრი მაშინ არის გასაგები, როდესაც ყოველგვარი შესაძლებლობანი ამოწურულია და დაგროვილ ფაქტებიდან გამორკვეულია როგორც ღირებულება აგრეთვე მიზნები ამ ღირებულებისა.



ღირებულების გამორკვევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ამა თუ იმ ეპოქის ყოველი დარგის პოტენციის გაშლა ბიოლოგიური წონასწორობით მიმდინარეობს. მდინარეობის საზღვრები გარკვეულ სამკუთხედშია მოქცეული. სამკუთხედის დაშლა ან შევსება ხდება მრავალი საუკუნოების განმავლობაში. ხელოვნებაში ამ სამკუთხედს ჰქვია: იდეოლოგია, ყოფა და გემოვნება.

ძველი ეპოქის გარკვეული პოლიტიკური მიმდინარეობა, გარკვეული ყოფა და გარკვეული გემოვნება, ახალი ხელოვანისათვის მკვდარ მასალას წარმოადგენს; რადგან შეუძლებელია ძველი ეპოქის იდეოლოგიით, ყოფით და გემოვნებით ახალი მხატვრული ფაქტის გაკეთება.

ახალი შემოქმედება იდეოლოგიიდან იწყება. აქ არის მთავარი სიძნელე გაუგებრობის, რადგან ძველი ეპოქის ხელოვანისათვის ახალი იდეოლოგია არ არსებობს, მას ეს იდეოლოგია არ ესმის და ამიტომ ვერც ახალ ეპოქას გრძნობს. ახალი ეპოქის ხელოვანს (უკეთ პოლიტიკოსს) სასაცილოდ ეჩვენება ძველი ეპოქიდან გადმოსული აზროვნება. ასე გაგრძელდება მანამდის სანამ ძველი ხელოვანი არ შეიგნებს ახალ იდეოლოგიას და ამავე დროს ახალი იდეოლოგიით გამართული ხელოვანი არ გადავა ახალი ეპოქის ყოფის და გემოვნების დამუშავებაზე. უამისოდ ახალ შემოქმედებას არ ექნება მხატვრული ღირებულება. მაგრამ, ახალი ეპოქა განყენებულად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ. ყოველ წუთში მოქმედობს ყოფა, რომელიც იჭმნება გარკვეული იდეოლოგიით და გემოვნებით.

### ცოცხალი ლეზი.

ძველი ყოფის და გემოვნების შემომქმედი, ახალ სახელმწიფოებრიობაში რომ მოქმედობს ისეთ ნაწარმოებს ქმნის, რომელიც მიუღებელია ახალი ეპოქისათვის. მიუღებელია იმიტომ, რომ ასეთ ხელოვანს არა აქვს ათვისებული ახალი იდეოლოგია. ძველი ყოფა და გემოვნება ისევ ღირებულებას წარმოადგენს მისთვის და ამ ღირებულების საზომით ქმნის სრულიად, სხვა ყოფისა და გემოვნების ხალხისათვის. აქ არის მწარე მდგომარეობა ძველი ეპოქიდან გადმოსულ ხელოვანისა. ასეთი ხელოვანი ცოცხალ ლეზად რჩება შემოქმედებაში. მისთვის იჭრება მეორედ შობის საკითხი. ამას ახერხებს მხოლოდ დიდი ნიჭის და ამტანობის ხელოვანი. სხვები წინააღმდეგობის შემდეგ ისპობიან და სამარეში მიაქვთ „ყოველ მხრივ საზიზღარი ეპოქის“ წყევლა.



## პიღევე ლეზი

ის არის ვინც ძველ გემოვნებას და ყოფას აუჯანყდა და ახალი ეპოქის იდეოლოგია-კი ვერ აითვისა. ახალ ეპოქაში ასეთი ხალხის მდგომარეობა უფრო რთულია რადგან მათ უხდება თავისთავთან ბრძოლა, რაც დიდ დროს მოითხოვს.

სოციალური ომების ბარიკადებზე, სიკვდილიც და გამარჯვებაც აღვილია. იქ წუთიერ გმირობაზე არის დამყარებული ინტელექტის მოქმედება. ხელოვნების ბარიკადები-კი ხანგრძლივ ბრძოლას მოითხოვენ. რამდენად აღვილია ამ ასპარეზზე სიკვდილი, იმდენად ძნელია გამარჯვება. ეს გასაგები უნდა იყოს, რადგან ხელოვნება ერთ გარკვეულ ყალიბში არ არის მოქცეული, მუდამ იქმნება და ხელოვნის მუდმივ გარდაქმნას მოითხოვს.

ვინც თავიდანვე აუჯანყდა ძველი ეპოქის ყოფას და გემოვნებას იმან ახალი ეპოქის დაწყებისთანავე იგრძნო, რომ მარტო ყოფით და გემოვნებით არ მთავრდება ხელოვნების რევოლუცია. მთავარია იდეოლოგიური მთლიანობა. მაგრამ, ძნელი აღმოჩნდა ბურჟუაზიული იდეოლოგიით აღზრდილ ხელოვნისათვის (მიუხედავად მისი მეამბოხეობისა) ორგანიზაციული მთლიანობა პროლეტარული სახელმწიფოსი. ასეთ რკალში არის მოქცეული მეამბოხე ხელოვანთა ის ნაწილი, რომელმაც ახალი ეპოქის იდეოლოგია ვერ გაიგო ან ვერ იგრძნო თავისი ბუნების მხატვრულ ნაწილად.

## მითის ტყვეობაში.

ახალი ეპოქისათვის იდეოლოგიურად მიუღებელმა მეამბოხეთა წრემ ხალხურ მხატვრულ აზროვნებაში დაინახა სიახლე. ვერ მიხვდნენ, რომ ხალხური შემოქმედება თავისთავად ნიშნავს ძველი ეპოქის ყოველ მხრივ განმეორებას. ხალხის აზროვნება (ამ შემთხვევაში გლეხობის) ე. ი. გემოვნება, ყოფა და იდეოლოგია, მთლიანად ანარქიულ ბუნებიდან მომდინარეობს და არაფერი საერთო აქვს მატერიალისტურად გამართულ ფიზიკის ფენომენთან. (ახალი ეპოქის საწყისი). ხალხოსნური შემოქმედების მიბაძვა ცუდი გამეორება იყო და არის ძველ ეპოქაში მომქმედ ხელოვნებისა. ამ რიგად უიდეოლოგიო მეამბოხენი ხელოვნების ბურჟუაზიულ ეპოქის ჩვეულებრივ „ბუნტარობას“ ვერ გასცდენ. გადარჩა და გამართლდა ის ვინც ძველი ყოფისა და გემოვნების დაშლის შემდეგ პროლეტარიატი დაინახა და ის იგრძნო როგორც ახალი მსოფლმხედველობის მატარებელი სოციალური კლასი. სდგება საკითხი: რითი არის ძველი ბურჟუაზიული ხელოვნება და რატომ არ შეიძლება ამ ხელოვნების ფორ-



მით და შინაარსით განვითარდეს ახალი ეპოქის მხატვრული შემოქმედება? აქვს რაიმე კავშირი ხელოვნების მასალის დალაგებას მსოფლმხედველობასთან თუ არა?

ბუნება, ადამიანი, ნივთი.

თუ ეპოქის განვითარება სამკუთხედში მიმდინარეობს, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ, და ამ სამკუთხედის მასალას წარმოადგენს ბუნება, ადამიანი და ნივთი, — ცხადია, რომ თვით განვითარებაც ფსიქოლოგიურად დამოკიდებული უნდა იყოს მასალის დალაგებაზე და მის ეპოქალურად გაგებულ ათვისებაზე. ძველი ეპოქის სამკუთხედის მასალა ასე ლაგდება: ბუნება, ადამიანი და ნივთი. პირველი ადგილი უჭირავს ბუნებას. ძველი მსოფლმხედველობით ბუნება არის: უსაზღვრო, შეუცნობელი და მიუწვდომელი. ბუნების ყოველი მოვლენა — მისტიური. ბუნებიდან აღებული მხატვრული სახე გამომსახველია მისტიური და სიმბოლიური არსებობის. ბუნება ათვისებულია როგორც ღვთაება და ბუნების ყოველი მოვლენა ღვთაებრივ მოვლენათ არის განსახიერებული. ხელოვანის მიერ მოცემული აზრი ან სიტყვა ბუნების უსაზღვროებიდან ან შეუცნობლობიდან წარმოსდგება. სამყაროს ასეთი შეგრძნობა შემოქმედებაში გაგებულია როგორც ბუნების მეტაფიზიკური რაობის გამარჯვება ადამიანის გონიერებაზე.

მეორე პირი სამკუთხედისა არის ადამიანი. იგი — როგორც შედეგი შეუცნობელის და მიუწვდომელის (ბუნება) თვითონაც შეუცნობელი და მიუწვდომელი რჩება. აქ ისახება პიროვნების განდიდება (ინდივიდუალიზმი) ზოგჯერ გაღმერთებაც-კი (ბუნების მსგავსად). ადამიანი გაგებულია ანარქიული სულის განსახიერებად. ყოველი მისი მოძრაობა, ამ სულის შედეგად არის წარმოდგენილი და არა კანონდებულ ნივთობრივ გარემოს შედეგად.

მესამე და უმნიშვნელო პირი სამკუთხედისა არის ნივთი. ძველი მსოფლმხედველობით ნივთი გაგებულია როგორც მკვდარი მოვლენა. რადგანაც მკვდარს არ შეუძლია ცოცხლის ნება განსაზღვროს ან გარდაქმნას, ამიტომ ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულებაში, ნივთი მხოლოდ სამკაულის როლს ასრულებს. სამკაული ხშირად საჭირო არ არის და ძველი ხელოვნების შემოქმედებაში იშვიათად ვხედავთ ნივთს.

ნივთის მკვდარ მოვლენათ ათვისება აძლიერებს ადამიანის უსაგნო მგრძნობელობას და აბსტრაქტულ სულიერ განცდებს. რომანტიზმის ძირი აქ ისახება. მისტიციზმამდე, არც ერთ მდგომარეობაში, ხე-



ლოვანისათვის შემაჩერებელი გზა აღარ არსებობს. ამ რიგად, ძველი ეპოქის მსოფლმხედველობა, როგორც მოკლებული ცოცხალ ნივთობრივ სამყაროს, მთლიანად ემყარება ძალადობას (ბუნების სტიქია), სულის სიძლიერეს (ანარქ. ინდივიდუალიზმი), და უორგანიზაციო კომფორტს (მკვდარ ნივთებს).

ასეთი მსოფლმხედველობა უდევს საფუძვლად ძველი ეპოქის ხელოვნებას; ცხადია, რომ ამ საფუძველზე ახალი ხელოვნების გაშლა შეუძლებელია.

**მანძილი, დრო და „ერის“ სული.**

ძველი ეპოქის იდეოლოგია, როგორც დამოკიდებული ბუნების მოვლენებზე მტკიცედ მოითხოვს მანძილის განსაზღვრას. მანძილის საზღვარი ნიშნავს მრავალ ტერიტორიალურ ერთეულებს. საზღვარდებული ერთეულები აკანონებენ გარკვეულ დროს, მათში არსებულ მანძილის დასაძლევად.

მანძილისა და დროს შეგნებიდან იქმნება ყოფა. ტერიტორიალურ ერთეულებში მოქცეულ ადამიანებს, ამ ერთეულების მიხედვით, უმუშავდებათ თავისებური ხასიათი, ეგრედ წოდებული „ერის სული“ რაც ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთ ტერიტორიალურ ერთეულზე დამუშავებულ გემოვნებას ნიშნავს, იბრძვის ინდივიდუალურ ყოფისათვის. გადასული ეპოქის იდეოლოგიაც, ცხადია, რომ ეროვნულ სახელმწიფოებრივობაზე ემყარება. ასეთი წყობილება არის უდიდესი სოციალური მიღწევა იმ მსოფლმხედველობის, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია ბუნებაზე და რომელსაც სოფლის ფენომენი ეწოდება. ამ ფენომენის შემდეგი სოციალური განვითარებიდან იწყება სტატიურ ფორმაში გადასვლა, ეროვნული ეკონომიის შივნით. უმოძრაო მდგომარეობას ცხოვრების საერთო მიმდინარეობა არ იღებს და დამთავრებულ ეპოქის ადგილს იჭერს ახალი ეპოქა, და ეს ახალი ეპოქა არის ქალაქის ფენომენის დაწყება.

**მიზანი**

ის არის რომ ადამიანმა დაიჭიროს ბუნების ადგილი. შეუცნობელი და ღვთაებრივი დაუქვემდებაროს გონიერებას, ამ სურვილთან არის დაკავშირებული ტექნიკის განვითარება. ადამიანმა თავისი მოხერხებით უთუოდ უნდა აჯობოს სტიქიურად მომქმედ ბუნებას. სუსტმა და მეოცნებე „ნაცარქექიამ“ თავისი მოხერხებით, ჭკუით, უნდა დაამარცხოს ზვიადი და ცხრა თავიანი, მაგრამ უთავო მღევი.



ეს არის მიზანი ახალი ადამიანის დაუსრულებელი ძიებისა და ახალი ეპოქა მხოლოდ ორგანიზაციული დაწყებაა ამ მიზნისაკენ.

არის გამოჩენისი „მიწასთან დაბრუნების“ სახით, მაგრამ, „მიწასთან დაბრუნება“ მაჩვენებელია სიბერის, სიკვდილის და ძველი ეპოქის თანდითანობითი მოსპობაც ამ სიბერის შედეგია. ამიტომ, ახალ ხელოვნებას ვერ გაიგებს ის ვინც მანქანურ ეპოქაში გადასული ეპოქის ხერხემალით შემოდის. მიწასთან დაბრუნების ფილოსოფია გამეორებაა რაინდულ რომანტიზმის, მეტაფიზიკის და ბუნების მისტიურ მსოფლმხედველობისა და არაფერი საერთო აქვს ქალაქის ფენომენთან. ამ რიგათ ძველი ეპოქის ხელოვნება როგორც ფორმით ისე შინაარსით დასრულებულია და ახალ ეპოქაში მისი განვითარება არც მოხერხდება. ისევ ახალი შეკითხვა მეორდება: მაშ როგორი ფორმით და შინაარსით უნდა გაკეთდეს ახალი ეპოქის შემოქმედება?

ნივთი, ადამიანი, ბუნება.

ძველ ეპოქაში შემოქმედების ფონი იყო მისტიური თვისების ბუნება, ადამიანი — ბრმად მავალი ამ ფონზე და ნივთი — მკვდარი გამოსახულება ბუნების.

ახალი ეპოქის სამკუთხედი-კი წინააღმდეგი მიმართულებით იძლევა სამყაროს შეგრძნობას. შემოქმედება იშლება ნივთობრივ სამყაროში; ადამიანი ამ ნივთობრივ სამყაროს ფონზე მოქმედობს ნათელი გონებით და მიზნობრივი ორგანიზაციულობით. ნივთ გამოცლილი ბუნება გადაქცეულია მკვდარ მოვლენათ და ახალ ეპოქაში ისეთივე უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, როგორც ძველ ეპოქაში ეჭირა ნივთს, როდესაც ნივთი წარმოდგენილი იყო მკვდარ მოვლენათ.

ასეთი დალაგებით იცვლება სამყაროს შეგნებაც. თუ რატომ იწყება ახალი ეპოქის შემოქმედება ნივთიდან — გასაგებია, რადგან ნივთი არის ცოცხალი და ხელშესახები მოვლენა ამ ახალი მსოფლმხედველობით. იგი მთლიანად გამომდინარეობს და დამოკიდებულია ადამიანის ხუთ გრძნობაზე. ექვემდებარება საღ, მატერიალისტურ აზროვნებას. ნივთის ნაწილაკები ორგანიზაციული კონსტრუქციით არიან დაკავშირებულნი და წინასწარ მიზნობრივად განზომილნი.

ნივთისათვის, უტილიტარული გაგებითაც-კი, არ არსებობს დრო, სივრცე და ტერიტორიალური ერთეულები. ნივთის ძალა არ შეიძლება მოექცეს ადამიანის საღი გონების კონტროლის მიღმა. ამით; მეტაფიზიკური ხედვა სამყაროსი ახალ ეპოქაში, თავიდანვე



მოხსნილია. ნივთობრივ ეპოქაში მითის შექმნა შეუძლებელია, (მითი, როგორც საწყისი სოფლის ფენომენის) იგი მუდამ ფიზიკად რჩება (ფიზიკა, როგორც საწყისი ქალაქის ფენომენის წინააღმდეგ სოფლისურისა).

ამიტომ, ახალი ეპოქა ქალაქიდან იწყება და ამ გაჩენას დღეს უთუოდ უნდა მეთაურობდეს პროლეტარიატი, როგორც უფრო ახლო მდგომი ნივთობრივ სამყაროსთან. ეს ახალი ადამიანი, — მეორე პირი ახალი ეპოქის სამკუთხედისა, ნივთის თვისებებით შენდება. ტრადიციით და ზოოლოგიით გადმოცემული ბუნება მის არსებაში, ნივთის განვითარებასთან და შეგრძნობასთან ერთად, თანდითანობით ისპობა. ანარქიული სული ადგილს უთმობს ორგანიზაციულ და მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, მისი ინდივიდუალური შეგნება, მიზნობრივად აღმოცენებულ კოლექტივში ხელდავს თავის განვითარების შესაძლებლობას. კოლექტიური შეგნებისათვის, დრო სივრცე და ტერიტორიალური ერთეულები, მხოლოდ, ფიზიკურად არსებობენ და ამ კოსმიურ მასალიდან ახალი ადამიანი ქმნის მანქანას.

ის შემცდარი აზრი, რომელიც ახალი ეპოქის დასაწყისში გავრცელდა, — თითქოს ადამიანი უნდა იყოს მანქანის ერთ-ერთი ვინტი, — არ არის მართალი. ადამიანი, როგორც შემქმნელი, უფრო მაღლა დგას შემონაქმედზე. მანქანა მთლიანად უნდა ემორჩილებოდეს ადამიანის კოლექტიურ ნებას. სხვანაირად გაგებული მანქანური სამყარო, ძველი ეპოქის მეტაფიზიკური აზროვნების შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ნივთი, როგორც ბუნების მატერიალური სახე, ჰკლავს ბუნების ყველა არა მატერიალურ გამომჟღავნებას. ახალი ეპოქის ადამიანის შეგნებისათვის ნივთი გამოცლილი ბუნება, უკვე მკვდარ მოვლენათ იქცევა. ახალი ხელოვანის შემოქმედებისათვის ასეთი ბუნება, მხოლოდ, სამკაულია ისეთივე როგორც ნივთი იყო ძველი ეპოქის შემოქმედებისათვის.

ახალი ეპოქა, და მასთანავე ხელოვნების განვითარებაც ასეთ ხივთობრივ საწყისზე შენდება. ასეთი განვითარება ბუნების ფიზიკურად გამომჟღავნებაზე ემყარება და მოითხოვს ახალი ადამიანიდან ყოველმხრივ დისციპლინას და ორგანიზაციულობას. ეს არის ძირითადი და უმთავრესი თვისება ახალი ეპოქის და ამ ეპოქის ყოფისა და გემოვნების განვითარება, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სოციალური რევოლუცია თავის, იდეოლოგიურად გარკვეულ, ფორმებში ყალიბდება.



შემდეგ იწყება კულტურული რევოლუცია ახალი ადამიანის შესაქმნელად. და მე მგონია, დღეს კულტურული რევოლუცია ახალი ხელოვანის ხელში უნდა იყოს სილა (ისევე, როგორც სამოქალაქო ომი) ძველი ხელოვანისათვის, რომელსაც კიდევ სწამს ხელოვნების ღვთაებრივობა. მან უთუოდ უნდა შეიგნოს მატერიალისტური მსოფლმხედველობა და ახალი ეპოქის სოციალურ საზოგადოებრიობის მოთხოვნილებებს დაუქვემდებაროს ხელოვნება, ან, უნდა მოისპოს.

იწყება ახალი ეპოქა. ისეთი ეპოქა რომლის მსგავსი ჯერ ხალხთა ისტორიაში არ ყოფილა. ახალი ხელოვანის შემოქმედება პირველი მხატვრული ფუძეა მომავალი საუკუნოების. თუ დაწყება არ იქნება სალი, — ვერავითარი ნაძალადევი დაჯერება ახალ ეპოქას ვერ შეგვაგნებინებს.

### ჟალბი რწმენა

დღეს ძალაშია. ხელოვნების ფაქტს ან ძველი ეპოქის ადამიანი ქმნის, ან ახალ ეპოქაში დაბადებული. პირველ შემთხვევაში ხელოვანი დაჯერებულია, რომ მისი გემოვნება, ყოფის გაგება და საერთოდ მსოფლმხედველობა გარდუვალ და უცვლელ კანონებზეა დაშვებული. მისი აზრით, ის რაც ახალ ეპოქას მოაქვს, გარდამავალია, ამიტომ ზერელეთაც შეიძლება მისი ათვისება, ფიქრობს ის, მაგრამ ავიწყდება, რომ ამ ათვისებაში გამორჩენილია მთავარი, — ხელოვნებას არ გრძნობს როგორც სოციალურ წყობილების ზედნაშენს. აქედან იწყება გაუგებრობა და ამ გაუგებრობას ძირი ყალბ რწმენაში აქვს. ეს არის რწმენა, ძველი მსოფლმხედველობის უკვდავებისა. ამის გამო ძველი ხელოვანი საკუთარ თავის გარდაქმნაზე არ მუშაობს მასზე უმაღლეს ვიდრე შემოქმედებას შეუდგებოდეს. ახალი იდეოლოგიის გაგება-კი, ამ გარდაქმნის გარეშე შეუძლებელია.

იმავე დროს, „უიდეოლოგო“ შემოქმედება საუკეთესო იდეოლოგიაა სოფლური ფენომენის განვითარებისათვის. ასე მოქმედობს ძველი ხელოვანი და ჰქმნის ახალი ეპოქისათვის სრულიად მიუღებელ ხელოვნურ ფაქტებს. როდესაც პროლეტარიატის გემოვნება, შეგნება და საერთოდ მსოფლმხედველობა ასეთ ფაქტებს ღირებულებათ არ სცნობს ის ყვირის: „არ ესმით“ „უკულტუროები“.

მეორე მხრივ, ახალი ეპოქის ხელოვანი, თუმცა იდეოლოგიურად მყარ ნიადაგზე სდგას, მაგრამ ეს არ კმარა ახალი ხელოვნების შესაქმნელად. ხელოვნებაში გემოვნების და ყოფის ათვისების საკითხი მხოლოდ სოციალური წყობით არ განიზომება. იდეოლოგიურად განმტკიცების შემდგომ, კიდევ დიდი შრომა და ინტელექტუალური



ნიჭი არის საჭირო, რომ გახდეს ხელოვანი და მით უმეტეს ახალი ეპოქის. ამიტომ არის, რომ იდეოლოგიურად მტკიცე და თანამედროვე ადამიანი, ხელოვნებაში, ზოგჯერ, მერყევი და ძველი მსოფლმხედველობის გამომტანია. ასეთი ხელოვანის ყოველი გადასვლა შემოქმედებაში, აგიტაციით თავდება, ან ძველი ეპოქის შემონაქმედთა მიბადვით.

ამასთანავე სოციალური ბრძოლებით და ახალი იდეოლოგიით განმტკიცება კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ მებრძოლს თუ მოისურვებს ყოველთვის შეუძლია გახდეს კარგი, ან საერთოდ ხელოვანი, ახალი იდეოლოგიიდან გამოსვლა, მე მგონია, პირველი რკალის გარღვევაა ხელოვნებაში გადასასვლელად. ხელოვნად გახდომისათვის საჭიროა ორი უფრო ძნელი რკალის გარღვევა: — ყოფის მხატვრული თვალით დანახვა და ნახულის ან ნაგრძობის მხატვრული გემოვნებით და ცოდნით დამუშავება. ორივე შემთხვევაში, ახალი ეპოქა, ხელოვანისაგან მოითხოვს უპირველესად პიროვნულ მხატვრულ კულტურას. უამისოდ შეუძლებელია ცხოვრების მიმავალ ფორმებისა და მომავლის იდეალების შორის წარმოებული ბრძოლის მხატვრულად ასახვა. ახალმა ხელოვანმა, დღეს, უმთავრესად ეს აწმყო უნდა ასახოს, რადგან აქედან უნდა დაიწყოს ახალი კულტურის ღირებულებათა დაგროვება.

თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს ღირებულების კეთების პროცესი ახალ ეპოქაში, ეს უმთავრესად იდეოლოგიური კუთხიდან განვმარტე. ამის გამართლებას იმაში ვხედავ, რომ, მე მგონია, — ჯერ იდეოლოგიურად უნდა დამუშავდეს ახალი ხელოვანი და შემდეგ შეიძლება მის შემოქმედებაზე საუბარი.

ეს წერილი წარმოადგენს დასახულ მიზნის მხოლოდ, პირველ თავს. და ვფიქრობ, რომ, თუმცა ზოგადი დებულებით, მაგრამ მაინც გარკვეულად არის ნათქვამი ის, თუ ამ ახალ ეპოქის დაწყების დროს, როგორ უნდა კეთდებოდეს ახალი ხელოვნება.

— : —



## დავით კაკაბაძის გამოფენის გამო

მე ისეთი შთაბეჭდილება მომეცა დავით კაკაბაძის გამოფენაზე, რომ აქ უნდა იყოს შემოქმედებითი ნათესაობა საფრანგეთის თანამედროვე მხატვრობასთან, რომელსაც ახასიათებს „წმინდა ესთეტიზმი“: აქ უნდა იყოს ნათესაური დამოკიდებულება იმ ჯგუფთან, რომელსაც წარმოადგენენ ახლანდელ საფრანგეთში მატისი, ვანდონგენის, რაულ დიუფის. აქ არის დღევანდელი სახეშეცვლილი, წმინდა ესთეტიურ ჩარჩოებში შესული კუბიზმიც.

აქ სჩანს სხვადასხვაობა მხატვრული მიმდინარეობების. — ეს სამართლიანათ შენიშნა საჯარო კამათზე ვახტანგ კოტეტიშვილმა. მაგრამ ამ სხვაობას შემოვლელი აქვს ერთი არშია, და ეს არის, როგორც ზემოთ ვთქვით „წმინდა ესთეტიზმი“, ეს არის ჩვენი ძველი ნაცნობი სილამაზე სილამაზისათვის, ხელოვნება ხელოვნებისათვის.

მატისის, ვანდონგენის, რაულ დიუფის, ესთეტიური კუბიზმის ხელოვნებაში საბჭოთა პრესა ხედავს დაღლილობას, რომელიც სულიერ მემკვიდრეობათ დაუტოვა ევროპას მსოფლიო ომმა. \*) თანამედროვე მხატვარი აღარ ეძებს ბრძოლის გზებს საზოგადოებრივი იდეალებისკენ, ის ეძებს მხოლოდ მოსასვენებელ სავარძელს. მისი მიზანი აღარ არის სინამდვილის შემეცნება, გარდაქმნა, მისი მიზანია ცქერა, დატკბობა. ის ცდილობს რაც შეიძლება ლამაზ ფერებში გამოისახოს ეს სინამდვილე და უყუროს, დასტკბეს. ამ მიმართულების სიახლეში გამოიყურება ის სიძველე, რომელიც გვაგონებს ერთ ადგილს რაბიდრ. ტაგორიდან. მოხუცი დედაკაცი ეუბნება ნორჩ ქალიშვილს: ალბათ რომელიმე წინ არსებობაში შენ ჩემი დედა იყავი, რომ ასეთ ნათესაურ სიახლოვეს ვგრძნობთ ერთმანეთთანო.

იმ თანამედროვე ესთეტიზმს, რომელსაც ნათესაურათ უახლოვდება ჩვენი პატივცემული დავ. კაკაბაძე, უთუოდ აქვს წინარსებობა (предсуществование) წარსულ დროებში, თითოეულ იმ ხანაში, რომელიც მოჰყვებოდა ხოლმე ამა თუ იმ ისტორიულ გადატრიალებას. გუშინდელი მებრძოლი კლასი ამისთანა ხანაში უცვლელად ურყევ-

\*) „Печать и революция“, იანვარი. 1928 წ.



ლად იჩნევდა მიღწეულ სინამდვილეს, ბრძოლის ასპარეზიდან მიი-  
სწრაფოდა „სავარძლისკენ“, უკვე დატკბობა სინამდვილით და არა  
მისი გარდაქმნა.

ამ „სავარძლიდან“ მიმზიდველი ძალა ეკარგებოდა მილოსის ვე-  
ნერას, აქ ხელოვნებას ეძლეოდა მხოლოდ ის „სოციალური შეკვეთა“,  
რომ გაელამაზებია და შეეფერადებინა ვიწროთ შემოფარგლული ყო-  
ველდღიური ცხოვრება. ეს „სავარძელი“ ჯერ მიუწდომელი იყო პა-  
ტარა, გაჭირვებული, წელში მოღუნული კაცისთვის. ის წელში იმარ-  
თებოდა მილოსის ვენერას შეხედვაზე. ხელოვნება ამ პატარა კაცს  
სულს უდგამდა, ბრძოლის ხალისს აძლევდა, ახალი ჰორიზონტების-  
კენ იწვევდა.

სწორეთ ამას მოითხოვს ხელოვნებისგან მებრძოლი კლასი ახლან-  
დელი დროის. ის არ შესულა ჯერ იმ ხანაში, როცა შეიძლება იფიქ-  
როს თავისი ყოველდღიური ცხოვრების შელამაზებაზე. ის ჯერ კიდევ  
ვერ მოიცლის იმისთვის, რომ კარგად მორთულ ოთახში შემოალაგოს  
ლამაზი საბურჭალოები (безделушки) და მიეცეს გრძნებითი სია-  
მოვნებას. წინსვლის, მოუსვენარი ძიების ხალისი სჭირდება თანამე-  
დროვეობის მებრძოლ კლასს და ამისთვის ეწაფება ის ხელოვნებას.  
ბრძოლის პირობები დღეს გართულებულია უფრო, ვიდრე ყოფილა  
ოდესმე. ევროპის ბურჟუაზიამაც კარგად იცის, რომ ვერ აცდება შე-  
ჯახებებს. მის წინაპარს მიაჩნდა ურყევლათ ის სინამდვილე, რომ-  
ლისთვისაც იბრძოდა ბურჟუაზიულ რევოლიუციამდის. დღეს კი ეს  
მისი ჩამომავლობა გრძნობს, რომ შემცდარი იყო წინაპარი. დღევან-  
დელი ბურჟუაზია თავს იფარავს აუცილებელი შეჯახებისგან, თავს-  
ფარს ეძებს ხელოვნებაში. წმინდა ესთეტიზმი ერთ-ერთი საშუალო-  
ბაა თავდავიწყების, და ამას ეტანება, თუმცა გრძნობს, რომ რა და  
რანაირი ფერების შეზავებაც არ უნდა ჩამოიფარო თვალწინ, სინამ-  
დვილე მაინც თავისას იზამს, სავარძელში არ დაგაყენებს, ლამაზ სა-  
ბურჭალოებს შემოგიფანტავს.

მაგრამ ჩვენ სულაც არ გვინდა დავ. კაკაბაძეზე სავსებით გადა-  
ვიტანოთ ის, რაც ითქმის თანამედროვე ბურჟუაზიულ ხელოვნებაზე.  
არ ვამბობთ, რომ — წმინდა ესთეტიზმის სალაროდან ყველაფერი  
უვარგისია და მიუღებელი. დავ. კაკაბაძე არის დიდი ნიჭი, დიდი მხა-  
ტვრული გაქანება. საქმე იმაშია მხოლოდ, რომ რაღაც საზღვარზე  
აქვს შეჩერებული თავისი ენერგია. ის არ გასცილდა ჯერ სამხატვრო  
საშუალებებს, თითქო ჯერ ვერ გამოურკვევია რა მიზნისთვის მოიხმა-  
როს ეს საშუალებები. თითქო აგროვებს ძვირფას ნედლეულობას და



ჯერ ვერ მიწდომია იმ წარმოების პროცესს, სადაც ამ ნედლეულობიდან უნდა გამოვიდეს კულტურული ღირებულების საქონელი.

ერთი სიტყვით მდიდარ საშუალებას არ ახლავს მიზანი, დიდ გაქანებას არ უჩანს გზა. ეს არის ტრაგედია მხატვრის. ტრაგედიაა დავით კაკაბაძისთვის ის რაც ბურჟუაზიისთვის მოასწავებს თავდავიწყებას და მოსვენებას... ბურჟუაზიისათვის წმინდა ესთეტიზმი არ არის საშუალება, უკვე მიზანია, არ არის გაქანება გზების ძიება. ძალიან ცუდი სამსახური გაეწევა დავ. კაკაბაძეს, თუ მისი მძლავრი შემოქმედება მოხმარდა ჩვენი ოთახების მორთვას, ჩვენი კედლების მოარშიაგებას, ჩვენი ავეჯეულობის შეფერადებას. ამით შეიძლება წერტილი დაესვას იმის მხატვრულ გაქანებას, შეიძლება ისეც მოსვენებული დაჯდეს მატისის „სავარძელში“, საძიებელი აღარა ექნას რა, და შემოქმედების ტრაგედიაც გაუთავდეს. მაგრამ ეს იქნება უკვე გათავება მისი ხელოვნების, ეს იქნება სიბერე ახალგაზრდობაში და ნაადრევი სიკვდილი. ჩვენ გვირჩევენია, დ. კაკაბაძეს ვხედავდეთ ფართო ძიების გზაზე. გვირჩევენია განიცდიდეს ძიების ტრაგედიას, როგორც მხატვარი ემილ ზოლასი („Творчество“-ს), — ის ეძებდა ახალ ჯერ კიდევ შეუქმნელ სახეს და იტანჯებოდა მიზნის მიუღწევლობით. ჩვენ გვჯერა, რომ თუ იქ ტანჯვა გათავდა სიკვდილით, აქ, დავ. კაკაბაძის შემოქმედებაში ტანჯვას მოჰყვება სასიცოცხლო ძალების განახლება, მოცემა იმისი, რაც სჭირდება მეზობელ კაცობრიობას და ბრძოლის ხალისს. სამხატვრო ტექნიკაში დავ. კაკაბაძე მიბმულია დასავლეთის ბურჟუაზიულ კულტურასთან, ტექნიკის მომართვაში და გამოყენებაში ის უნდა გახდეს დამოუკიდებელი.

„წმინდა“ ხელოვნებას ემართება ხოლმე ის, რაც ლ. ტოლსტოის ლიზას („Война и мир“). ეს ახალგაზრდა ქალი ვინ იცის, რას არ ეტანებოდა, რა ოცნებით არ საზრდოობდა და ბოლოს ისე მიეკედლა სინამდვილეს, რომ თავისი თითო ბავშვის გამოსახვევ ტილოზე ხედავდა ბედნიერების ნიშნებს...

„წმინდა“ ესთეტიზმი შფოთავს, დასცურავს თვალმიუწვდენელ სივრცეებში და ათავებს იმით, რომ ეკვრება სკამს, თეფშს, პერანგს, ერთი სიტყვით იღებს უაღრესათ უტილიტარულ ხასიათს. დავ. კაკაბაძის მხატვრობაც საჯარო კამათზე სამხატვრო აკადემიაში მიიყვანეს უტილიტარიზმის უკანასკნელ საზღვართან, თუმცა კამათში გამოჩნდა დიდი აზრთა სხვადასხვაობა.

ჩვენ ვფიქრობთ, რა თქმა უნდა, რომ ესთეტიკა არ უნდა დასცილდეს ცხოვრებას, გვინდა, რომ მშვენიერება არ იყოს ილიუზია, რომ ის შევიდეს სინამდვილეში და თითოეული წუთი ადამიანის ცხოვ-



რების იქნეს ლამაზი. ეს პრობლემა, თუ არ ვცდები, ქართულ ხელოვნებაში პირველად დააყენა „ცისფერი ყანწების“ ჯგუფმა. მისი გაგრძელებაა ამ ხაზზე ე. წ. კონსტრუქტივისტების ჯგუფი. საერთო და ჩვენთვის მიუღებელი ამ ჯგუფების იდეოლოგიაში ისაა, რომ სუბიექტიური იდეალიზმია გამოსავალი წერტილი ერთის და მეორესაც. ჩვენ ვფიქრობთ, არ კმარა პიროვნული მონდომება, არ კმარა ოთახებში ლამაზი ავეჯეულების დადგმა, კედლებზე ფერადი შპალიერის გაკვრა, რომ სილამაზე შევიდეს საერთოთ ადამიანის ცხოვრებაში. ამისთვის საჭიროა საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნა, აქ კი კაცობრიობას კიდევ შორი გზა აქვს გასავლელი და ამ გზას ვერ აცდება ჯერ ხელოვნებაც. სილამაზე პიროვნებაში, ოთახში, კედელზე, ერთი სიტყვით ყოველდღიურობაში, ეს იქნება შედეგი საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნის. ბურჟუაზიას უნდა, რომ წმინდა ესთეტიზმით სახლკარი შემოიფარგლოს და თვალყური აარიდოს იმ უკულმართობას, გაჭირვებას, რომელსაც ადგილი აქვს მის სახლკარს იქით. ჩვენ ამისთვის არ გვინდა ხელოვნება.

— : —



## თანამედროვე ფილოსოფია ევროპაში

(ზოგადი მიმოხილვა).

თანამედროვე ევროპის ფილოსოფიურ მიმართულებათა დიდი ნაწილი განსაზღვრულია მე-XIX საუკ. ფილოსოფიით და კერძოდ გერმანული იდეალიზმის ეპოქით. ფილოსოფიური აზრის ინტენსივობა და სიღრმე, დაწყებული კანტით, ძლიერდება ფიხტეს და შელინგის სისტემებში და მთავრდება ჰეგელის გრანდიოზული იდეალისტური სისტემით. ჰეგელის სიკვდილით (1831 წ.) მისი სკოლა დაიშალა რამოდენიმე მიმართულებათ. იდეალისტურ სისტემის ხანამ განვლო. იწყება სპეციალ მეცნიერებათა აღორძინება და განვითარება. პოზიტიურ მეცნიერებათა განვითარებასთან ერთად იწყება მატერიალისტური ფილოსოფიის ხელ-ახალი წარმოშობა; ორი გზით გამოდის ფილოსოფიურ და მეცნიერულ ასპარეზზე ფილოსოფიური მატერიალიზმი: ერთის მხრით, შეიარაღებული წარსული ფილოსოფიური იდეალიზმის დადებითი შედეგებით, და უპირველესად ყოვლისა, მისი მთავარი აღმოჩენით: — დიალექტიკური მეთოდით — :დიალექტიკური მატერიალიზმი; მეორეს მხრით მხოლოდ ნატურალისტურ-ბიოლოგიური მატერიალიზმი ბიუხნერის, მოლეშოტის და სხვ. სახით.

60 — 70 წლებში, ჰეგელის „ბატონობის და მონობის“ („Herrschaft und Knechtschaft“) მსგავსად, „მეცნიერებათა ბატონი“ ფილოსოფია თვით იქცევა მონად, ხოლო მონა — სპეციალი მეცნიერება, შრომის პროცესში, სინამდვილესთან უშუალო კავშირში, ამ სინამდვილის საგნების დამუშავებისას, თავის „ცნობიერებასაც“ გადაამუშავებს, და ამ ახალი ცნობიერებით ბატონად იქცევა. ფილოსოფია პოზიტიურ მეცნიერებებს დაემონა. ფილოსოფიამ განვლო რამოდენიმე ეტაპი თავის დაქვეითების გზაზე, მანამ არ მიაღწია იმ ეპოქას, როდესაც ფილოსოფია, როგორც ასეთი, მეცნიერებათ აღარ ითვლება, როდესაც ფილოსოფიურ სისტემების ალაგს ისტორიულ-ფილოსოფიური გამოკვლევა იკავებს: ფილოსოფია, როგორც მეცნიერება შესაძლებელია ფილოსოფიის ისტორიის სახით.

სწორედ ამ ეპოქისათვის არის დამახასიათებელი მრავალტომიანი შრომები ფილოსოფიის ისტორიაში. ი. ერდმანი, კ. ფიშერი, ცელერი, ვინდელბანდი და სხვ.



რასაკვირველია ამ პერიოდშიაც იყო ცდები ფილოსოფიური სისტემის გამომუშავებისა. მაგრამ ეს იყო კერძო მოვლენები, რომელთაც თავის დროზე დიდი გავლენა არც მოუხდენიათ; მათზე მხოლოდ ჩვენს საუკუნეში დაიწყეს ლაპარაკი, ასეთები არიან მაგალითად ედ. ჰარტმანი და ჰ. ლოტცე.

ამავე პერიოდში იწყება დაბრუნება უკან, ძველ იდეალისტურ სისტემისაკენ, „უკან დაბრუნება“, რომელიც ჩვენ დრომდე გრძელდება.

შესაფერ დროზე ამოძახილი „უკან კანტისაკენ“ საერთო ლოზუნგად გადაიქცა. „უკან კანტისაკენ“ მოითხოვდა კანტის ხელ-ახალ შესწავლას. მის ინტერპრეტაციას, მის ნააზრევს ახალ დროისათვის შეფერებას: ჩნდება აუარებელი კანტი: ერთი ისტორიული, დანარჩენი ინტერპრეტატორებისაგან და კომენტატორებისაგან შექმნილი. კანტის სისტემატიურ შეკეთებასთან ერთად იწყება კანტის ფილოლოგიური შესწავლა. „Kantsphilosophie“-ს „Kontphilologie“ უპირისპირდება და პარალელურად მისდევს.

კანტის თეორიული ფილოსოფიის ძირითადი საკითხი — შემეცნების საკითხი — ხდება მთავარი კანტის ინტერპრეტატორებისათვის. ჩნდება და ვითარდება ახალი კანტიანიზმის მიმართულება, რომელმაც ინტერპრეტაციებით დაიწყო და საკუთარი „სისტემებით“ დაამთავრა. მაგრამ „დამთავრებაზე“ ჯერ ნაადრევია ლაპარაკი, ვინაიდან ახალი კანტიანური სისტემების გაჩენა უკვე მე-XX საუკ. ეკუთვნის და უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში დიდ ცვლილებებს განიცდის.

ამ მოკლე მიმოხილვას, რომელსაც კანტიანურ სისტემების განხილვის გარდა, სხვა თანამედროვე მიმართულებათა განხილვაც აქვს საგნად, ვერ დაუსახავთ მიზნათ, ახალი კანტიანიზმის განვითარების სრული სურათი ყველა თავის ასპექტში გაითვალისწინოს.

ახალმა კანტიანიზმა, რომელსაც მიზნად ჰქონდა პირველად კანტის სწორი გაგება, განვითარების პროცესში იცვალა სახე, და ვინდებანდის თქმა გაამართლა: „კანტის გაგება კანტის ფარგლების გარეთ გასვლას ნიშნავს“. ახალმა კანტიანიზმმა დატოვა კანტის საზღვრები, და ახალი ფიხტეანიზმის ჰეგელით შეკეთებული კრიტიციზმის და, სულ უკანასკნელ დროში, ახალი ჰეგელიანიზმის სახე მიიღო. ახალ კანტიანიზმის მიმართულებათაგან ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმათზე, რომელნიც დღეს აქტუალურნი არიან ფილოსოფიაში და შეცნობაში.

ამათში ყველაზე დამუშავებული და დამთავრებული სახით წარმოდგენილია კანტიანელთა „მარბურგის სკოლა“.



1. **„მარბურგის სკოლის კანტიანიზმი.** მთავარი წარმომადგენელი და დამაარსებელი ამ სკოლის **ჰერმან კოჰენ**, რომელმაც კანტის ინტერპრეტაციით დაიწყო. „კანტის ცდის თეორია“ (1871; მესამე გამოცემა 1918 წ. მნიშვნელოვანი ბოლოსიტყვაობით, სადაც კოჰენი თავის ფილოსოფიურ სისტემას ადარებს კანტისას); „კანტის ეთიკა“ (1871, 1910), „კანტი ესთეტიკა“ (1889), რომელნიც კანტის სამი „კრიტიკის“ ინტერპრეტაციას წარმოადგენენ სისტემატიური თვალსაზრისით.

მე-XX საუკ. ამ შრომების ნიადაგზე კოჰენი შეუდგა თავის საკუთარ სისტემის შექმნას: I ნაწ.: „წმინდა შემეცნების ლოღიკა“ (1902, 1922 წ.), II ნაწ.: „წმინდა ნებისყოფის ეთიკა“ (1904, 1921.), III ნაწ. „წმინდა გრძნობის ეთიკა“ 2 ტომი. (1912). ომის დროს გამოსცა რამოდენიმე ნაშრომი რელიგიის, ხელოვნების დარგებიდან.

**ჰაულ ნატორპი.** „სოციალური პედაგოგიკა“ (1899, 1909), „შრომები სოციალურ პედაგოგიკაში 3 ტომი“ (1922 წ.) „პლატონის იდეათა თეორია“ (1903, 1921), ეგზაქტ მეცნიერებათა ლოგიური საფუძვლები“. (1910, 1921), „ფსიქოლოგია“ (1912). „ომის დროს ომის ფილოსოფიაზე და გერმანელების სულზე“ (2 ტომი 1918). „სოციალიდეალიზმი“ (-920, 1922) და ბევრი სხვ.

**კასირერი.** შემეცნების პრობლემის ისტორია (I და II ტ. 1906 — 1910, ტ. III — 1920). „სუბსტანციის და ფუნქციის ცნება“ (1910). „თავისუფლება და ფორმა“ (1917); „კანტი“ (1918—1921). უკანასკნელ წლებში აქვს შრომები გერმანულ იდეალიზმის ეპოქიდან, სიმბოლიურ აზროვნებაზე; აქვს აგრეთვე აინშტაინის რელატივიზმის თეორია განხილული „მარბურგელთა“ თვალსაზრისით. (1921).

კოჰენმა და მისმა მოწაფემ და თანამშრომელმა პ. ნატორმა შექმნეს მთელი ფილოსოფიური სკოლა. დღეს ამ სკოლამ თითქმის განვლო უკვე თავის განვითარების ხანა. ამ სკოლის აზრები სავსებით ჩამოყალიბებულია; ამ მხრივ ამ სკოლის მიმართულება „უძველესია“ მე-XX საუკ. ყველა აქტუალურ მიმართულებათა შორის. რასაკვირველია, ამ სკოლის მიმდევრებს შორის არის განსხვავებანი მთავარ საკითხებშიაც. თვით კოჰენსა და ნატორპს შორისაც კი. ზოგადათ შესაძლოა მათი საერთო თვალსაზრისის დახასიათება, მით უმეტეს, რომ ამ მიმოხილვაში განსხვავების მომენტი განხილვის გარეშე უნდა დარჩეს. „მარბურგელთა“ მიზანი არის კანტის მეთოდის ბოლომდე განხორციელება. კანტის თეორიული ფილოსოფია არის ფილოსოფიური ნააზრევი ნიუტონის მექანიკაზე. კანტიანიზმის მეთოდი სვამს ამოცანას აღმოაჩინოს აუცილებელი და საკმარისი პირობები მათემატიკურ ბუნებისმეტყველებისათვის.



„მარბურგელთა“ აზრით, კანტს სწორედ აქვს დასმული საკითხი: „როგორ არის შესაძლებელი მეცნიერება“, ამ საკითხის გადაწყვეტა კი შეიცავს შეცდომებს, რომელნიც ისტორიული პირობებით აიხსნება: 1) ინგლისელ ემპირისტების ზეგავლენით, რომელმაც კანტს ხელი შეუშალა იდეალისტური პრინციპის ლოღიკურ გატარებაში, და 2) მეცნიერების იმ დონით, რომლის ფილოსოფიურ ანალიზს წარმოადგენს კრიტიკული ფილოსოფია. მეცნიერება კანტის შემდეგ წავიდა წინ და ამიტომ მისმა ანალიზმა დღეს ახალი დასკვნები უნდა მოგვცეს.

ფილოსოფია მეცნიერებათა ლოღიკაა. თეორიული ბუნებისმეტყველების ძირითადი იარაღი არის დაუბოლოვებელ მცირეს ცნება; მათემატიკური ფიზიკის ცენტრალური ცნება დაუბოლოვებელის ცნებაა კანტს კი ანის შესახებ ერთი სიტყვაც არ აქვს ნათქვამი. დაუბოლოვებელ მცირეს ცნება შექმნილია წმინდა გონების მიერ. შეცდომა იყო კანტის, როდესაც ის გონებასთან ერთად შემეცნების პრინციპად გრძნობიერებას და ცდას აღიარებდა; შეცდომა იყო აღიარება „საგნისა თავის თავად“, რომელიც თითქოს შემეცნების აზროვნების გარეშე უნდა არსებულიყო. საგანი შემეცნებისათვის მოცემული კი არ არის სინამდვილეში, არამედ ის გონების მიერ არის შექმნილი, მის მოაზრების პროცესში. (თვით აზრი კი ნიშნავს არა ფსიქიოლოგიურ აქტს, არამედ მოაზრებულ შინაარსს). აზროვნება არის საგნის „შექმნის“ პრობლემა. აზროვნება არაფრიდან იწყებს: იგი თავის თავად ჰქმნის საგანსა და არსებულს (ჰეგელიანიზმი და ჰეგელიანური გადაწყვეტა საკითხის). კოპენის აზრით — ფილოსოფიურა თვალსაზრისით არსებული არის არა ის, რასაც ჩვენ განვიცდით ჩვენი გრძნობის ორგანოებით, — ამ არსებულს მეცნიერებასთან არა აქვს არავითარი კავშირი — არსებული არის სინამდვილე „დაბეჭდილ წიგნებში“. აზრი და არსებული ერთი და იგივეა. პირველობა აქ ამ იგივეობაში აზრს ეკუთვნის. აზრი ჰქმნის არსებულს თავისი კანონების მიხედვით. მეცნიერება ჰქმნის არსებულს, სინამდვილეს. პარადოქსალურ გამოთქმებში მარბურგელები აყალიბებენ თავის ძირითად თვალსაზრისს: პლატონმა შექმნა ნებისყოფა, ვინაიდან პლატონმა ეთიკა შექმნა.

მატერიის ცნება პირველად გალილემ განმარტა: მატერია გალილემდე არ არსებობდა. „არა ცაშია ვარსკვლავები, არამედ ასტრონომიულ მეცნიერებაში“. ამით „მარბურგელებს“ იმის თქმა უნდათ, რომ სინამდვილე მეცნიერების შინაარსია. რომ ფილოსოფიას მეცნიერების შინაარსთან აქვს საქმე, რომ ფილოსოფია მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერების ლოღიკაა. აზრის გარეშე არ არსებობს ამ თვალსაზრი-



სით არაფერი. მეცნიერებაც და სინამდვილაც წმინდა გონების შექმნილია. შეგრძნობა, რომელიც არსებულის სინამდვილის, რეალობას მოწმობს. „მარბურგელების“ მიერ მოხსნილია: შეგრძნობა „კითხვის ნიშანია“, რომელსაც პასუხს გონება აძლევს, და ამ პასუხით რეალობას ჰქმნის. რეალურია ის რაც მეტია ნულზე. რეალობის მინიმუმი არის დაუბოლოვებელ მცირეს ცნება; მათემატიკური ცნება დიფერენციალის არის რეალობის კატეგორიის შინაარსი.

გონება ჰქმნის (არაფრიდან, ან მხოლოდ თავის თავიდან) ისეთ ცნებებს, როგორც დრო, სისვრცე, დიფერენციალი, ატომი, მატერია და სხვ., და მათზე, როგორც ჰიპოთეზებზე, მეთოდებზე (აქ-გზის მაჩვენებელი) ააგებს მთელს მეცნიერებას და ამიტომ მთელს სინამდვილეს. ეს ცნებები გზის მაჩვენებელი არიან, დაუბოლოვებელი გზის, ვინაიდან ეს ცნებები ცვალებადობენ, განვითარების პროცესში ძველი ცნებები ახალს უთმობენ ადგილს, და ასე დაუბოლოვებლად; მიზანი არის მთელი სინამდვილის — მის მთლიანობაში — შემეცნება და ამიტომ აშენება.

„მარბურგელებმა“ დიდი მუშაობა აწარმოეს მთელი მეცნიერების და ფილოსოფიის განვითარების იდეალისტურ ინტერპრეტაციისათვის. აღსანიშნავია აქ კასირერის 3 ტომიანი (1910—1920) გამოკვლევა: ახალი დროის მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარება მოწმობს „მარბურგელთა“ იდეალიზმის თანდათანობით მომზადებას. ნატორპის გამოკვლევანი იგივე ხასიათის. უკანასკნელად კასირერის იდეალისტური ინტერპრეტაცია, აინშტაინის თეორიისა და სხვ.

„მარბურგელთა“ ფილოსოფიური სისტემის სხვა ნაწილები წარმოადგენენ მათ ძირითად პრინციპის გამოყენებას სხვა დარგებში: ასე მაგ. ეთიკა არის „წმინდა ნებისყოფის“ ეთიკა და წარმოადგენს იურისპრუდენციის ლოდიკას; ეთიკაც ცდისაგან დამოკიდებულია.

ესთეტიკა „წმინდა გრძნობის ესთეტიკაა და ხელოვნების მეცნიერებათა (Kunstwissenschaft) ლოდიკას წარმოადგენს. კოჰენის ესთეტიკა იშვიათ მოვლენას წარმოადგენს იდეალიზმის ისტორიაში, თავის სიღრმით და ერუდიციით. ჰეგელის „ესთეტიკის ლექციების“ შემდეგ იდეალისტურ ფილოსოფიას აქვს მხოლოდ კოჰენის „წმინდა გრძნობის ესთეტიკა“..

ძირითადი იდეალისტური შეცდომა „მარბურგელთა“ ფილოსოფიური სისტემის არის მთელი სინამდვილის „გალოდიკება“, პანლოგიზმი, გაიგივება აზრის და არსის, სადაც პირველობა აზრს ეკუთვნის. კერძო შემთხვევა ამ იდეალისტურ ლოგიციზმის იმაში გამოიხატება,



რომ მარბურგელებმა (უმთავრესად კოჰენმა) ეთიკა და ესთეტიკა ლო-  
ლიკის ნაწილად აღიარეს.

თანამედროვე ფილოსოფიაში „მარბურგელთა“ სისტემა ყველა-  
ზე დამთავრებულია და ჩამოყალიბებული. კოჰენმა შექმნა მთელი  
სკოლა, რომელიც მთელ გერმანიას მოედო. ამ სკოლას ჰყავდა მიმ-  
დევრები სხვა ქვეყნებშიაც; მიმდევრები, რომელნიც მუშაობენ მეც-  
ნიერების თითქმის ყველა დარგში. ჰყავს ამ სკოლას ფილოსოფიის ის-  
ტორიკოსიც: კ. ფორლენდერი.

„ეთიკური სოციალიზმის“ აღიარებით ამ სკოლამ გასავალი ჰპო-  
ვა მარქსისტებს შორისაც. დაიწყო ახალი შეერთება მარქსის და კან-  
ტიანიზმის, როგორც „მარბურგელთა“ მხრიდან (ფორლენდერი), ისე  
მარქსისტების მხრიდან. (ამ მხრივ საინტერესო იყო შტაუდინგერის პო-  
ზიცია, რომელმაც კოჰენის „სისტემის“ დამუშავებისთანავე თავი დაა-  
ნება „მარბურგელებს“).

უკანასკნელ დროს „მარბურგელთა“ გავლენამ საგრძნობლად  
დაიკლო თვით გერმანიაშიც. სახელწოდება „მარბურგელები“ დღეს  
თითქმის ისტორიულ სახელად გადაიქცა, ვინაიდან მარბურგში მათ  
აღარ შერჩათ აღარც ერთი წარმომადგენელი. სკოლის დამაარსებელი  
კოჰენი (1918), ნატორპი (1923) აღარ არიან.

კასირერი და ა. ლიბერტი დღესაც განაგრძობენ მუშაობას თით-  
ქმის იგივე ძველი გზით; ნიკოლაი ჰარტმანი, „მარბურგელთა“ იმე-  
დი, გადაუდგა ამ სკოლას და ფენომენოლოგიის (იხ. ქვემოთ) გავლენ-  
ის ქვეშ ახალ სისტემას და სკოლას ქმნის. ამათ გარდა შერჩა ამ სკო-  
ლას აქა-იქ გერმანიაში, ჰოლანდიაში წარმომადგენელი. გავლენა ამ  
მიმართულებას ჯერ-ჯერობით არ დაუკარგავს, მაგრამ თითქმის გადაჭ-  
რით შეიძლება ითქვას, რომ ახალს ეს სკოლა ველარაფერს შექმნის,  
მისი შემოქმედებითი ენერგია უკანასკნელ წლებში საკმარისად ამოი-  
წურა.

გაცილებით უფრო აქტუალურია და მომავლისათვის განვითარე-  
ბის შესაძლებლობის შინამქნეა მეორე მიმართულება ახალ კანტიან-  
იზმში:

2. **ბადენის“ სკოლის კანტიანიზმი.** თუ „მარბურგელთა“ სკო-  
ლას იმთავითვე მათემატიკაზე და მათემატიკურ ბუნებისმეტყველება-  
ზე ჰქონდათ ორიენტაცია, „ბადენის“ სკოლამ ისტორიული მეცნიერე-  
ბა აიღო საორიენტაციო პუნქტათ. შემთხვევითი არ არის ის გარემო-  
ბა, რომ დამაარსებელი ამ სკოლის, **ვინდელბანდი**, ფილოსოფიის ის-  
ტორიკოსი, იმ ეპოქის წარმომადგენელია, როდესაც ფილოსოფია ფი-  
ლოსოფიის ისტორიათ იყო გადაქცეული. ვინდელბანდს არ შეუქმნია



თავის დროზე ფილოსოფიური „სისტემა“. ამ მხრივ მას დაასწრო მის-  
მა მოწაფემ რიკკერტმა, რომელმაც სიტემატიური ხასიათი მისცა  
ვინდელბანდის წერილებში გამოთქმულ აზრებს.

„მარბურგელებმა“ შექმნეს ერთი გარკვეული სისტემა, რომელიც  
კოჰენის ხელიდან გამოსული, თითქმის უცვლელი დარჩა დღესაც.  
შეუძლებელია იგივეს თქმა ვინდელბანდ-რიკკეტის „სისტემაზე“: ვინ-  
დელბანდმა და უმთავრესად რიკკეტმა „საჯაროთ აწარმოვეს თავისი  
აზრის განვითარება“ (ჰეგელიანელების თქმა შევინგზე).

ვინდელბანდის მიერ გამოთქმული აზრები, მე-XIX საუკ. მიწუ-  
რულში, სიკკერტმა სისტემის სახით ჩამოაყალიბა შრომებში „შემეც-  
ნების საგანი“ (1892), „ცნების წარმოების საზღვრები ბუნებისმეტ-  
ყველებაში“ (1896—1902). 1904 წ. რიკკერტმა გადაამუშავა და გააღ-  
რმავა „შემეცნების საგანი“. მე-XX საუკ. ფილოსოფიურ მიმართულე-  
ბათა (უმთავრესად ჰუსერლი) ზეგავლენით რიკკერტი ახალ თვალსაზ-  
რისს აყენებს 1909 წ.: „შემეცნების თეორიის ორი გზა“.

1911 წ. („ფილოსოფიის ლოღიკა“) და 1912 წ. („მსჯელობის თე-  
ორია“) გამოდის ფილოსოფიის ასპარეზზე ვინდელბანდის მოწაფე,  
**ემილ ლასკი**, ამ სკოლის წარმომადგენელთა შორის ყველაზე ღრმა  
მოაზროვნე, რომელიც ცდილობს კანტის მეთოდის თვით კანტიანიზმის  
მიმართ გამოყენებას და, ჰუსერლის ზეგავლენით, რიკკერტის ფილო-  
სოფიის დამუშავებას. ლასკის ზეგავლენით იწყება ვინდელბანდ-რიკ-  
კერტის სისტემის ხელ-ახალი შენება. ვინდელბანდი სწერს „ფილოსო-  
ფიის შესავალს“ (1914, მეორე გამოც. 1920), რომელიც სინამდვილე-  
ში ფილოსოფიის სისტემას წარმოადგენს, ხოლო რიკკერტი „შემეცნე-  
ბის საგნის“ მესამე გამოცემას. (1915). 1915 წ-დან მუშაობს მხოლოდ  
რიკკერტი, რომელიც უკანასკნელ დრომდე დიდ ინტენსივობას იჩენს.  
სცემს ყველა თავის შრომებს ხელ-ახლად სრულიად გადამუშა-  
ვებული სახით, სწერს აუარებელ წერილებს ამ სკოლის ჟურნალში  
„ლოგოს“. მისი „შემეცნების საგანი“ გამოდის მე-4-ე, მე-5-ე გამო-  
ცემით. (1922 წ.). სწერს „ფილოსოფიის სისტემის“ ნაწ. I. (1921).  
1921-დან 1928-მდე წერილები ჟურნალ „ლოგოსში“.

ძნელია გათვალისწინება ყველა იმ მიმართულების, რომლის გავ-  
ლენით შეიცვალა რიკკერტმა აზრი. ჰუსერლი, ლასკი, „მარბურგელე-  
ბი“ (ნატორპი), მაინონგი და საბოლოოდ მე-XX საუკ. ახალი ჰეგელია-  
ნიზმის გავლენა.

საკვირველ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე რიკკერტის  
უკანასკნელი ნაშრომები: აქა-იქ იცნობს მკითხველი ამ ნაშრომებში  
ძველ რიკკერტს: მთელი გვერდები დაწერილია ლასკის, ჰუსერლის,



ნატორპის და სხ. ენით. რიკკერტი აცხადებს ეხლა, რომ მისი თვალსაზრისი აღარ არის კანტიანური, რომ დღეს კანტი აღარ აკმაყოფილებს მას, და მსოფლმხედველობა დღეს გოეთესთან დაკავშირებით უნდა აშენდეს, გოეთესთან, რომელიც ჰეგელის ახლო მონათესავე მოაზროვნე იყო.

„სისტემის“ გადამუშავების და შემუშავების პროცესი არ დამთავრებულა. ლასკის თვალსაზრისმა და რიკკერტის მიერ შემოღებულმა „ჰეტეროტეტულ“ მეთოდმა, რიკკერტის სკოლა დიალექტიკურ მეთოდამდე მიიყვანა; და თუ რიკკერტმა ჯერ არ განვლო კლასიკური გერმანული იდეალიზმის მთელი გზა — კანტიდან — ჰეგელამდე მისი მოწაფეები უკვე მივიდნენ იმ გზის საბოლოო ეტაპამდე. კანტიდან ფიხტესაკენ ასეთი იყო კანტიანიზმის პირველი ეტაპი ვინდელბანდ-რიკკერტის სკოლაში; ფიხტედან ჰეგელამდე მეორე ეტაპია, რომელიც დაიწყო თვით რიკკერტმა, და რომელსაც ასრულებენ არა მხოლოდ ახალგაზრდა ჰეგელიანელები, არამედ თითქმის ყველა, ვინც ცოტათუ თუ ბევრათ ახლო იდგა ამ სკოლასთან: კოჰენი („დიალექტიკის თეორია“ 1923), კრონერი („კანტიდან-ჰეგელამდე“ 1921 — 23), რით თავდება რიკკერტის „სისტემა“, რა სახეს მიიღებს მისი მეცნიერების თეორია“ („Wissenschaftslehre“), როდესაც ის ამუშავებდა უკანასკნელად 1924/5 წ., და უკვე ლექციების სახით წარმოადგინა, ამის თქმადნელია. ერთია ნათელი: ვინდელბანდ-რიკკერტის სკოლა ჰეგელიანიზმის გზაზე შედგა, ამას მოწმობს აგრეთვე ამ სკოლის ჟურნალის „ლოგოს“ სახის შეცვლა, რომლის შინაარსი უკანასკნელ დროში თითქმის ჰეგელიანური გახდა (რედაქტორი კრონერი ჰეგელიანელია). შევჩერდეთ მოკლედ ამ სკოლის თვალსაზრისზე.

შემეცნების თეორიის საკითხი არის ტრანსცენდენტურის, ე. ი. ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ სინამდვილის საკითხი; ცნობიერება აქ ნიშნავს არა ინდივიდუალურ ცნობიერებას, არამედ ე. წ. „ზოგად ცნობიერებას“. ინდივიდუალური ცნობიერებისათვის, რასაკვირველია არსებობს მთელი სინამდვილე, მისგან დამოუკიდებელი. „ზოგადი ცნობიერებისათვის“ ამგვარი სინამდვილე არ არსებობს: მთელი სინამდვილე აზრის „ზოგად ცნობიერებაში“ და არა მის გარეშე.

შემეცნება არის არა ცნობიერებისაგან დამოკიდებულ სინამდვილის შეცნობა და ასახვა, არამედ მსჯელობა, რომელიც იძულებით აღიარებაში და უარყოფაში გამოიხატება. ხოლო მსჯელობა იმიტომ კი არ არის ჭეშმარიტი, რომ ის სინამდვილეს სწორედ ასახავს, არამედ იმიტომ რომ მსჯელობას იძულებითი აუცილებლობა ახასიათებს. საკითხის გადაჭრა კანტიანურია და იდეალისტური: სინამდვილით კი



არ გაიზომება მსჯელობის ჭეშმარიტება, არამედ სინამდვილეს ჩვენ უწოდებთ იმას, რაც მსჯელობის მიერ არის აღიარებული. მსჯელობის აუცილებლობის და ვალდებულების ხასიათს ობიექტურად ღირებულება შეესაბამება. იდეალური ღირებულება წინ უსწრობს სინამდვილეს. კანტის ფილოსოფიის სახელწოდებას: „ტრანსცენდენტალური იდეალიზმი“, რიკკერტი თავის თვალსაზრისის გამოსახატავად ხმარობს: იდეალიზმი მდგომარეობს იმაში, რომ მთელი სინამდვილე ცნობიერების სინამდვილეა; ტრანსცენდენტალიზმი კი იმაში, რომ ღირებულებათა იდეალური სამყარო წინ უსწრებს რეალურ სინამდვილეს.

ღირებულებათა შეცნობა ხდება იმის საშუალებით, რომ ყოველ შემეცნების აქტს აქვს „საზრისი“, რომელიც ამ ღირებულებაზე მიუთითებს. ძნელსა და ბუნდოვან თეორიის საშუალებით ცდილობს რიკკერტი გამოვიდეს იმ გამოუვალ მდგომარეობიდან, რომელიც ყოველივე დუალიზმისათვის დამახასიათებელია; ერთ მხარეს შემეცნებელი სუბიექტი, მეორე მხარეს იდეალური ღირებულება. მათი შერიგებისთვის (რომელიც შემეცნებისთვის აუცილებელია), რიკკერტი აშენებს „მესამე სამყაროს“. ეს „საზრისის სამყარო“, რიკკერტის აზრით, შესაძლებლად ხდის ცნობიერების და ღირებულების ურთიერთობას და ამიტომ შემეცნებასაც.

ვინდელბანდ-რიკკერტის ისტორიის ფილოსოფიური თეორია იმდენად ცნობილია (მართალია დღეს ის რამდენიმეთ გადამუშავებულია), რომ ჩვენ მის განხილვაზე არ შევჩერდებით.

საინტერესოა რიკკერტის „Die Philosophie des lebens“ (1920), სადაც ის ჰეგელისებური სისასტიკით და ირონიით, თანამედროვე „Modephilosophie“-ს ეკამათება. ეს წიგნი საინტერესოა ჩვენთვის, რამდენადაც ჩვენს სინამდვილეშიც აქვს ხანდახან გასავალი „ფილოსოფიას, როგორც ხელოვნებას“ (კაიზერლინგი), „კოსმოგონიურ ეროსსა“ და „მეტაფიზიკას, როგორც კოსმიურ ფიზიოგნომიკას“ (ლ. კლაგეს). რიკკერტი ამ წიგნში უფრო დიდ პიროვნებას ეკამათება, როგორც მაგ. ზიმელი, შელერი, ბერგსონი და სხვ.

„ფილოსოფიის სისტემა ჯერ არ არის დამთავრებული. პირველი ნაწილი მხოლოდ შესავალს წარმოადგენს. მისი ძირითადი თვალსაზრისი ისევ ძველია; იდეალისტური გეზი უფრო მკაცრი: „სინამდვილე განსაზღვრულია არანამდვილით (Nichtwirkliches);... არა ნამდვილის (იდეალურის) კ. ბ.) გარეშე არ არსებობს არც სინამდვილე“.

ვინდელბანდ-რიკკერტის მოწაფეებიდან ყველაზე ნიჭიერი. ე. ლასკი, თანამედროვეობას აღარ ეკუთვნის (მოკვლეს ომში 1915 წ.),



მაგრამ მისი აზრები დღესაც დიდს გავლენას ახდენს, როგორც თვით სკოლაში, ისე სკოლის ფარგლების გარეშე.

ბ რ. ბ ა უ ხ ი, კანტის ორიგინალური ინტერპრეტაციის ავტორი, ეთიკურ საკითხებში ნუშაობს და რიკკერტის სკოლის წარმომადგენელია ეთიკაში.

რ. კ რ ო ნ ე რ ი; რიკკერტის მოწაფე; განიცადა ლასკის გავლენა (წერილები ჟურნალში „ლოგოს“). დღეს გერმანულ იდეალიზმის და ჰეგელის ინტერპრეტაციაზე მუშაობს; გადაიხარა ჰეგელიანიზმი-საკენ. 1924 დაამთავრა თავის შრომა: „კანტიდან ჰეგელამდე“, რომელსაც გარდა ისტორიული თვალსაზრისისა აქვს სისტემატიური ხასიათი და არკვევს ჰეგელის მნიშვნელობას თანამედროვეობისათვის.

ძალიან ახლო დგას ვინდელბანდ-რიკკერტის სკოლასთან ი ო ნ ა ს კ ო ჰ ნ ი; ესთეტიკა და კულტური ფილოსოფიის საკითხები დამუშავებული აქვს ამ სკოლის და ფიხტეს თვალსაზრისით. შემეცნების თეორიაში იცავს კანტიანურ თვალსაზრისს „უტრაქვიზმის“ სახელწოდებით. („შემეცნების წინამძღვრები და მიზანი“ 1909 და „დიალექტიკის თეორია“ 1923). კანტისებურად ფიქრობს კოჰნი შემეცნებაში ორ განსხვავებულის, ერთმანეთზე დაუყვანელ მომემნტის აღმოჩენას: გონების მიერ შექმნილსა და „გონებისათვის უცხოს“. ლასკის და ახალი ჰეგელიანიზმის ზეგავლენით 1923 წ. ჰქმნის დიალექტიკის ახალ თეორიას, კრიტიკულ ფილოსოფიის ნიადაგზე, რომლის მიხედვით სათანადოთ დამუშავებული და გაუმჯობესებული (?) აქვს თავისი „უტრაქვიზმის“ თეორია.

(დასასრული იქნება)

— : —



## მაქსიმ გორკი და ეგნატე ნინოშვილი

(გორკის იუბილეს გამო)

### I

ყველამ ვიცით: ნინოშვილი პატარა ფიგურაა გორკისთან შედარებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს: წარმოდგენა ერთზე არ იწვევდეს წარმოდგენას მეორეზე და მათი ერთიმეორესთან შედარება არ შეიძლებოდა.

მაქსიმ გორკის პიროვნება და მისი დღევანდელი იუბილე ქართველ ბელეტრისტს, ეგნატე ნინოშვილს მოგვაგონებს. უპირველესათ ამას მოგვაგონებს იუბილიარის ბიოგრაფიის ზოგი თარიღი.

სწორეთ წელს მაისის პირველ რიცხვებში შესრულდა ნინოშვილის გარდაცვალების დღიდან 34 წელიწადი.

იუბილე, ზეიმი და გლოვა ჯერ კიდევ „ამხანაგებია“ მსოფლიო პროლეტარიატის ცხოვრებაში, ამიტომ ვფიქრობ, ურიგო არ იქნება გორკის საიუბილეო დღესასწაულის გამო ეგნატე ნინოშვილის „უდროვოთ“ დალუპვის დღეც მოვიგონოთ.

არის მეორე თარიღი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი: სწორეთ იმ წელს, სწორეთ იმ თვეში, როცა მაქსიმ გორკი ტფილისში მწერლობას შეუდგა (1892 წლის სექტემბერში) და მისი პირველი ნაწერი — „მაკარ ჩუდრა“ — კავკასიის სანამესტნიკო ორგანოში, გაზ. „კავკაზში“ დაიბეჭდა, იმავე ქალაქში გაჩნდა ნინოშვილი (იგი ამ დროს უკვე ცნობილი მწერალი იყო). ის პლებანოვის პროსპექტზე (იმ დროს — „მიხეილის ქუჩაზე“) .ამხ. მიხა ცხაკაიასთან ერთს ცივსა და ბნელ სარდაფში დაბინავდა: რას იფიქრებდა, თუ იქვე ახლო, კრასნოგორის ქუჩაზე მომავალი დიდებული მწერალი, მ. გორკი ცხოვრობდა და ისიც მასავით იქ ერთგვარ „კომუნას“ აწყობდა და მასავით მხატვრულ შემოქმედებას ეძლეოდა. <sup>1)</sup> (ეგნატე იმ ხანებში ახალ მოთხრობას — „ქრისტინეს“ — სწერდა). ნამდვილათ ეს „კომუნები“ იმ დროინდელ ტფილისელ მოსწავლე ახალგაზრდათა მოსამზადებელი „წრე“ იყო: აქ რჩეული, რევოლიუციონური მიდრეკილების მოსწავლე ახალგაზრ-

<sup>1)</sup> ს. რობაქიძის ცნობით ე. ნინოშვილი და მ. გორკი მალე გაცნენ ერთმანეთს.



დობა იყრიდა თავს და მომავალ რევოლუციონურ მოქმედებისათვის ემზადებოდა. ამ ორმა „წრემ“ შეასრულა მომავალი მუშათა რევოლუციონური პარტიის ჩანასახის როლი. მაგრამ ამ ორ „კომუნას“ შორის განსხვავებაც იყო.

იმის გარდა, რომ პირველს ხელმძღვანელობდა მომავალი რუსის დიდი ხალხის დიდი მწერალი მ. გორკი, ხოლო მეორეს — ქართველი ბელეტრისტი, ეგნატე ნინოშვილი, მათ შორის ის განსხვავებაც იყო, რომ პირველი უფრო „საერთო საცხოვრებელს“ ჰგავდა, სადაც თვითეული წევრი განცალკევებულათ, უორგანიზაციოთ „თავისთვის“ ემზადებოდა, მაშინ როდესაც მეორე, ნინოშვილის „წრე“ ორგანიზაციულათ და სისტემატიურათ იკრიბებოდა „სამეცადინოთ“ და „საკამათოდ“.

ამ ორ „წრეს“ შორის კავშირი მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ორივეს წევრათ და მონაწილეთ ითვლებოდა დღეს რუსეთში კარგათ ცნობილი კომუნისტი, ამხ. ანდრია ლეჟავა, რომელიც იმ დროს ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლე იყო.

ტფილისის ზემოხსენებული ორი „კომუნა“ მართალია, ერთმანეთზე დამოუკიდებლათ, დაუკავშირებლათ ცხოვრობდა, მაგრამ ორივე ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდა: ორივე ქმნიდა იმ ელემენტებს, რომლებმაც ახლო მომავალში „მუშათა წრეების“, მუშათა კლასის მომავალი პარტიის პირველ ჩანასახ-უჯრედების ხელმძღვანელობა იკისრეს.

ამგვარად მაქსიმ გორკიმ და ეგნატე ნინოშვილმა პირველებმა შეჰქმნეს ტფილისში მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზაციული ჩანასახი, რომელმაც დიდათ შეუწყო ხელი მუშათა კლასის რევოლუციონურ ორგანიზაციის გაჩენას და განმტკიცებას ტფილისში და აქედან მთელ ამიერკავკასიაში.

აი რაშია მთავარი და ძირითადი კავშირი ამ ორ მწერალს შორის.

მაგრამ ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის მხრივ!

მაქსიმ გორკის დღეს იუბილეს უხდის საბჭოეთის პროლეტარიატი უმთავრესად არა როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ როგორც მწერალს, როგორც ხელოვანს.

აქვს ამ მხრით ნინოშვილს მსგავსება და ნათესაობა მასთან, თუ არა?

## II

ამ ორ მწერალს შორის მსგავსება — განსხვავების აღმოსაჩენათ საჭიროა გათვალისწინება: 1) იმ სოციალური პროცესების, რომლის გავლენის ქვეშ ეს მწერლები მოექცენ და მათი შემოქმედება მუშავდებოდა, 2, იმ საზოგადოების განვითარების საფეხური, რომელსაც თვი-



თეული მათგანი ეკუთვნის, 3) ამ საზოგადოების კლასიური დიფერენციაციის პროცესის ვითარება და აქედან წარმოშობილი კლასიური ყოფა-ცხოვრების, ფსიქოლოგიის და იდეოლოგიის ვითარებანი, საიდანაც მწერლის ქვეცნობიერება და ცნობიერება მასალას ჰკრებს, 4) თვითეული მათგანის საზოგადოების ლიტერატურული განვითარება და ბოლოს 5, მწერლის შთამომავლობითი და პირად შექმნილი ინდივიდუალური თვისებები, „ტემპერამენტი“, ნიჭის თავისებურობა და ხარისხი.

ყოველივე ამის შემდეგ ისეთი მწერლების, როგორც არიან გორკი და ნინოშვილი, ვერც იდეოლოგიური მხარე და ვერც მხატვრული ისე ვერ შეფასდება, თუ ორივე მხრით ისინი ეხლანდელ პროლეტ-მწერლობას არ დაუკავშირეთ.

ამიტომ სრულიად საბუთიანია, როცა გორკის შეფასებას ამხ. ანატოლ ლუნაჩარსკი ამ საკითხიდან იწყებს. იგი სწერს: „.... ეხლა გაათვრებული კამათია — სხვათა შორის ასეთი კამათი წარმოებდა კომუნისტურ აკადემიაშიც — იმის გამოსარკვევით — ეკუთვნის თუ არა იგი (გორკი) პროლეტმწერლებს“..... (იხ. გაზ. „კომუნისტის“ 29 მარტის მე-73 №-რი).

მაგრამ აქ კითხვის დაყენება არაა სწორი.

კითხვის ასე დაყენება, როგორც ამხ. ლუნაჩარსკიც სამართლიანათ შენიშნავს, ისტორიული თვალსაზრისის და დიალექტიური მეთოდის დავიწყებას ნიშნავს: ნამდვილი, სავსებით და საბოლოოთ ჩამოყალიბებული პროლეტმწერალი დღესაც თითოორლა თუ გვყავს და რატომ უნდა მოვთხოვოთ ეს გორკის ან სხვა ვინმეს?

როგორც სხვა ყველაფერი, ისე პროლეტმწერლობაც ისტორიულათ ჩაისახა, განვითარდა და დღესაც ვითარდება.

კითხვა იმაშია, თუ პროლეტმწერლობის რომელ სტადიაში, რომელ საფეხურზე დაიწყო მწერალმა მაქსიმ გორკიმ ან როდის გამოაჩინდა მის შემოქმედებას პროლეტმწერლობის ნიშნები და თვისებები.

პროლეტმწერლობის თვისებებს აუცილებლათ არ ჰქმნის: არც მწერლის ბიოგრაფიული და შთამომავლობითი პირობები, არც მისი სოციალური მდგომარეობა და არც ის თემები, რომლებზედაც მწერალი სწერს, თუმცა ყოველივე ეს თავის ბეჭედს ასვამს ნაწარმოებს.

პროლეტმწერლობის თვისებებს ჰქმნიან: 1) მწერლის განსაკუთრებული პროლეტარულ-მხატვრული თვალსაზრისი, და თემისადმი მიდგომა, რაც მის პროლეტარულ ქვეცნობიერების სფეროში შემუშავებულია; 2) პროლეტარული მსოფლშეგრძნობა-გაგება და 3) მეცნიერულ-



ლათ გარკვეული პროლეტარული იდეოლოგიის და შემოქმედებითი პროლეტარული სისტემის შეთვისება. თუ მწერალს რომელიმე აქ დასახელებულ ფაქტორთაგანი აკლია, ის ნამდვილი პროლეტმწერალი ვერ გახდება.

ყველა ეს დასკვნები და ეს ფორმულა მაქსიმ გორკის მთელი ლიტერატურული პრაქტიკითაც მტკიცდება.

პირდაპირ შეიძლება ითქვას: გორკი ყოფილი გაბოსიაკებულის მუშა-პროლეტარია მაგრამ ეს გარემოება მას პროლეტმწერლად, ცხადია, არ ჰქმნის და ვერც შექმნიდა.

მისი ბიოგრაფიიდან ვიცით: ის აღიზარდა ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდის მეშჩანინის, ძუნწ და უხეშ ოსტატ-ხაზეინის კაშირინის (გორკის ბაბუაა დედით) ოჯახში; ის მწერლობის დაწყების წინა ხანაში „ტოლსტოვეცი“ იყო\*) და რუსულ ბურჟუაზიულ ლიტერატურაზე აღზრდილი.

მართალია გორკი პასპორტით მღებავთა ამქრის ხელოსან-მუშად ითვლებოდა, მაგრამ ნამდვილათ ის ჯერ ფეხსაცმელების მაღაზიაში შევირდათ მუშაობდა, შემდეგ გემზე მზარეულის თანაშემწე გახდა, მერე საკანდიტეროშიაც და ფურნეშიაც მუშაობდა, შეშის მხერხავიც იყო, ნავთსადგურში მტვირთავ მუშადაც ყოფილა, ერთხანს მომღერალთა გუნდშიაც იღებდა მონაწილეობას, გამოუცდია ვაჭრობაც: ვაშლებით, ფრინველებით...., ერთხელ ვილაც პროვინციულ ვეჭილთან გადამწერლადაც იყო. იყო რკინის გზის დარაჯად და ბოლოს ტფილისის რკინისგზის მთავარსახელოსნოების კანტორაში მსახურობდა. მწერლობის დაწყებამდე (1892 წლის სექტემბერში) მას მოვლილი ჰქონდა მთელი რუსეთი და ამ ხნის განმავლობაში ხარბათ ჰკითხულობდა ყოველნაირ რუსულ წიგნს, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა.

როგორც ხედავთ, ის ერთხელაც არ ყოფილა ფაბრიკის მუშა; ის ტრიალებდა მეშჩანთა, ვაჭართ და წვრილ ხელოსან-ოსტატთა დ მოსამსახურეთა წრეებში, შემდეგ რამდენიმე წელიწადი ბოსიაკთა წრეში გაატარა და ასე მოვიდა ტფილისში, სადაც მან მწერლობა დაიწყო.

როგორი მხატვრული თვალსაზრისი, როგორი მსოფლგაგება-შეგრძნობა უნდა შემუშავებოდა მას ასეთს პირობებში და რა იდეოლოგიის პატრონი უნდა ყოფილიყო ის ამ დროს?

\*) „80-იან წლების დასასრულს მაქსიმ გორკი, სწერს ლეოვ-როგაჩევსკი, განწყობილი იყო ტოლსტოის მოძღვრების მაღიარებელი გამხდარიყო და არ იცოდა როგორ გამოეყენებია თავისი ნიჭი“. (იხ. თვითონ გორკის ნაწერი — „მწერალი“ და ზემოხსენებული ავტორის წიგნის — „Очерки по истории новейшей русской литературы — 55 გვ.).



მან თავის თავზე განიცადა ბურჟუაზიულ-მეშჩანური ცხოვრების პირობების ყოველნაირი სიდუხჭირე და სისაძაგლე, განიცადა ადამიანის განკერძოებული ბრძოლის მკაცრი შედეგები და ყველგან პიროვნების მარცხი ნახა, — გაბატონებული საზოგადოებრივი ჯგუფების და მათი წარმომადგენელი პირების მიერ მისი ფეხქვეშ გათელვა, არარაობად გადაქცევა.

აქედან მას უჩნდება წყურვილ-სურვილი ამ პიროვნების, ადამიანობის აღდგენის და მას ჰგონია: ამის მიღწევა ინდივიდუალური „გმირობით“, გმირების მიერ წარმოებულ ბრძოლით შეიძლება.

აქედან შემუშავდა მასში იგივე ძველი ინდივიდუალური გმირობისა და პირად მორალური ამაღლების... განწმენდის“ კულტი, ე. ი. ტოლსტოისებური ქრისტიანული მორალი და ცხადია, როგორც ზემოდ აღვნიშნე, გორკი „ტოლსტოვეცი“ უნდა გამხდარიყო. მაგრამ ეს არ მოხდა. მას შერჩა მხოლოდ ინდივიდუალური გმირობისადმი ტრფიალი და ამ გმირობის იდეალიზაციისადმი მიდრეკილება.

პიროვნების განკერძოებული ბრძოლა, საზოგადოებრივობისადმი ბოსიაკური მიდგომა და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული პროტესტი მასში მხოლოდ პროტესტანტულ მიდრეკილებას ჰქმნიდა და ეს პროტესტიც ანარქისტულ — უორგანიზაციო ფორმას ლებულობდა: ის არ იყო კონკრეტულ პირობებში გამომჟღავნებული.

რაც შეეხება პირად-მორალურ სიწმინდისა და ამაღლების კულტს, უნდა ითქვას: ამას ბოსიაკური ცხოვრების პირობები პირდაპირ არღვევს, აქ აშკარა ხდება ასეთი მიდრეკილება-იდეალის უნიადაგობა და განუხორციელებლობა. ყოველი ფაქტი ბოსიაკური ცხოვრებიდან ასეთი მორალის წინააღმდეგ ლაღადებს: რა პირად სიწმინდეზე შეუძლია იფიქროს, მაგალითად, ისეთმა ადამიანმა, რომელიც მხოლოდ „უწმინდური“ საშუალებით იცავს თვითარსებობას?!

ბოსიაკური ცხოვრება გორკის მხოლოდ ანარქისტული გმირობის კულტს უკარნახებდა და ისიც ამ მხატვრული თვალსაზრისით შეუდგა ბოსიაკების გამოხატვას.

ამასთან საზოგადოებრივ სფეროშიაც ახალმა ელემენტებმა, ახალმა ნიშნებმა იჩინეს თავი: ნაროდნიკობასთან ბრძოლაში თვითმპყრობელობის სრულმა გამარჯვებამ და კაპიტალიზმის განვითარების პირობებში მისმა ბატონობამ ერთი მხრით ნაროდნიკობა სრულიად გადაავარა და წინააღმდეგობის უნარი დაუკარგა, ხოლო მეორე მხრით საზოგადოებრივ—სახელმწიფოებრივი საკითხი წინ წამოაყენა. გაჩნდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში მწვავე მოთხოვნები არსებულ — წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის, მაგ-



რამ რა გზით, როგორ, ეს ჯერ-ჯერობით ყველასთვის გაურკვეველი იყო.

ასეთ ბურუსიან ხანაში მოუხდა მაქსიმ გორკის სამწერლო არენაზე გამოსვლა და ამ გარემოებამ მისი მწერლობის პირველ ორ პერიოდს თავისი დალი დაასვა. ამრიგათ მისი მწერლობის ლეიტ-მოტივი—საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, გარდაქმნა უნდა ყოფილიყო. რევოლუციონური გმირობა, აი რას უნდა დამყარებოდა ის და დაემყარა კიდევ.

ეს გამოიხატა მის მშვენიერ სურათში: — სიმღერა „შევარდენზე“, სადაც მან სიტყვებით — „ჩვენ ვუმღერით მამაცთა სიგიჟეს“ — სრულიად გამოამჟღავნა თავისი პოეზიის ლეიტ-მოტივი — რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი გ მ ი რ ო ბ ა.

და მართლა, მასსების ბრძოლა, ეს მიზანშეწონილი რევოლუციური გმირობაა, მაშინ როდესაც ინდივიდუალური გმირული რევოლუციონერობა აშკარა „სიგიჟეა“! მაგრამ ეს ისეთი „სიგიჟეა“, რაც მასსების ბრძოლის გუნებაზედ დაყენებას ხელს უწყობს და ბოლოს მაინც ამ „სიგიჟის“ გზაზე მიუთითებს.

აი ასეთს „სიგიჟეს“ უმღერდა მაქსიმ გორკი თავისი მწერლობის პირველი პერიოდების განმავლობაში.

ის ამ ხნის განმავლობაში ცხოვრების უარყოფითი მხარეების წინააღმდეგ მებრძოლ ძალას კოლექტივში ჯერ კიდევ ვერ ხედავდა: მებრძოლი კოლექტივი, კლასი, პარტია ჯერ კიდევ არ არსებობდა.

მაქსიმ გორკის იმ დროს (90 წლებში), როგორც არაფაბრიკის მუშას, მუშათა კლასისაგან მოწყვეტილს არც შეეძლო დაენახა, ეგრძნო და განეცადა მუშათა კლასის კოლექტიური გამოსვლა და მოძრაობა.

ისტორიულათ ამოძრავებულ ახალი კლასის განსაკუთრებული მხატვრული თვალსაზრისიც მხოლოდ მაშინ შეიძლება შეუმუშავდეს მის წარმომადგენელ ხელოვანს, როცა თვითონ კლასი თავს დამოუკიდებელ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ძალად ჰგრძნობს და როცა ის კლასობრივი ბრძოლის მეთოდებსაც და კლასობრივ იდეოლოგიასაც დამოუკიდებლათ იმუშავებს.

ასეთი დრო რუსეთის მუშათა კლასს მხოლოდ 900-იან წლებში დაუდგა და ამ ხანებში კიდევ ჩაისახა მისი მხატვრული თვალსაზრისი, მხატვრული მეთოდი და პროლეტმწერლობის წინასწარი პირობებიც გაჩნდნენ.

ეხლა ინდივიდუალისტური გმირული კულტის ნაცვლათ წინ წამოიჭრა კოლექტივისტური გმირობა, „მუშათა კლასის გმირთა-გმირობა“ რაც ყველა მის თანამგრძნობთ „სიამით უძგერებდა გულს“.



მანამდე კი მას არ გააჩნდა არც პროლეტარულ-კლასიური მხატვრული ლეიტ-მოტივი, არც თვალსაზრისი და არც საკუთარი მხატვრული მეთოდი.

მაქსიმ გორკიმ ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ ცხოვრების რევოლუციონურ ტენდენციას 90-იან წლებში აღლო აულო: თავის პოეზიის ლეიტ-მოტივად ინდივიდუალისტური რევოლუციონური გმირობა დასახა და ამ მიზნის მისაღწევათ მან ის მხატვრული მეთოდი მოიმარჯვა, რაც უკვე წინანდელ ლიტერატურულ თაობათა მიერ უკვე განვითარებული იყო, ეს იყო რომანტიული მეთოდი, რომელიც რეალისტურთან შედარებით მის სულის კვეთებას, განწყობილებას უკეთ გამოხატავდა და მის მიზანს უფრო შეეფერებოდა.

მას სჭირდებოდა სინამდვილის იდეალიზაცია, რომ რევოლუციონიზმი ზოგად ხაზებში გამოეხატა და არც სულ დაშორებოდა სინამდვილეს და იმავე დროს მისი რევოლუციონური ელემენტები მკითხველისათვის მიმზიდველი და წარმტაცი გაეხადა, ე. ი. სინამდვილის იდეალიზაცია უნდა მოეხდინა. ეს კი მხოლოდ რომანტიულ მხატვრული მეთოდით შეიძლებოდა და კიდევ იწყო მან წერა ამ მეთოდით. არ მოტყუვდა: მისი „მაკარ ჩუდრა“, „ჩელკაში“ და უხვები ნამდვილი შედეგია გორკის რომანტიული პოეზიის.

ყველა ზემოაღნიშნულ მიზეზებით აიხსნება, რომ მაქსიმ გორკის მწერლობის ორი პერიოდი (ერთია ლეგენდებისა, ზღაპრებისა და არაკების — მეორეა — ბოსიაკების და მეშხან — ინტელიგენტების, 1892 წლ. — 1904 წლ.) რომანტიზმისა და ინდივიდუალიზმის ნიშანქვეშ გატარდა, ის კოლექტივისტურ თვისებას მოკლებულია.

ამიტომ ამ პერიოდების მისი მწერლობა პროლეტმწერლობად არ ჩაითვლება.

„თავის ლიტერატურულ მოღვაწეობის პირველ პერიოდში, სწერს ევგენიევ-მაქსიმოვი, გორკი უკიდურეს ინდივიდუალიზმს ქადაგებს და თან ადამიანის დაჩაგრულ პიროვნების ინტერესების სახელით ცხარე პროტესტს აცხადებს და ჰგმობს უსამართლობას, ცხოვრების მოუწყობლობას, არსებულ საზოგადოებრივ წყობილების უმზგავსოებას. მეორე პერიოდში, განაგრძობს იგივე ავტორი, გორკი დაკვირვებული თვალით ანალიზს უკეთებს სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს (ბოსიაკებს, ინტელიგენტებს, ვაჭრობას) და ცდილობს გამოახოს მათში ის სოციალური ელემენტები, რომელთაც შეიძლებათ გზა გაუკაფონ ადამიანის პიროვნებას გონივრულ, თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებისაკენ. (იხ. ხსენებული ავტორის წიგნის — „Очерк истории новейшей русской литературы — გვ. 82).



მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს: ამ პერიოდების გორკის ინდივიდუალისთვის პროლეტმწერლობის განვითარებასთან მომავალ კოლექტივიზმთან კავშირი არ ჰქონდეს და ის მწერლობისათვის ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული იყოს.

განვითარების ჯაჭვის ერთი რგოლით არის გადაბმული მისი ინდივიდუალისტურ — რომანტიული მხატვრული შემოქმედება — მწერლობა წინანდელ ნაროდნიკულ ლიტერატურის იდეასთან, „გმირსა და ბრბოს შორის დამოკიდებულების“ თეორიასთან, ე. ი. ერთგვარ ინდივიდუალისმთან ერთი მხრით, ხოლო პროლეტარულ ლიტერატურის ჩანასახთან, ე. ი. კოლექტივის და მასის წინ წამოყენებასთან — მეორე მხრით.

ის თავისი ინდივიდუალისტური — რევოლუციონური რომანტიკით წინამორბედი იყო მოძავალი მომწიფებული პროლეტმწერლობის.

„სრულიად მართლია ლევ ტროცკი, სწერს რუსული ლიტერატურის ისტორიკოსი ამხ. ევგენიევ-მაქსიმოვი, როცა იგი თავის წიგნში — „ლიტერატურა და რევოლუცია“ — მე-279 გვერდზე სწერს: „გორკის ინდივიდუალისმსა და კოლექტივიზმს შორის არსებობს უღრმესი შინაგანი კავშირი და გორკი თავისთავს უმტყუნებდა თუ რომ არ შეასრულებდა იმ ევოლუციას, რომელშიაც „ზერელე ხალხი“ მხოლოდ ფორმალურ წინააღმდეგობას ხედავს. გორკიმ გმირული ინდივიდუალისმის დროშა აღმართა იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში თმენისა და მორჩილების ბადედან პიროვნების თავის დაღწევის პროცესი დაიწყო, იმ ბადედან დაღწევის, რომელშიაც გახვეული იყო არა მარტო გლეხი, არამედ მუშაც და ინტელიგენტიც.... ინდივიდუალისმი წინააღმდეგ „წმინდად“ უპიროვნობისა, ტრადიციულათ განმტკიცებულ ავტორიტეტისა უდიდეს პროგრესიულ ძალად უნდა ჩაითვალოს და ოგრკიც ფსიქოლოგიურათ თავისთავს კი არ უპირდაპირებდა ხალხს და არც ეგოისტურათანცალკევებდა თავისთავს მისგან — არამედ პირიქით თავის შემოქმედებაში ის იძლეოდა მხოლოდ რომანტიზმით შეფერილს გამოხატულებას ხალხის მასსაში გაღვიძებულ მოთხოვილებისას: პიროვნება ხელახლა აღდგენილ იქნას. (იხ. ხსენებული ავტორის წიგნის — „Очерк истории новейшей русской литературы“ — 92 გვ.).

მაგრამ ისტორიულმა მსვლელობამ და გორკის პირადი ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა წილათ არგუნა მას არა მარტო პროლეტმწერლობის წინამორბედის როლი, არამედ



თვით ამ მწერლობის უკეთესი წარმომადგენლის, „თავისიანი კლასიკოსის“ როლიც.

„მესამე პერიოდში, განაგრძობს ევგენიევ-მაქსიმოვი, გორკი გვიხატავს პროლეტარიატს, როგორც კლასს, რომელსაც წილად ხვდა ამ გონივრული, თავისუფალი და ბედნიერი სიცოცხლის აღმშენებელის როლი. გორკის ამ პერიოდის ნაწერები ერთიანათ გამსჭვალულია უღრმესი რწმენით კოლექტივის მძლეთა მძლეობისადმი“. (ნახ. იქვე გვ. 82) ეს ის პერიოდია, როცა რუსეთის მუშათა მასიური მოძრაობა უკვე რევოლიუციად გადაიქცა. ამ საზოგადოებრივ მძაფრ გარდაქმნის პროცესში გორკის შემოქმედებამაც ძირითადი ცვლილება განიცადა: (1905 — 7 წ.) და მან თავისი პიესით — „მტრები“ და მოთხრობით — „დედა“ — რუსულ პროლეტარულ მწერლობას საწყისები პირველმა მისცა.

მან, ყოფილმა ბოსიაკმა, მუშა პროლეტარმა არა მარტო თავისი დიდი მხატვრული ნიჭის გამოჩენა, არამედ პროლეტ მწერლობის გზაზე დადგომაც შესძლო.

მან უკანასკნელი, თავისთავზე განცდილი პროცესით ჩვენს „თანამგზავრებსაც“ ნათელი მაგალითი უჩვენა იმისი, თუ რა საშინელ „მშობიარობის ტკივილებს“ განიცდის მწერალი ამ პროცესში.

მაქსიმ გორკი თავისი მწერლობის შემდეგ (მეოთხე) პერიოდში — თვითმყრობელურ რეაქციის პერიოდში, — როცა ის საზღვარგარეთ ემინგრანტის მდგომარეობაში იმყოფებოდა და რუსულ სინამდვილისაგან დაშორებული იყო, თავის შემოქმედებაში ხშირათ უბრუნდებოდა ძველ თემებს, რეაქციის პირველ წლებში ეგრეთ წოდებულ „ღვთისმადიებლობამაც“ გაიტაცა; შემდეგ მსოფლიო ომის ხანაში, როცა ყველა რევოლიუციონური იმედები რყევის სასწორზე იქნა გადატანილი და ძნელი იყო ხელოვანისათვის საყრდნობი წერტილის გამოძებნა, მან ნეიტრალური პოზიცია აირჩია. მოგონებების წერას და თავისთავზე წინათ განცდილი რუსულ პროვინციალური ცხოვრების ასახვას შეუდგა.

ამ გარემოებამ ერთრიგათ მეტათ კარგი ნაყოფი გამოიღო: გორკი იძულებული გახდა თავისი რომანტიკა დავიწყებისათვის მიეცა და ცხოვრება რეალისტურათ აესახა.

ამით მან თავისი რომანტიული მხატვრული მეთოდი რეალისტურზე შესცვალა და როცა რუსეთის პროლეტარიატის ხელახალი რევოლიუციონური ამოძრავება დაიწყო (1912 — 17 წ.წ.) პროლეტარიატის კლასიკოსის რეალისტური კალამი გაამახვილა.



ა რწეიძლება აქ არ აღინიშნოს ის მეტათ საყურადღებო მოვლენა, რაც მაქსიმ გორკის მწერლობის უკანასკნელ პერიოდში გამოჩვენდა. სახელდობრ: „პროლეტარიატის ან თავისიან კლასიკოსობიდან“ ნამდვილ სრულ პროლეტარმწერლად გარდაქმნა პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების პირობებშიაც მისთვისაც მეტათ ძნელი შეიქმნა.

დღესაც, ჯერ-ჯერობი ის, როგორც მისი ახალი დიდი რომანი— „კლიმ სამგინის ცხოვრება“—მოწმობს მხოლოდ „კლასიკოსის“ როლს ასრულებს. მაგრამ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ და იმის ნიშნებიც არის, რომ მალე ის პროლეტმწერლობის კალამს მოიმარჯვებს და ახალგაზრდებს სამაგალითო პროლეტარულ მხატვრულ „ტილოს“ მიუძღვნის, თვითონაც მათს რიგებში ჩადგება.

### III

ეხლა მოვიგონოთ ეგნატე ნინოშვილი.

წარმოშობის მხრით: ის არ იყო გორკივით ქალაქის შვილი, ის სოფელია გლეხური წრიდან გამოსული. მაგრამ გორკიზე არა ნაკლები „ბედის ტრიალი“ გადახდა თავს: ისიც ობლობაში გამოიზარდა, დედის ალერსი არც მას ჰღირსებია. პროფესია? რა არ გამოცადა მან!

პატარაობისას ის იყო სოფლის მწყემსი, ხელზე მოსამსახურე, ვაჭრის „ბიჭი“, შემდეგ მოსწავლე, რომელიც თვითონ იმზადებს ჭადსა და ღომს. ამ ვაი-ვაგლახის შემდეგ ის თითქო ინტელიგენტდება: ხდება სოფლის მასწავლებელი, მერე სოფლის „მწერალი“. ისევ მუშად მიდის: სტამბაში შევირდათ იწყებს მუშაობას, უნდა ქალაქის მუშა გახდეს, მაგრამ გარემოება არც აქ უწყობს ხელს და ისევ სოფელს უბრუნდება, შემდეგ მას რკინის გზის მოიჯარადრეთ ვხედავთ. ცხადია, იჯარადარის ხელობას ვერ ეგუება და ტელეგრაფისტად მიდის.

როცა ხედავს, რომ არც ამ ხელობიდან გამოდის მისთვის „ხელსაყრელი რამ“, საზღვარ გარეთ მიემგზავრება „გლეხობაში და თანამგრძნობთა შორის მოგროვილი გროშებით“.

საზღვარგარეთ (საფრანგეთის ქ. მონპელიეში) კიდევ უარესს გასაჭირში ვარდება: იძულებულია ქუჩის მგველად წავიდეს და ისე დაირჩინოს თავი. მისი ჯანი ამას ვერ იტანს და ბრუნდება გურიაში. ეხლა ცხოვრებამ მას თითქო ცალი თვალით გაუღიმა: გურიელის მოურავი გახდა, ძველი ფეოდალ-აფიცრის საგვარეულო მდიდარ ბიბლიოთეკით სარგებლობის საშუალება მიეცა.

მაგრამ ეგნატე აქაც ვერ შეურიგდა მოურავის როლს და ეს ადგილიც დატოვა მან.



ისევ სოფელი, შემდეგ კი როტშილდის ქარხანა ბათუმში. ძლივს ეღირსა ქალაქის მუშათა მასაში ჩარევა! მაგრამ რა?

იმ დროინდელი პირობები აქაც ისე საშინელი აღმოჩნდა, რომ მისმა ჯანმა ის მალე აიძულა გაცლოდა ქარხნის ატმოსფერას, თუმცა მ უ შ უ რ ი ს უ ლ ი თ საკმაოთ გაიმსჭვალა.

ცხოვრებამ ერთხელ კიდევ, ეხლა უფრო ცხოვლათ გამოაშუქა ეგნატესთვის და ის ნავთის ქარხნიდან მარგანეცის კანტორაში გადადის „მოსამსახურედ“, მოლარედ. აქ იწყება მისი ნამდვილი მწერლობა. ეს იყო 1890 წელს. მაშასადამე გორკის მწერლად გამოსვლამდე ორი წლით ადრე.

ამ რიგად გორკი ბოსიაკობიდან გადადის მწერლობაზე, ხოლო ეგნატე ქარხნიდან. ჯერ ისევ იმ დროს, როცა ქარხნის მუშა იყო, დაწერილი ჰქონდა მას მოთხრობა — „ღვთით“, რომელიც ისე უკვალოთ დაიკარგა, რომელიც იმ დროინდელ ქართულ გაზეთის რედაქციაში (ალბათ გაზ. „ივერიის“ რედაქციაში, სხვა გაზეთი და რედაქცია არც არებობდა). დღეს აღარ ვიცით თუ რა ხასიათის იყო ეს მოთხრობა, ვიცით მხოლოდ გიორგი წერეთლის გადმოცემით, მის მიერ შედგენილ მოკლ ებიოგრაფიიდან, სადაც ის აღნიშნავს, რომ ნინოშვილი როტშილდის ქარხანაში მუშაობის პერიოდში (1889 წელს) სწერდა მოთხრობას მუშათა ცხოვრებიდან. მას ამ მოთხრობიდან ამონაწერიც აქვს აღნიშნული, სადაც აწერილია ბარცხანის (ბათუმის შარა უბანია) მუშების საცხოვრებელი ბინები და ამ ბინების მიდამო. (ნახ. ჟურნ. „კვალის“ გამოც. „ნინოშვილის ორი მოთხრობა“ გ. წერეთლის ბიოგრაფიით გვ. 89).

აქედან ცხადია, რომ ეგნატე მწერლობასთან მივიდა, როგორც ქარხნის მუშა. ეს გარემოება მას დიდათ ანსხვავებს გორკისაგან, რომელიც, როგორც ზემოთაც ვთქვი, მწერლობასთან მივიდა, როგორც ყოფილი ბოსიაკი და კანტორის მოსამსახურე.

აქედან თითქო მოსალოდნელი იყო ამ განსხვავებასა და გარემოებას გადამჭრელი გავლენა მოეხდინა ნინოშვილის მთელ შემოქმედებაზე და მას მოეცა უფრო პროლეტარული რამ.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. რატომ?

— ქართველი საზოგადოება ამ ხანაში (1880-90-იან წლ.) ფეოდალურ-პატრიარქალურ ნაშთების განადგურების გზით კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ საფუძველზე გადადიოდა.

ერთი მხრით მუშათა კლასი ჯერ კიდევ არ იყო სავსებით ჩამოყალიბებული, ხოლო მეორეს მხრით ქართველი ბურჟუაზია უცხო კა-



პიტაღორის საფარველ ქვეშ წამოჭრილ იყო და ცხოვრების მესვეურობას თითქო ლამობდა, თითქო საკუთარ ფეხზე სდგებოდა და მშრომელ მასების განუკითხავ ექსპლოატაციას ეწოდა.

ამ სახით ქართულ საზოგადოებრივობას საზღვრავდა ერთი მხრით გლეხკაცობის მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრით თვითმპყრობელური ბიუროკრატიის თარეში და კაპიტალის უხეში ექსპლოატაცია.

აქედან ქართველი მწერლის ამოცანა იყო მოეცა მას ამ გარდამავალი ხანის სურათი, აესახა ყველა ის პროცესები, რაც გლეხურ ქვეყანაში გლეხობის კლასობრივ დიფერენციაციას ახდენდა, გადაეშალა მკითხველის წინაშე ეს შემზარავი ცვლილებები, რასაც მშრომელი გლეხკაცობა ამ გარდამავალ ხანის უკანასკნელ ფაზაში განიცდიდა თვითმპყრობელურ ბიუროკრატიისა და გარეშე და შინაურ კაპიტალის სიმძიმის ქვეშ.

ამასთან ამ მწერალს ერთი მხრით უნდა დაეხატა მშრომელი მასის ქალაქისაკენ სწრაფვა, ხოლო მეორე მხრით უნდა ეჩვენებია ამ მასიდან გამოსული ყველა ის ძალები, რომლებიც იმ დროს თავისებურათ, შეუკავშირებლათ იბრძოდნენ და შემდეგშიც უფრო შეგნებულათ და დარაზმულათ შეებრძობებოდნენ ბიუროკრატიულსა და კაპიტალისტურ მჩავერელებს.

რუსულ მეწერლობაში ეს ამოცანა სავსებით და ზედმიწევნით შეასრულა ნაროდნიკულ ლიტერატურამ; ქართულ მეწერლობაში კი ამ მხრით იმ დროს ვრცელი და ფართე ხარვეზი იყო. მართალია ნინოშვილზე წინათ ჩვენშიაც იმუშავეს ნაროდნიკ მწერლებმა და სხვებმაც:—ანტონ ფურცელაძემ, სოფრომ მგალობლიშვილმა, ნიკო ლომოურმა, გიორგი წერეთელმა და სანდრო ყაზბეგმა, მაგრამ მათ ჯერ ერთი ჩვენი ცხოვრების ბევრი მხარე დარჩათ აუსახველი და მეორე არც ერთი მათგანი ისე რეალისტურათ, სისტემატიურათ და მწყობრათ არ შედგომია საქმეს, როგორც ეს ნინოშვილის შემოქმედებამ გვიჩვენა.

ეგნატე ნინოშვილმა დაამუშავა ზემოაღნიშნული ჩვენი ლიტერატურის ხარვეზი და მასთან ის უკვე მზათ იყო გადასულიყო პროლეტარულ თემაზე, მუშათა კოლექტიურ ბრძოლის ასახვაზე და მუშათა კლასის იდეალების მხატვრულ ფორმებში ჩამოსხმაზე, მაგრამ ცხოვრებამ და ჯანმა მას უმტყუნა და სიცოცხლე მოუსპო. ეს იყო 1894 წლის გაზაფხულზე. ასე რომ ეგნატეს დიდათ ინტესიური შემოქმედება მეხუთე წელიწადზე სრულიად მოულოდნელად შეწყდა.

იმ დროს, როცა მაქსიმ გორკი ბოსიაკებს გვიხატავდა და ამ ნაძირალ-ნალეკ მასაშიაც ადამიანის მეტათ საყურადღებო და სიმპა-



ტიურ მხარეებს პოპულობდა, ნინოშვილი გვისურათებდა გურული გლეხის კრიტიკულ მდგომარეობას, მის სოციალურ ტკივილებს და იმ კლასობრივი ბრძოლის მეთოდებზედაც გვითითებდა, რომლითაც შემდეგში მუშათა კლასი მჩაგვრელ ძალებს უნდა გამკვლავებოდა. იმ დროს, როცა გორკი „მაკარ ჩუდრას“ სწერდა (1892 წ.) და რევოლუციონურ სიმელოებს — გრიგალას და შევარდენს — უმღერდა, ნინოშვილს უკვე დაწერილი ჰქონდა სოციალური მოთხრობა — „სიმონა“ და ამ „სიმონათი“ ის მომავალ მუშათა რევოლუციონურ რაზმების ელემენტებს ჰქმნიდა.

#### IV

ეხლა თუ ვიკითხავთ: რომელი მათგანი იყო ამ ხანაში (1890-იან წლები) პროლეტმწერალი: უნდა ვუპასუხოთ; არც ერთი, რადგან არც ერთს მათგანს თემა პროლეტარული მხატვრული თვალსაზრისით და მეთოდით არ დაუმუშავებია, არც ერთის მათგანის ამ რდონდელი შემოქმედება პროლეტმწერლობის თვისებებით არ ხასიათდება. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ამ ხანის გორკიც ისე ნინოშვილი მთლიანათ პროლეტმწერლობის წინამორბედათ ჩაითვლება. ამ მხრით ნინოშვილი ტოლამხანაგია მაქსიმ გორკის, — მხოლოდ 1890-იან წლების გორკის და არა მსოფლიოში დღეს სახელგანთქმულ მწერლის საბჭოთა პროლეტარიატის დღევანდელ იუბილარის. ნინოშვილი გორკის მხოლოდ მოთხი წლით სწვდება, მათი ერთიმეორესთან შედარება მხოლოდ ამ მოკლე პერიოდით განისაზღვრება.

წინამორბედია ორივე ეს მწერალი პროლეტმწერლობის ერთი იმიტომ, რომ ორივე რადიკალური უარყოფით უყურებს არსებულ კაპიტალისტურ წყობილებას და ორივე ამ წყობილების გარდაქმნის თვალსაზრისით უყურებს ქვეყანას. მეორე — ორივე ეძებს ცხოვრებაში გრდამქნელ ძალას და არც გლეხკაცობა და არც ბურჟუაზიული ინტელიგენცია მათ არ მიაჩნიათ ასეთ ძალად, და მესამე — ორივე წინასწარ ხედავს, ამჩნევს: ცხოვრების გარდამქნელი, ახალი ქვეყნის მშენებელი ძალა მშრომელთა მასებიდან უნდა გამოვიდეს. მათი დროის სხვა მწერლები არ იზიარებენ ასეთს მათს თვალსაზრისს და ვერც გრძნობენ მშრომელი ელემენტის ისტორიული მდგომარეობის შეცვლის მოახლოვებას. ამით ერჩევა მათგან ეს ორი მწერალი და ხდება წინამორბედი მომავალ პროლეტმწერლობისა. ასეთია მათი მსგავსება, ერთობა.

მაგრამ თვითეული მათგანი ამ დასკვნებამდე, ამ უარყოფის საზოგადოებრივი პროტესტის თვალსაზრისის გამოსამჟღავნებლად თა-



ვისებური მხატვრული გზით და მეთოდით მიდის. ამ მხრით კი მათ შორის დიდი განსხვავებაა. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება და რითი აიხსნება ეს?

ნინოშვილი რევოლუციონური თვალსაზრისით უყურებს თავისი დროის სოფლის ცხოვრებას და მხატვრულ ანალიზს უკეთებს მას. ის უდგება სოფელს, როგორც ის სინამდვილეშია მოცემული, არავითარ იდეალიზაციას მის ასახვაში ადგილი არა აქვს, აქედან მისი მხატვრული მეთოდი წმინდა რეალისტურია. ის მომავალზედაც არ ოცნებობს და არც ამ მომავლის სიმვოლებს ჰქმნის, ამიტომ რომანტიკას გაუბრბის და არც ლირიკულ პათოსს ეძლევა

მას რეალისტური მხატვრული ანალიზით მკითხველს საშუალებას აძლევს თვითონვე მან გამოიყვანოს დასკვნები, თუ რა გვარი ძალები იმარჯვებენ სინამდვილეში, ვინ არიან მჩაგვრელები, რა ელემენტები, ებრძვის მათ და როგორია ტენდენცია ამ ძალების განვითარებისა. ის სულაც არ ცდილობს ამ სინამდვილის გამშვენებებს ან მომავლის კონტურების ზოგადათ წარმოდგენას და რევოლუციონური რომანტიკით მკითხველის გატაცებას. ამრიგად ნინოშვილი ზედმიწევნით რეალისტია თავის შემოქმედებაში და მოკლებულია ყოველგვარ ტენდენციურობას.

სულ სხვაა 90-იან წლების გორკის შემოქმედება. ის სოფლის ცხოვრებას სულაც არ ეხება, მისი თემაა ქალაქიდან ქალაქში „მოხეტიალე“ მშრომელის ცხოვრებიდან აღებული ეპიზოდები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ზოგჯერ რევოლუციონურ-რომანტიული, იდეალიზაციაქმნილი სახეები შექმნას და ამით პიროვნების მჩაგვრელი ძალების წინააღმდეგ მყვირალა პროტესტი განაცხადოს, ხოლო სულერთია მისთვის, თუ ვინაა ეს პიროვნება: მუშა, გლეხი, თუ ინტელიგენტი.

მაგრამ ამ მეთოდითაც ის იმავე საერთო დასკვნას აღწევს, რასაც ნინოშვილი. სახელდობრ: საშინელ ბორკილებს ქმნის არსებულ საზოგადოებრივი წყობილება თავისუფალ მშრომელ ელემენტისათვის, რისთვისაც ეს ბორკილები აუცილებლათ უნდა დაიშინოს.

ორივე ნაირი მხატვრობა თითქო ერთსა დაიმავე შედეგს აღწევს, თითქო ამ მხრით განსხვავებაც არ იყოს, მაშინ როდესაც სინამდვილეში ეს ასე არაა.

რუსეთში რომ იმ დროს გორკის ნინოშვილსავით ეწერა, ან ნინოშვილი გორკივით რომანტიკას შესდგომოდა, არც პირველს და არც მეორეს დიდი და ახალი არაფერი არ გამოუვიდოდა და მათი შემოქმედება მათი საზოგადოებისაგან უყურადღებოთ დარჩებოდა.



მწერლობის მოტივებს, თემებს და მხატვრულ მეთოდს თვითონ მწერალი კი არ ჰქმნის, არამედ თვით ცხოვრების ვითარება.

როგორი სულიერი განწყობილება, სულის კვეთება ბატონობს საზოგადოებაში ისეთია ამ საზოგადოების გამომხატველი მწერლობის ლეიტ-მოტივიც, თემატიკაც და მხატვრული მეთოდიც.

ამიტომ 90ი-ან წლების რუსის და ქართველი საზოგადოების ვითარების სხვადასხვაობამ, განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე დგომამ განსაზღვრა, როგორც ნინოშვილის, ისე გორკის შემოქმედება და ამ შემოქმედების ხასიათი და შედეგი.

ეგნატეს დროის ქართველ საზოგადოებაში კლასობრივ დიფერენციაცია არ იყო ისე შორს წასული, როგორც ეს რუსულ საზოგადოებაში იყო, ის ერთნაირ მშრომელთა ნარევ მასას წარმოადგენდა, სადაც მომავალი პროლეტარი ჯერ კიდევ ათასნაირი ძაფით იყო გადაბმული მიწასთან და მომავალ ბურჟუაზიასთან; ამომავალი კლასი, მუშათა კლასი არა სჩანდა და საზოგადო მოღვაწემ არ იცოდა, ვერ გარკვეულიყო თუ ვის, რომელ ფენას დამყარებოდა; მაშინ როდესაც თავად-აზნაურობის შემდეგ ძველი მშრომელი წოდება, გლეხობაც ერთიანათ ნადგურდებოდა. ახალი კლასები კი აშკარათ არა სჩანდნენ.

ამიტომ ქართველი მწერლის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ნათლათ, სიცხადით დაენახვებია ყველასთვის, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში, რა სოციალურ დუღილს განიცდიდა სოფლური ცხოვრება, რა პროცესები და ტენდეციები ვითარდებოდნენ მის წიაღში. ან ახალი საიდან ჩნდებოდა — და ან ძველი როგორ ისპობოდა.

აქ ყოველნაირი იდეალიზაცია საქმეს გააფუჭებდა და აღნიშნულ ვითარებას კიდევ უფრო გახვევდა ბურჟუსში. იდეალიზაციაქმნილ ცხოვრების ასახვას კი არ მოითხოვდა იმდროინდელი ჩვენებური მკითგველი, არამედ სინამდვილისას, რომ ის ამ სინამდვილეში გარკვეულიყო და თავის შესაფერი გეზი აეღო მას ცხოვრების მძაფრ მსვლელობაში.

ნინოშვილმა დროის ამ მოთხოვნილებას აუღო მხატვრული ალღო და ყოველივეს ზედმიწევნით რეალისტურათ აგვიწერდა. რომ გეკითხათ მისთვის, თუ ვისი მხატვრული სკოლის მიმდევარი იყო. ვერ ვიპასუხებდით. მან მაგალითად, ერთნაირათ გაიკვირვა მაშინაც, როცა გაიგო, გიორგი წერეთელი მას თავისი „რეალისტური“ (უკეთ — ნატურალური) სკოლის მიმდევრად სთვლიდა და მაშინაც — როცა ნოე ჟორდანიამ მას მოთხოვა „ქრისტიანე“ ძალიან მოუწონა: „ეს მოთხოვნა, სწერდა ის პარიჟიდან მას (1893 წელს). შენი მხატვრული შედეგებიაო“.



„არ ვიცი რას ეძახის ეს კაცი შედეგს, მე ვწერ ისე, როგორც შეხერხება რა როგორც საჭიროდ მიმაჩნია“-ო, სთქვა ეგნატემ ამ დროს. და მართლაც ასე იყო: მას წინდაწინვე ამოჩემებული მხატვრული სკოლა, მეთოდი, ფორმა არ გააჩნდა. ამის მიუხედავად, როგორც ზემოთ ვთქვი, რეალისტური მეთოდისათვის ერთხელაც არ უღალატნია.

რამდენიმეთ სხვა იყო იმ დროინდელი რუსული პირობები: იქ კლასიური დიფერენციაცია, გაცილებით შორს იყო წასული და აქა-იქ გიგანტი — ქარხნები, განსაკუთრებით მთავარ ცენტრებში, ჩნდებოდნენ. იქ აშკარად არა მარტო გლეხის პიროვნება იყო გათელილი, არამედ მუშისაც, ინტელიგენტისაც და საერთოდ ყველასი, ვინც კი დამოუკიდებელ თავისუფალ აზროვნებას და ცხოვრებას მოისურვებდა. ამიტომ იქ ამის საწინააღმდეგო პროცესი უკვე დაწყებული იყო, იქ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში სულ სხვა გვარი სულიერი განწყობილება, სულისკვეთება იყო გაბატონებული, და მწერლობის ამოცანაც სხვაგვარი იყო.

იქ ამ დროს, ცხოვრების ერთ ადგილზე ერთ წერტილზე შეჩერების და „ტკეპნის“ გამო თავმოებურებულ ახალგაზრდობას მომავლის მოჩვენებითი და ცრუ აჩრდილიც კი იზიდავდა: სურდა ამ მომავლი ზოგადი კონტურები მაინც წარმოედგინა და მიმდინარე სინამდვილე შეფერილათ, ფერადი სათვალეებით დაენახა. ეს იყო იმ დროინდელი ახალი რომანტიული მიმართულება, რომლის ერთად-ერთი დიდი გამომხატველი და წარმომადგენელი მაქსიმ გორკი გახდა.

პლექხანოვის აზრით გორკის თავიდანვე გამარჯვება და დიდი სახელის მოხვეჭა იმით აიხსნება, რომ მან „მომენტის შესაფერი სიტყვა სთქვა“. კრიტიკ ვოროვსკის აზრით კიდევ გორკის გამოსვლა სოციალური ცხოვრების დიდი და მძაფრი გარდატეხის მომენტში მოხდა: როცა მიწათმომქმედი, ბატონყმური სოფლური რუსეთი სამრეწველო. ბურჟუაზიული და ქალაქური ცხოვრების მატარებელი თანდათან ხდებოდა“.

ვფიქრობ, გორკის მწერლობის ორი პირველი პერიოდი მაინც ამ საერთო მოთხოვნების დაკმაყოფილება იყო.

ამ პერიოდის გორკის შემოქმედება სწორეთ ამიტომ მიმართავდა რეალისტურ მეთოდს კი არა, არამედ რევოლუციონურ რომანტიზმს. სინამდვილის იდეალიზაციას და რევოლუციონურ მომავლის სიმვოლიკას.

ჩვენში კი ამის მოთხოვნილება ჯერ კიდევ არ იყო და ნინოშვილიც ასეთ მხატვრულ ხერხებს არ ხმარობდა.

ამრიგათ რეალისტი ნინოშვილი რეალისტ გორკიზე (შემდეგ პერიოდებში გორკი სულ უფრო და უფრო მიმართავდა რეალიზმს) ად-



რე ჩნდება; მაშინ როდესაც რეალიზმი რუსულ ლიტერატურაში ტურგენევის სახით 50-60-იან წლებში განვითარდა .

გორკის რევოლუციური რომანტიზმი ნინოშვილის სიკვდილის შემდეგ ხანაში ჩვენშიაც დიდ გავლენას ახდენდა და მისი ბევრი ნაწერი კიდევ ითარგმნებოდა მაშინ ჟურნალ „კვალში“ (1900 წლიდან).

ამ ხანაში რომ რევოლუციონურმა რომანტიზმმა ჩვენშიაც ნიადაგი ჰპოვა. ამას პოეტ იროდიონ ევდოშვილის პოეზიაც მოწმობს. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ჩვენში ნინოშვილის შემდეგ პოეტების მთელი პლეადა ჩნდება, რომელიც დემოკრატიულ რევოლუციონიზმს უმღერის.

ყველა ამ რევოლუციონურ-დემოკრატიულ მწერლებს და 90-იან წლების გორკისაც ნინოშვილთან ერთად ჩვენ ვუწოდებთ პროლეტ-მწერლობის წინამორბედებს, რადგან მათ უმღერეს „მამაცთა სიგიჟეს“, რადგან მათ თუმცა ზოგადათ, მაგრამ პირველათ ასახეს მუშათა კლასის ყველა ის რევოლუციონური ელემენტები და მიდრეკალებანი, რომლებიც შემდეგ ხანაში მეტროდოლ ნამდვილ პროლეტარულ რაზმებს აღმოაჩნდათ, იმ რაზმებს, — რომლებმაც პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებით ნამდვილი პროლეტმწერლობაც შექმნეს.

ეგნატე ნინოშვილმა ჯერ კიდევ 1891 წელს თავისი მოთხრობის მთავარი გმირის — „სიმონას“ — პირით სთქვა: „ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაააეციეს და ჯოჯოხეთში სულზე არავინ ფიქრობს..... ერთი მუშა-კაცი ვიყავი, გასაჭყლეტათ მომინდომეს..... ნახონ თუ კაია თავზე ხელაღებული კაცი“-ო.

ნინოშვილის სიმონა ძალაძე, სოფლის პატიოსანი მუშა, რომელიც თავისი პირადი მოსისხლე მტერზე შურის საძიებლათ შეიარაღებისათვის მხოლოდ „ოთხი თვით საჭირაოზე“ მიდის, იარაღდება და მუსრს ავლებს თავის მტრებს, ნამდვილი წინამორბედია და პროტოტიპია იმ შეგნებული რევოლუციონური მუშის, რომელიც ქარხანაში არა მხოლოდ „ოთხი თვით მიდის ქირაზე“, არამედ მუდმივათ და საბოლოოთ დამკვიდრებულა იქ და რომელიც არა მარტო საომარი იარაღებით იარაღდება, როგორც რევოლუციონერი, არამედ ცოდნითაც და შეგნებითაც, რომ თავის კლასის მტრებზე კლასიური შური იძიოს და საბოლოოთ ძირს დასცეს და დაამხოს მოპირდაპირე კლასი.

ნინოშვილის გაყაჩაღებული სოფლის მუშა სიმონა ძალაძე რომ გორკის ბოსიაკ გმირ-ქურდს, ყოფილ სოფლელს ჩელკაშს შევადაროთ, აღმოჩნდება, რომ პირველი ძლიერათ გვინერგავს რევოლუციონურ ემოციას და გვაყენებს რევოლუციონური ქმედობის გუნებაზე.



პირველი რეალისტური მხატვრული ხერხით მოცემული „სიმვოლია“ უკეთ — წინამორბედია მომავალი რევოლუციონურის, ხოლო მეორე რომანტიული ხერხით დახატული „გმირი — ბოსიაკი“, რომელიც ზოგი თავისი ინდივიდუალური ადამიანური ღირსებით და ქალაქის მუშის ზოგი პროლეტარული განწყობილებით მხოლოდ ჩვეულებრივ ქალაქელ პროლეტარს გვაგონებს და მეტი არაფერი.

ჩელკაშის განწყობილება სოფლელ გავრიილასთან და მასზე მისი შეხედულება ეს ჩვეულებრივ დამოკიდებულება — განწყობილებაა ქალაქის პროლეტარ მუშისა, მიწის მუშა-გლეხთან. აქ რევოლუციონური განწყობილება სულაც არა სჩანს და არც შეიძლება ჩელკაშებს ასეთი რამ ამოძრავებდეს, ამიტომ მათი „გმრობა“ ოდნავაც არ იწვევს მკითხველში რევოლუციონურს რასმე.

მაშ თუ 90-იან წლების მაქსიმ გორკის ნინოშვილს შეუდარებთ, უნდა ვსთქვათ:

1. ორივე ეს მწერალი თავის შემოქმედებით მხოლოდ წინამორბედია ეხლანდელი რუსულისა და ქართული პროლეტმწერლობის.

2. ორივე ტფილისის მოსწავლე ახალგზრდობის რევოლუციონური პირველ ორგანიზაციის მონაწილეა.

3. ორივეს იდეოლოგიის საფუძველი რაციონალისტურ-რევოლუციონურია, თუმცა მშრომელ მასასაც იმედით და ნდობით შეჰყურებენ მხოლოდ სჯერათ, რომ ის რევოლუციონურ მოძრაობაში ჩაებმება მხოლოდ რევოლუციონური ინტელიგენციის წინამძღოლ-მეთაურობით.

4. ორივე უარყოფით უყურებს გლეხკაცობის მომავალს და რევოლუციონურ იმედებს მასზე, როგორც წვრილ მესაკუთრეზე ოდნავაც არ ამყარებს.

და 5. ორივე განსაკუთრებულ ნიჭს იჩენს ლიტერატურის თხრობითი ჟანრში.

ასეთია მათ შორის მსგავსება, მაგრამ განსხვავებაც დიდია:

1. ნინოშვილი სრულიად თავისუფალია ანტირევოლუციონური აზროვნების ელემენტებისაგან, („ჩვენი ქვეყნის რაინდი“-დნ: „წავიდეთ ჩვენც, ჩვენც შევსწიროთ თავი ხალხის ბედნიერებას“.). მაშინ როდესაც 90-იან წლების გორკი „ტოლტოვიზმის“ ნაშთებით არის გამსჭვალული („მწერალი“).

2. 90-იან წლების მაქსიმ გორკის მხატვრული თვალსაზრისი ანარქისტულ — ინდივიდუალისტურია („ჩელკაში“), ნინოშვილის კი — სოციალური („განკარგულება“).



3. ნინოშვილის შემოქმედება რამდენიმეთ პროლეტარული რევოლუციონიზმით ხასიათდება („სიმონადან“: „სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადამიქციენ და აგია, ნახონ, თუ კაია თავზე ხელაღებული კაცი“!), გორკის კი პირწმინდა ინდივიდუალისტურ — ინტელიგენტურით („სიმღერა შევარდენზე“ და „გრიგალა“).

4. გორკის მხატვრობის მთავარი ხერხი რევოლუციონურ-რომანტიულია, ნინოშვილის კი რევოლუციონურ-რეალისტური, რითაც ეს უკანასკნელი პროლეტმწერლობის მხატვრულ მეთოდს უფრო უახლოვდება.

დასარულ 5. მხატვრული ძლიერებით, „ტეხნიკით“, სტილით და ნიჭით მაქსიმ გორკი, ანატოლ ლუნაჩარსკის თქმისა არ იყოს ნამდვილი „თავისიანი კლასიკოსია“ რუსეთის პროლეტარიატისათვის, რაც ნინოშვილზე არ შეიძლება ითქვას.

უნდა აღინიშნოს ერთიც: ნინოშვილს არ დასცალდა თავისი მხატვრული შემოქმედება ბოლომდე გადაეშალა და თავისი ნიჭი უმაღლესათ განევითარებია, როგორც ეს მაქსიმ გორკის არგუნა ისტორიამ; მეორეც: გორკი დიდი ხალხის შვილია, ხოლო ნინოშვილი კი მეტად პატარასი.

ეს ორი გარემოება საშვალებას გვისპობს ჩვენი ცხოვრების განვითარების ერთი პერიოდის ეს ორი მწერალი მთელი სიგრძე-სიგანით შეუდაროთ ერთმანეთს და ის ე შევაფასოთ.

მხოლოდ შემთხვევითს მოვლენას — ჯანის სისაღეს — სიმაგრეს და განსაკუთრებულ გარემოებათ — მიეწერება: მაქსიმ გორკი რუს ახალგაზრდა პროლეტმწერლებს მხნეთ და თავგამოდებით მიუძღვის წინ, მაშინ როდესაც კიდევ უფრო ახალგაზრდა ქართულ პროლეტმწერლობის რიგებს არ ამკობს ნათლით შემოსილი ეგნატეს „ჭალარა“, მისი ენტუზიაზმით და უსაზღვრო აღმაფრენით გაბრწყინებული კდემამოსილი ცოცხალი სახე!

მაგრამ ისტორიულ-პროლეტარული თვალსაზრისით ეს ამბავი იმდენათ არის საყურადღებო, რემდენათაც ერთის დაღუპვით საერთო საქმე არ დაბრკოლებულა, ხოლო მეორეს „ბედნიერი“ და ჯანსაღი ცხოვრებით იგივე საკაცობრიო საქმე წინ მიდის.

და ეს მართლაც ასეა: ეგნატე „უდროვოთ“ მოკვდა „უდროვოთ“ გავარდა მას ხელიდან კალამი, მაგრამ სამაგიეროთ პროლეტარიატის და კაცობრიობის დიად საქმის გასამარჯვებლათ ეს კალამი ხელთ იპყრა მისივე თანამოძმემ, მისივე კლასის შვილმა, იდეურათ მისივე „მკვიდრმა და ნათესავმა“, მაქსიმ გორკიმ და კიდევ უფრო მეტი სიმახვილით და სიმძლავრით განაგრძო მან იმ დიდი „მხატვრული ტილოს“



შესრულება, რომელიც ეგნატეს მხოლოდ თავისი პატარა ხალხის ფონ-ზე მხოლოდ „აზრათ“ ჰქონდა.

დიადი კლასის და დიდი ხალხის შვილს ისტორიამ დიადი როლი აკისრა შესასრულებლათ და ყოველნაირი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ: პროლეტარული დირსებით აღასრულებს მას.

— : —



## ლადო ალექსი-მესხიშვილი

ჩვენ აქტიორებს შორის ხშირად არის დავა იმის შესახებ, რამდენად საჭიროა მსახიობისთვის იყოს სცენაზე ფიზიოლოგიური.

ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ ამა და ამ აქტიორმა კაცმა ან ქალმა მაყურებელი სულითხორცამდე აატირა, მერე კი ცივად მობრუნდა კულისებში და დაუწყო გულგრილად საუბარი თავის პარტნიორსო. მე მიყვარს ეს ტყუილი, რომელიც ყოველ აქტიორის უფლებას შეადგენს. უნდა დააჯერო მაყურებელი, მაგრამ მთლიანად თვითონ არ მიეცე თავის გრძნობას. მე ძალიან ვაფასებ, ამ აქტიორობას და ამ ოსტატობას.

მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ ჭეშმარიტ გენიოსებს არ უნდათ ასე თამაში. რადგან ასე თამაში შეუძლია იმას, ვინც ტეხნიკით და ხერხებით სარგებლობს.

მე აგრეთვე ისიც ვიცი, რომ ტრაგედიის ფორმა არ ნებდება ხერხებით თამაშს, მისი დაძლევა შეიძლება მხოლოდ საკუთარი პიროვნული ძალით და ვნების შთაგონებით.

მაგრამ სამაგიეროთ რა იშვიათია ისეთი აქტიორი, რომელიც ასე თამაშობს. სწორედ შთაგონებული ძალით, რომელიც ძირიან ფესვიანად არყევს გრძნობას, ამ გულის სიმართლითა და სიცხოველით თამაშობდა ლადო მესხიშვილი.

ყოველ სიტყვას, რომელსაც ამბობდა სცენაზე ის სწავდა საკუთარ ტვინში და თავისი ეროვნული ტემპერამენტის ყოველი ნერვიო იცავდა ამ სიტყვას. თუ მის გმირს სცენაზე სირცხვილი უნდა განეცადა, მაშინ მისი სახე დაიფარებოდა ცეცხლის ალით, თუ მოულოდნელად ღალატი მიუახლოვდებოდა, ანდა სიკვდილის გრძნობა, მისი სახე თანდათან ფითრდებოდა, და შუბლზე მოადგებოდა ცივი ოფლის წვეთები, ეს იყო კეთილშობილი უარყოფა თავის აქტიორობის, როგორც საზღვარისა, რომლის იქედანაც წარმოდგება სტიქიური, ადამიანური და დაუმონებელი გრძნობა.

მახსოვს ასეთი იყო ურიელ აკოსოტას გასამართლების სცენა, როცა სანთლების ფერის კრთომაზე ინთებოდა მისი სახე და ჭეშმარიტება რჩებოდა შეურყეველი:



— „მაინც ბრუნავს“-ო.

ღედა იგონებს, როცა ის პირველად თამაშობდა მამასთან. მელოდრამაში „დამნაშავეის ოჯახი“ მას გული შეუწყუხდა და დაიწყო ყვირილი სცენაზე.

ასეთი მოგონება არაა იშვიათი.

მე თვითონ მამის სიტყვებიდან ვიცი, რომ როცა ის ერთხელ თამაშობდა იუდუშკას, პარტერიდან მას ესროლეს პორტსიგარი, მხოლოდ შემთხვევით გადარჩა დასახიჩრებას.

მახსოვს ჩემი ბავშობა. ხანდისხან ჩვენ პატარა ბავშვებს წაგვასხანდენ წარმოდგენაზე. დიდებულია ეს მუშაობის მოგონებანი. ჩვენ ისეთი გულუბრყვილონი ვიყავით, ბევრჯერ აზრსაც ვერ ვიგებდით, მაგრამ ვცხოვრობდით იმ შთაბეჭდილებით, რომელიც ჭეშმარიტ არტისტისგან გადაგვედებოდა.

მე ვტიროდი, როცა ვხედავდი მესხიშვილს კინის როლში და ვიცინოდი, როცა ის რასპლუიევს თამაშობდა.

რასპლუიევის როლის შესრულების დროს დიდ დამსახურებას უნდა ჩაითვალოს, საოცარი ოსტატობაა კომედიური შესრულებით მაყურებელის ატირებისა, ტრაგიულად გაკეთებულ ფრაზით, რადგან როცა ხედავ ამ სასაცილო სახეს, ყოველთვის გრძნობ ამ ადამიანის უბადრუკობას.

ასეთი იყო სცენა ფულების გადათვლისა.

შემდეგ მე ბევრი გამოჩენილი არტისტი მინახავს ამ როლში, მათ შორის რუსეთის სცენის ისეთი გოლიათი, როგორც დავიდოვი იყო, მაგრამ ამნაირი გაგება რასპლუიევის ტრაგიული აზრისა, კომედიის საშუალებით, მე ყოველთვის უფრო სამართლიანად მეჩვენებოდა.

ლადო მესხიშვილი გულისძირამდე ხელოვნების ადამიანი იყო, მას უყვარდა თავის ხელოვნება და ამ სიყვარულის ზომითვე ჰქონდა მინიჭებული შრომის უნარიც. მას ჰქონდა დიდი შრომის მოყვარეობა, მაგრამ ეს შრომა აქტიორულ ხასიათისა იყო. ხშირად სთარგმნიდა ხოლმე პიესებს, სწერდა სტატიებს, მაგრამ მთავარი მისთვის მაინც წმიდა სცენიური მუშაობა იყო, აქ ის აერთებდა აქტიორსა და რეჟისორ-პედაგოგს.

მოთხოვნილება, რომ აღეზარდა აქტიორი და თავისი საქმე გაეგრძელებია მასში იმ თავითვე იყო ჩანერგილი. როგორც კი გადასახლდა ქუთაისში და იქ დაარსდა თეატრი, ლადო დაეჩქარა შეექმნა თავის რეპერტუარისთვის საჭირო აქტიორული მასალა, ამიტომ ის თავდავიწყებით ჩაება ამ აქტიორების ახალი კადრების შექმნაზე მუშაობაში.



მე მახსოვს მისი დიდი მეცადინეობა ნ. ჩხეიძესთან, ნ. დავითაშვილთან, ი. ზარდალიშვილთან. ა. იმედაშვილთან და სხვებთან., რომელთაც შემდეგ მაგარი საფუძველი ჩაუყარეს ამ თეატრს.

უფრო სიყვარულით ის შეხაროდა იმას, რომელსაც აიყვანდა ქართული დრამის აყვავების იმედათ:

უფრო კი ეძებდა ნედლ მასალას, ალბად იმისთვის რომ შესძლებოდა თავისი სულის შთაბერვა.

ჩვენ ბინაზე ყოველთვის იყო ასეთი მეცადინეობა, გარდა სასცენო ხელოვნების სწავლებისა, აქ იღებდენ აგრეთვე საერთო განათლებასაც, მასწავლებლებიდან მახსოვს: ანნა მეძმარიაშვილი და ი. აბაკელია.

მახსოვს იუზა ზარდალიშვილი, ის გამოსული იყო უბრალო წრადან, და განსაკუთრებით უყვარდა კარგი ჩაცმა-დახურვა, ასე რომ უნებლიეთ სხვის ყურადღებასაც იქცევდა.

სხვები ამას დასცინოდენ, მაგრამ მამა რაღაც უჩვეულო სინაზით არჩევდა იუზას. მახსოვს გამხდარი, მწუხარე გრაციით, სახე ნუცა ჩხეიძის, რომელსაც მე გავუფუჭე ცხოვრებაში ერთი დღე.

„მედეაში“ მე ვთამაშობდი მის ბავშს და ისე გავერთე ნუცას თამაშით, რომ კულისებიდან გავედი სცენაზე და პირდაპირ შევაჩერდა სახეში, თუმცა სცენის მსვლელობით მედეას უკვე დაკლული ჰყავდა თავისი ბავშვები. შემდეგ ქუთაისში ჩამოვიდენ: ნინა დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ვ. შალიკაშვილი, მ. ქორელი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი და მ. მდივანი.

პირველად ეჩვეოდენ აქტიორები სტილის გრძნობას, ჟესტსა და კოსტიუმებს. ლადო მესხიშვილს განსაკუთრებით უყვარდა სათეატრო კოსტიუმები, და მისი შემოსავალი უმთავრესად ამაზე იხარჯებოდა.

ბინის ყველა თავისუფალი ოთახები ამ თეატრალურ სახელოსნოს საგნებით იყო გავსებული.

ჩვენ მუშები სახლში ვთამაშობდით საბავშო წარმოდგენებს, ერთხელ ბავშვები შევმოსეთ ძველი რომის „ქრისტიანებათ“ და ველოდით „მხეცებისგან დაგლეჯას“. ასეთმა შემთხვევამაც არ დაიგვიანა, წარმოდგენაზე მოულოდნელად შემოვიდა მამა და ჩვენ მსხვერპლად დავეცით: ნაწილი კუთხეში მუხლებზე დაგვაჩოქეს, ნაწილმა უფრო რადიკალური კერძი მიიღო. მაგრამ მამას დიდხანს არ შეეძლო გულმოსული ყოფილიყო. სახეზე გამოუჩნდებოდა ღიმილი და ერთი წამის შემდეგ თვითონ ყიდულობდა ბილეთს ამ ჩვენ წარმოდგენაზე.

მაგრამ ძნელია მის ღიმილზე და სახეზე რამის თქმა. ამხანაგებს და იმათ ვინც იცნობდენ ლადო მესხიშვილს, ახსოვთ ალბად, ის იყო



სრულყოფილი სილამაზე. მისი სახე გამოხატავდა მის აქტიურულ ჯი  
შიანობას, მაგრამ ის გაუღენთილი იყო მისი კულტურით, პიროვნულა  
ნიჭიერებით და იმ თავისუფლების სიყვარულით, რომლითაც მაშინ  
ავსილი იყო მოწინავე საზოგადოებრივობა.

ლადოში იყო კეთილშობილება, მისი ეროვნების მგრძნობელობა  
და შექსპირისა და შილერის ადამიანობის პათოსი.

რუსეთში, მოსკოვში, როცა მასთან ერთად შევდიოდი თეატრში,  
მე ვგრძნობდი საყოველთაო ყურადღებას, მკიდებდნენ ხელს და მე-  
კითხებოდნენ:

— ვინ არის შენი მამა!

მე საშინლად ვეჭვიანობდი ამ კითხვების შესახებ, ისე როგორც  
იმ მედალიონებზე, რომელშიაც ჩასმული იყო მამის პორტრეტები. ამ  
მედალიონებს ქუთაისის გიმნაზიელი ქალები (წმიდა ნინოს სასწავ-  
ლებელი) ატარებდნენ გიმნაზიის გათავების ნიშნათ. ძალიან შორს წა-  
ვედი, ვლავარაკობდი კი მის შრომის მოყვარეობაზე, მოგონებებს გა-  
დავყევარ ერთ-ერთ ჩვენ ბინაზე ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე. მამა  
ძალიან ადრე დგება, სწავლობს ან იმეორებს როლის ტექსტს. როლს  
ის ჯერ თავისთვის სწავლობდა, ნახევარი ხმის აყოლებით, თითქო  
უნდა შეეჩვიოს ინტონაციასო, სინჯავს მის სხვადასხვა გამოთქმას.  
ყოველთვის როლებში და პიესებში ადგილებს წითელით ან ლურ-  
ჯით ნიშნავდა.

ჩაის სმის დროს ასევე აგრძელებდა, ხანდისხან ჩვენ შეკითხვის  
დროს სხვა რამეს გვიპასუხებდა, სახეს ეტყობოდა ჟესტიკულიაცია და  
მიმიკა. ჩაის ძალიან ბევრსა სვამდა, განსაკუთრებით წარმოდგენის  
შემდეგ, ჩაიც მაგარი უნდა ყოფილიყო როგორც ღვინო.

ამ დროს მასთან მოდიოდნენ ან მისი მოწაფეები აქტიორები ანდა  
აფიშებს მოიტანდნენ არტემა და შუხა, ეს უძველესი ხალხი აფიშების  
გამკვრელთა ჯიშიდან.

ასეც მოხდებოდა საახალწლოთ შემოვიდოდა შუხა ჭალარა წვე-  
რებზე თოვლი ჰქონდა მიფეთქილი, აფიშასთან ერთად შემოაპარებდა  
სადარბაზო ბარათს, საოხუნჯო ლექსით დაწერილს.

ესენი იყვენ ლადო მესხიშვილის ამხანაგები და მეგობრები, იმათ-  
თან ერთად ატარებდა ის მუშაობისა და დასვენების ჟამს. ხანდისხან  
მეგობრებთან ერთად შეუხვევდა დუქანში. რომ იმათთან მოეკლ-  
ღვინოში დრო და მისი რეალური შეგრძნობა, სამაგიეროთ მისი მე-  
გობრები სამარემდე აფასებდნენ მას და სიკვდილამდე რჩებოდნენ მე-  
გობრებათ: ესენი იყვენ: ონისიმე, სოლომონი, სერგო, არტემა, შუხა  
და სხვა სცენის მუშები.



რეპეტიციები გრძელდებოდა სამ-ოთხ საათამდე. რეპეტიციების დროს კულისებში ახლობელი მეგობრული ატმოსფერაა, მოწაფეები თავზე არიან გადამკვდარი.

რეპეტიციები ნახევარი ხმით მიჰყავდა, მაგრამ ყოველთვის ძლიერად სჩანდა როლების აღნიშნული სქემა და ნერვი.

სახლში დაბრუნებისას ისადილებდა, ცოტას დაისვენებდა. ადრე მიდიოდა თეატრში, თუ ახალი როლი ჰქონდა, მაშინ ორი ან საათ-ნახევარით ადრეც წავიდოდა.

ხანდისხან ხდებოდა ხოლმე, რომ მეც დამრთავდა ნებას თან წავყოლოდი და მეც მივყვებოდი უკან. ზედმეტად აღელვებული, სიბნელეში ვედებოდი დეკორაციებს და უცებ შევარდებოდი საპირფარეშოში და სწორედ აქ იყო მთავარი რიტუალი.

აინთებოდა სანთლები ანდა ივანე მოიტანდა ორ ლამპას.

ო, ეს ქუთაისის ორი ჟესტის ლამპა!..

მამა დიდხანს იყო სარკის წინ ჩაფიქრებული და უცებ დაიწყებდა გრიმის გაკეთებას, გრიმი დიდებულად იცოდა, იწერდა ხოლმე უცხოეთიდან საუკეთესო წიგნებს გრიმზე, თვითონაც საკმაოდ კარგად ხატავდა, გრიმის გაკეთების დროს წარმოსთქვამდა რამდენიმე ფრაზას, და ყოველთვის ამ ნაცადს გრიმს კიდევ მოუნახავდა ახალ თვისებას.

მე მიყვარდა სარკის წინ გაჩერებული მისი შთაგონებული და ანთებული სახე. თვალები ისე ბრწყინავდენ, რომ იქ სცენაზე ხანძარი უნდა გაეჩინათ. წარმოდგენის გათავების შემდეგ ან სახლში წამოვიდოდა (ახალ პიესის წინ), ანდა მთელი აქტიორული ბოგემით ჩავიდოდა ქუთაისის რომელიმე პატარა სარდაფში, სადაც იღვრებოდა მშვენიერი ღვინო, სადაც ხალხი ასეთი მშვენიერი იყო უგრიმოდ თავის უბრალოებაში. ამ დღეებში — ფანჯარაზე მოსჩანს დედაჩემის შეწუხებული სილუეტი განთიადზე ორმა კაცმა ხელით მოიყვანეს მამა და გადასცეს დედას მისი საათი, პორტსიგარი და შეწუხებულები თავს იმართლებენ:

— ჩვენ გვინდოდა ეს პორტსიგარი წავგველო, მაგრამ როცა შევხედეთ წარწერას „ლადო მესხიშვილი“-საო. — მოგიტანეთ მესხიშვილიცა და მისი ნივთებიც.

ასეთი თვისება უცნაურად არ ეთანაბრებოდა ლადოს ხასიათის დამჯდარობას, ისე როგორც საშინელი სიფიცხე, რაც ხშირად იქამდეც მიიყვანდა, რომ სადაო საკითხს ფიზიკურ სპორტის წესით სწყვეტდა ხოლმე.



პრაქტიკულ საკითხებში მისი მოტყუება ადვილი იყო, ასეთსავე ბავშობას იჩენდა ხოლმე ხანდისხან გახუმრების დროსაც.

მახსოვს არტისტი ბ — შვილი ერთხელ შემოვარდა ჩვენთან გულის სატრფოსთან დანიშნულ პაემანის წინ, და გაცხელებულმა გადალლუნწა „ფრანც იოსების“ წყალით სავსე ჭიქა, რომელიც მამამ ვერაგულად გაუწოდა.

მეორე დღეს ბ — შვილმა მამა აიძულა გამოტყდომოდა და შემდეგ მოყვა თუ როგორ სირცხვილ ნაჭამი გაექცა თავის სატრფოს, გასტროლებზე ქუთაისში ჩამოდიოდა ვასო აბაშიძე.

ვასოს ჩამოსვლის დღეს სახლი აივსებოდა მზრუნველობით. დედაჩემს ძალიან უყვარდა ვასო, დედამ იცოდა რომ ვასოს ძალიან უყვარდა კარგად მოწყობა და ამიტომ სცდილობდა მისი კომფორტით მოწყობას, ლადოც ძალიან ეხმარებოდა ამ საქმეში, მას კიდევ უფრო უყვარდა ვასო.

ვასო აბაშიძე, როცა ჯერ კიდევ შუახნის კაცი იყო, სახლში სცდილობდა ბებრულად მოწყობას, ძალიან ამეტებდა პადაგრის ავადმყოფობას კვენსოდა და კუთავდა, სცენაზე კი განსაკუთრებით მარჯვეთ ეჭირა თავი. სცენაზე მოძრაობდა, ვიღაც უბრალო კაცის ტიპი, რომელიც თითქო სულელი იყო, მაგრამ მერე ყველაზე ჭკვიანი ხდებოდა და ხელში ჰქონდა ყველა ინტრიგის ძაფები და თავისი სიცოცხლის წყურვილით სხვასაც აღფრთოვანებდა.

მე მაშინ გავიგე, რომ ვასო სახლში ეშმაკობს, რომ ის სულ არ არის ავად, მაგრამ უყვარს, რომ მოეფერონ და პატივი სცენ.

ხშირად ჩვენთან გვიანამდე რჩებოდა ვალერიან გუნია, ელაპარაკებოდა მამას თავის პიესების თარგმანებზე, აგრეთვე კოტე ყიფიანი, გამყრელიძე, თუთბერიძე, აწყურელი და ბალანჩივაძე.

ტფილისიდან ჩამოდიოდა მაკო საფაროვისა, რომელიც მიუხედავად თავის ხნოვანებისა, მაინც თავბრუდამსხმელი სჩანდა, თან მოყვებოდა ტასო აბაშიძე. მათ ჯერ კიდევ შერჩენოდათ პარიზში ნამყოფ ქალების შიკი.

თუ ამას მიუმატებთ კიდევ შალვა დადიანს, ავალიშვილს, ე. მესხს, კოტე მარჯანიშვილს, რომელიც წინად მამასთან მუშაობდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია ის კრებული, რომელიც მთელი წლების განმავლობაში ჰქონდა თეატრის ცხოვრებას.

სამშობლო სცენიდან ადრე მოშორებამ და რუსეთში მოგზაურობამ (თუმცა არა დიდი ხნით) მიაჩვიეს მამა არტისტულ ხეტიალს.

როგორც დადგებოდა გაზაფხული ლადო თავისი დასით, ხანდისხან ჯიბეში უკანასკნელი გროშებით შეუდგებოდა მოგზაურობას.



ისინი ჩადიოდენ ფოთში, სოხუმში, ბათუმში, ზუგდიდში, გორში, ყვირილაში, ოჩემჩირეში და სადაც არ გინდათ.

ეს მოგზაურობა ლ. მესხიშვილს უახლოვებდა მასებს, ლადო ძალიან უყვარდათ, წარმოდგენებზე ხალხი შორეულ სოფლებიდანაც მოდიოდენ.

ასე რომ 1905 წელს ამას მიეცა დემონსტრაციის ხასიათი. ლადო მესხიშვილი თავისი დასით წავიდა სამოგზაუროთ, თან წაიღო პიესა „ძმები გრაკები“, პიესის გამარჯვება აღემატებოდა ჯარისკაცებით შემორტყმულ თეატრს და გადადიოდა ქუჩის გუგუნში და ქუჩებზე შეტაკებამდეც კი მივიდა საქმე.

მახსოვს ლექსისთვის „8 საათის სამუშაო დღე“ მამა დაიჭირეს კიდევ. ყველაფერი ეს ხდებოდა 1905 და 6 წლის ქუჩების ფონზე, როცა ყაზახრუსები სცემდენ გიმნაზიელებს.

ახალგაზრდობა, რომელიც სახელდახელოდ იხდიდა გიმნაზიელის პალტოს და არბოდა ქანდარაზე, ის ახალგაზრდობა, რომელიც თეატრის კასის კარებს უკაკუნებდა და ზ. ნ. მესხიშვილს ემუდარებოდა დაემალა. მე ხშირად ვიყავი მოწამე, რომ კასაში შემოსულ ზედამხედველს დაუთვალე რეგია პატარა ოთახი და როცა შეუხედიოდა სავარძლის ქვეშ უხეიროთ გამოჩენილ მოწაფის ფეხისთვის, ზევით ამოუთრეგია ზედიზედ რამდენიმე მოწაფე, რომელთაც აკრძალულა: ჰქონდათ წარმოდგენებზე დასწრება.

ახალგაზრდობა, რომელსაც „საბენეფისო“ წარმოდგენების შემდეგ ხელებზე გამოყავდა თავისი მასწავლებელი ლადო მესხიშვილი და ასე მაღლა აწეული მიყავდა სახლამდე, სახლი განათებულია წითელი ჩირაღდნებით (ისტორიულ პიესების რეკვიზიტით) — ეს ახალგაზრდობა არ იშლებოდა სანამ არ გაიღებოდა ჩვენი სახლის აივნის კარი და მესხიშვილი არ იტყოდა გრძელ მოწოდებას თავისუფლებაზე, საზოგადოებრივ იდეალებზე და ხელოვნებაზე. (ამ დროს ძნელი სათქმელი იყო სად უფრო მეტი იყო მისი აქტიორული ხელოვნების ზეგავლენა სცენაზე თუ ამ სახლში) ეს მოსწავლე ახალგაზრდობა გამოვიდა ქუჩაზე დემონსტრაციებისთვის, იმას მოჰქონდა თავისი პირველი რევოლუციონური აღტყინება და ანთებული იყო თავისთავისა და ახალ ცხოვრების რწმენით. სწორედ ამ ახალგაზრდობას ერთ დღეს ყაზახებმა სასტიკათ სცემეს მათრახებით, და თოფის კონდახებით.

სამუდამოთ დამახსოვრდა ამ ბავშვების ცხედრები.

ხალამოს დასცეს ყიჟინა, ეზოებიდან გამოვარდენ მოქალაქენი. გენერალი ალიხანოვი სწვადა კვარტალებს. შურისძიება უხმობდა



ხალხს, იმართებოდენ მფრინავი მიტინგები, და ბარიკადები იზრდებოდენ. საშინელი ბნელი ღამეა, რიონის ხმაურობა უბედურების მომასწავებელია, მამა სდგას აივანზე.

მამას სახეზე, როგორც გამოწვევა — ინთება დამწვარ ქალაქის ცეცხლის ალი, მამა მოუთმენლად მოელის თავის შვილს შალვას, რომელთანაც ერთად უნდა წავიდეს ბარიკადებზე.

მაგრამ შალვა არ მოდის, ის თავის ამხანაგ სტუდენტებთან ერთად ქუჩაზე გამოსულ ომშია ჩათრეული.

მამა საჩქაროთ გადაკოცნის დედას, და მე და ჩემ და ნინას და ყაზახების ტყვიის ქვეშ გადის ქუჩაში, ჩვენ ვხედავთ, რომ ქარი ბურღავს მის ჭალარა თმებს, ახალგაზრდა სახე კი უფრო ახალგაზრდა შეიქნა მირბის ქუჩებზე... კიდევ წამი და მისი ფიგურა წყვდიადში დაიკარგა.

ჩვენ ჩუმად ვკოცნით დედას და გვესმის ყრუ ქვითინი. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე.

ყაზახების წასვლამდე ქალაქი ბარიკადებშია და ქუჩაზე ომია გაჩაღებული.

თეატრთან აშენებულია ბარიკადები, გარდა მიწით სავსე ტომრებისა, მიყრილია დეკორაციები, ფარდები, თეატრალური რეკვიზიტი — ამას თვითონ თეატრის მუშები აკეთებენ, არტისტები და ლაღო ყველას აერთებდა და მეთაურობდა. კიდევ ეპიზოდი ამ დღეებიდან. ჩვენი სახლი ყაზახებით არის გარშემორტყმული ოთახში შემოდის ოფიცერი ორი სტრაჟნიკით, მამა წინ მიეგება მის სახეზე — აღელვებაა, რომელიც ებრძვის თავდაჭერილობას.

— ჩვენ, თქვენ შვილ შალვასთვის...

— შალვა არ არის სახლში — ხმამაღლა უყვირის მამა, მისი ინტონაცია აფრთხილებს ძმას.

რა ვქნათ? გაიქცეს? მაგრამ სახლი გარშემორტყმულია, ოფიცერი მიდის ოთახების გასაჩხრეკად ჩვენ სასადილოში ვართ.

შალვა უხერხულად დაიკუზა ტახტის ქვეშ, მაგრამ ტახტი მაზე, ბევრად პატარაა და უცნაურად ატოკდა მის ზურგზე.

ჩხრეკა მაინც რალაც სასწაულით ბედნიერად გათავდა.

შალვა ვერ ნახეს.

შემდეგ იწყება კიდევ ახალი ტანჯვის წამები, გამოთხოვებ მამასთან, ჩვენთან. ძმა და თეატრის მუშა სოლომონა მეზობელ სახლების სახურავებით ცურვით გავიდენ რიონის მეორე ნაპირას და მიიმაღენ. ძმის შესახებ დიდხანს არაფერი ვიცოდით, სანამ არ დაატუსაღეს პეტრეპავლეს ციხეში პეტერბურგში, სადაც დააპატიმრა მთავ-



რობამ... ასე მიდის ცხოვრება ამბოხებულ ქალაქში. თეატრი ხან და-  
კეტილია, ხან გაღებული, აქვე ხდება ერთი ინციდენტი, რომელმაც  
გამოიწვია მამის წასვლა ტფილისში.

გამოჩნდენ სამი-ოთხი არტისტი, რომელთაც ძალიან პრიმიტიუ-  
ლად გაიგეს ზოგი საგნების აზრი.

რადგან მესხიშვილი იდგა მისგან შექმნილ ქუთაისის თეატრის  
სათავეში, ამ არტისტებს დაებადათ სურვილი, რომ ლადოში დაენა-  
ხათ ექსპლოატატორი. ბრალდება წამოისროლეს და მესხიშვილი თვი-  
თონ შეეცადა ეს ბრალდება გაეხსნა. შეიქმნა საამხანაგო სასამართლო.  
გახსნეს წიგნები და ძველმა სიებმა აჩვენეს დეფიციტი, რომელსაც  
თვითონ მესხიშვილი თავისი საკუთარ თანხიდან ავსებდა, გასტრო-  
ლების შემოსავალით და საბენეფისო საჩუქრებით, რადგან შეუძლე-  
ბელი იყო იმ დროს შემოსავალს დაეფარა დადგმების ხარჯი. ხალხი,  
რომელიც დაესწრო ამ სასამართლოს უყვიროდა ცილისმწამებლებს—  
ზიზღი! ზიზღიო.

მამას გაუმართეს ოვაციები, თეატრის ხალხი მაშინ ბევრი იყო  
ქუთაისში, ესენი კოცნიდენ ლადოს და სთხოვდენ ეპატიებია დამნა-  
შავე ამხანაგებისთვის დანაშაული.

მართლაც ვინც არ იცნობს ამ ქუთაისის სცენის მეგობრებს, მან  
არ იცის ამ თეატრის ნათელი მხარე.

ასეთ მეგობრებს ეკუთვნის, ვანო — ივან ისაკის ძე პურადაშვი-  
ლი, არავინ არასდროს სწორედ არ იცოდა რას აკეთებდა ეს კაცა  
თეატრში, მაგრამ იცოდენ რომ ყველგან ყველაფერს ვანო აკეთებდა.

მას უყვარდა თეატრი, ცხოვრობდა მისი სიხარულით და მისი  
მწუხარებით და როცა გაათავებდა თვის სახაზინო სამსახურს, სად-  
ღაც რომელიღაც ბანკში. იმწამსვე მორბოდა თეატრში, სადაც მისი  
სახე განათლდებოდა ნათელი ღიმილით. ასეთივე თეატრის მეგობარი  
იყვნენ: იურისტი მოსე ქიქოძე, ექიმი ვ. გომართელი, გ. გოკიელი და სხ.

რამდენი არიან ეს პატიოსანი ხალხი, რომელთაც ხელი შეუწყვეს  
ქუთაისის ქართულ თეატრის კულტურას!..

მაინც ბოლოს და ბოლოს რით იყო ძვირფასი ყველა ამ ხალხის-  
თვის და დანარჩენ მოქალაქეებისთვის ეს თეატრი და მისი ბელაღა  
ლადო მესხიშვილი.

ამ თეატრის მოქმედება იმ პერიოდს შეხვდა, როცა საზოგადოე-  
ბის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოძრაობა იყო დაწყებული. რუ-  
სეთის ლიბერალურ-დემოკრატიული გავლენის გარდა, რომელსაც მა-  
შინ განიცდიდა საქართველო, აქ ცარიზმის ბიუროკრატიის სასტიკ



რეჟიმსაც სხვაგვარად განიცდიდენ და იწყებოდა გამოსავალის ძებნა, იზრდებოდა შინაგანი პროტესტი და თავისუფლების წყურვილი.

ამიტომ იყო, რომ როცა მესხიშვილი პირველად თამაშობდა შილლერსა, ჰაუპტმანსა და შექსპირს — ამ წარმოდგენებში ის სდებდა თავისუფლებისა და ადამიანურ პროტესტის აზრს. ჟანდარმერიის სატუსალოების სულისშეხუთვის დროს მესხიშვილს მოჰქონდა იდეალიზმისა და დემოკრატიზმის ახალი სიო.

აქ მაყურებელი უბრალოდ კი არ უსმენდა წარმოდგენას, ის ამიერი აღელვებული იყო და ხშირი გამხნევების რეპლიკები ისმოდა დარბაზში. წარმოდგენის დროს, გიმნაზიელები, რომელნიც ხვალ ყაზახებს უნდა შეებმოდენ და შეკვდომოდენ, აქ იღებდენ რევოლიუციონურ ნათლისღებას.

ლ. მესხიშვილის პირად გემოვნებასა და ნიჭს ისიც გამოსახავდა, რომ იმ პერიოდში. როდესაც რუსეთის სცენებზე მაინც შპაჟინსკება და კრილოვეები იყვენ გამეფებული, ის მისდევდა შექსპირს, შილლერსა, სუხოვო-კობილინს, ოსტროვსკისა, გოგოლს, და აგრეთვე იმდროინდელ ქართველ პროგრესულ მწერლებს, როგორც ერისთავი, ცაგარელი და სხვები იყვენ.

მესხიშვილს წილად ხვდა ის, რაც ასე იშვიათად ეძლევა ხოლმე მხატვარს, არა მარტო ის ბედნიერება რომ თავისი ნიჭი და ხელოვნება გამოიჩინოს, არამედ გამოხატოს ცხოველი, ახლად დაბადებული საზოგადოებრივი იდეალი და თავისი დროის მოთხოვნილება.

ამ დროსთან დაკავშირებით ვითარდებოდა მასში მალალი კაცობრიული პათოსი.

\* \* \*

დაუბრუნდეთ იმ ინციდენტს. რომელიც ზევით ავწერთ, უნდა ითქვას რომ მამას ამან ძალიან აწყენია. ის აზრი რომ მისი შრომა ვილაცამ შეურაცჰყო ჰკლავდა ლადოში მუშაობის სურვილს.

რასაკვირველია ეს სისულელე იყო. შეიძლება ამ ისტორიის გაუგებრობა იქედან წარმოიდგინოთ, რომ მისი ბელადი იყო გრიგოლ ჩარკვიანი, სწორედ ის გრძელ ფეხა, წითური საყვარელი გრიგოლი. რომელიც სახლში ასე გვანებივრებდა მე და ჩემ და ნინას, რომელიც აღმერთებდა მამას და თეატრში კი ისეთ. სისულელეს ჩაიდენდა ხანდისხან. რომ არ შეიძლებოდა არ გაგცინებოდა.

მისი „მთავარი“ როლი იყო გრაკხების მამის ქანდაკება, რომელშიაც ის იჩენდა მოთმინების მაქსიმუმს, გაშეშებული იდგა რომის



მოედანზე, მაგრამ ერთხელ მის მოთმინებას განსაცდელი გაუჩნდა, როცა ერთ-ერთ წარმოდგენაზე აივნიდან სცენაზე გადაყარეს ბურნუთი.

გრიგოლს დააცემია ცხვირი, მაგრამ მისი როლი მაინც დარჩა „საბენეფისო“. ერთხელ გრიგოლი თამაშობდა სცენაზე მკვდარი მამის ცხედრის როლს, აქტი ჯერ კიდევ გათავებული არ იყო გრიგოლი ნელა ადგა და გავიდა კულისებში.

ინციდენტის შემდეგ ის დაბრუნდა ჩვენთან სახლში და ძველებურად იყო ჩვენი მეგობარი, მამასთან გაუგებრობა დავიწყებულ იქნა. ქუთაისის პერიოდის გათავებისათვის მომიხდება უკან დაბრუნება და იმის გახსენება, რომ მამას ჰქონდა ყელის პოლიპების ავადმყოფობა.

ოდესღაც როცა ის თამაშობდა ფრანც მოორის როლს, ჩამოხრჩობის სცენის დროს, შენიშნა, რომ დაკარგულა „კრიუჩოკი“, რომელზედაც უნდა ჩამოხრჩობილიყო, ლადომ არ მისცა თავის თავს ნება დაერღვია სცენიური მომენტი, და როგორც ყოველთვის ლიუსტრაზე ჩამოხრჩობის დროს, ყელზე მოიბა თოკი, ლადო თითქმის მკვდარი ჩამოხსნეს ფოლაქიდან. მალე დაკარგა ხმა, გაუჩნდა პოლიპები. ეს ამბავი ძალიან მძიმე მდგომარეობას ჰქმნიდა, ყოველ წამს ისეთი გრძნობა იყო, რომ ჩვენ ლადო უნდა დავკარგოთ. როცა ქართველმა საზოგადოებამ გაიგო ლადოს ავადმყოფობა, ხელად შეჰკრიბეს ფული და ლადო გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოთ.

საზღვარგარეთ ათი თვე დაჰყო.

მისი მდგომარეობა უნუგეშო იყო გერმანიაში და მხოლოდ პროფესორმა Hiari-მ (ხიარი) დაუბრუნა მას სიცოცხლე.

ჩვენ მამას ვსწერდით ნაღვლიან წერილებს, ასეთი მისამართით: „ბერლინი, ჩემ ძვირფასს მამას“! მე მგონია, რომ ამ მოგზაურობის დროს მესხიშვილმა ნახა დუზე, რომელსაც აღმერთებდა სიკვდილამდე. ლადო დუზეს სთვლიდა უდიდესს მხატვრად და ოსტატად. სარა ბერნარისადმი უფრო გულგრილად იყო განწყობილი.

გერმანიაში მამას ბევრი სტუდენტები ჰყავდა მეგობარი. გერმანიაში მას გაყვა მომვლელად ჩვენი ოჯახის მეგობარი კარგი და გულკეთილი მიხაკო ჯანოევი, რომელიც არტისტობდა ქუთაისის სცენაზე. მიხაკოს ძალიან უყვარდა ბავშვები და ისე გვათამამებდა და გვიტკაცუნებდა ლოყებზე ხელს, რომ თამაში ცრემლებით თავდებოდა.

მამა სახლში ჩვენ ყოველთვის გველაპარაკებოდა გერმანიის მაღალ კულტურაზე, ჩამოიტანა მშვენიერი წიგნები თავისთვის და სა-



სცენო მასალები, უფრო გვიან თარგმნიდა რაღაცას, არ მახსოვს კი რას.

ჩვენ და თავის მეგობრებს კიდევ სხვადასხვა საჩუქრები ჩამოგვიტანა.

ჩვენ სასტუმროს კედელზე ეკიდა დოღჩის ერთი გერმანული ნახატი, შემდეგ მოსკოვში, როდესაც ჩვენ ძალიან გაჭირვებული ვიყავით დედამ მიყიდა ეს სურათი მოროზოვს და შეიტანა ჩვენი სწავლის ფული და ცოტა ხნით გაჭირვებისგანაც გამოგვიყვანა.

მამას მაინც ყოველთვის აკვირვებდა გერმანული პედანტიზმი და ზედმეტი მუყაითობა რაც მის ტემპერამენტს არ უდგებოდა, მამა კომიკურად იგონებდა ერთ ეპიზოდს:

ერთხელ როცა მიდიოდა მგონია ტირგარტენის ხეივანში, მიწაზე დააგდო პაპიროსის ნამწვავი. იმწამსვე მოსთხოვეს ჯარიმის გადახდა, მამა ძალიან განცვიფრებული დარჩა, და იქვე ვიღაცას ხელების ქნევით დაუწყო ამბის მოყოლა, ამიტომ პალტო გაუვარდა. აიღო და მტვერი ჩამოფერთხა, წესიერების დამცველებმა ხელმეორედ სთხოვეს ჯარიმა.

— „ფუ, ეშმაკმა დაგწყევლოსო“ გადააფურთხა და გადაფურთხებისთვის კიდევ მესამეჯერ გამოართვეს ჯარიმა.

მამას დიდი ამბით დაუხვდენ გერმანიიდან, საქართველოში ჩამოსვლის დროს. მთელი დასი და ჩვენი ოჯახიც რიონის სადგურზე დავხვდით; მამასაც ბავშვივით უხაროდა თავის ქვაყანაში ჩამოსვლა. იქვე იყვენ მისი თაყვანისმცემელი კაცები და ქალები, უკანასკნელი მაინც არასდროს მას არ კლებია მამას ინტიმიური ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ის ყოველთვის უთუოდ ვინმეთი იყო გატაცებული. ქალები მას უყვარდა ყოველმხრივად, მაგრამ ეს საიდუმლო დაე მას დარჩეს.

დედას ისე უყვარდა ოჯახი, რომ თავისი თავი დავიწყებული ჰქონდა მას ყოველთვის ჰქონდა თავისი მწარე განცდები.

დედა და მამა დიდი მეგობრები იყვენ, განსაკუთრებით თეატრის სიყვარულში (დედა ოდესღაც თამაშობდა სცენაზე და მერე ოჯახის გამო დაანება თავი) მაგრამ ხასიათებით მაინც პოლიუსებივით განსხვავდებოდენ. დედა გვალმერთებდა თავისი თვინიერი ხასიათით ჩვენცა და ლადოს; თუ რამე გამოიყვანდა მას სწორწონაობიდან ისევ თეატრის საკითხები (სახლში მსჯელობდენ რეპერტუარზე, დადგმაზე), მამა ყოველთვის ნერვიული იყო, ხშირად ძალიან ბობოქარიც და უყვარდა ცხოვრება მის მრავალმხრივობაში.

მისი უფროსი ძმა ულამაზესი აპოლონ სარდიონის ძე, რომელსაც ერთად ერთს ჰქონოდა გავლენა მამაზე, მამას ხუმრობით ეძახდა „ცო-



განს“. ორი სხვა ძმა იყვენ: სარდიონ სარდიონის ძე (ეხლაც ცოცხალია, რომელიც ხიბლავდა მამას თავისი თვინიერებით და კეთილობით — მეორე ლეონიდ სარდიონის ძე, რომელიც ეხლა მკვდარია, იყო დილა მწიგნობარი, კარგადაც სწერდა, ცხოვრებით კი იყო რამდენადმე გაბოროტებული. ყველა ისინი და მათი უფროსი და ნინა ტფილისში ხცოვრობდენ, სადაც ჩვენ დავყავდით მამას თავის გასტროლებზე. ლადოში გასაკვირი იყო, როგორ აერთებდა ის თავის რამდენადმე ქაოტიურ უწესრიგობას უეჭველ მამობრივ და ოჯახის გრძნობასთანაც. ჩვენ ბავშვები — ჩემი და ნინა და მე გადამეტებული მგრძნობელობითაც უყვარდით ძალიან ნაზი იყო ჩვენთან მოპყრობაში, ჩვენი ავადმყოფობა უსაზღვროდ აშინებდა.

ერთხელ ტასო აბაშიძემ, რომელიც ჩვენ ოჯახში ცხოვრობდა მოინდომა ჩვენთან ბავშვებთან ერთად ენახა ავადმყოფი ნუცა ჩხეიძე. ტასოს ძალიან უყვარდა ჩვენი გახარება და ჩვენც დიდებულ „ფაქტონში“ ჩავსხედით.

ნუცა ჩხეიძის სახლთან ეტლს გაუტყდა ღერძი. ტასო ჩამოხტა, უნდა ჩვენი გადმოყვანა, მაგრამ დახეთ, ცხენები დაფრთხენ და გაიქცენ. დიდხანს გასტანა ამ ამბავმა. ჩვენი კივილ-წივილი და უკან გამოკიდებული ხალხის ზრიალი კიდევ უფრო აფთხოვდა ცხენებს. ერთი ჩოხიანი ქართველი, მახსოვს ასე ყვიროდა — მე უნდა გადავარჩინო ლადოს შვილებიო“. და ხმალით გადმოვარდა ცხენებისკენ, მაგრამ ცხენებმა გადააბოტეს და საწყალმა ხელი მოიტეხა, მაგრამ მაინც მოასწრო ჩემი გადმოყვანა და შარაზე გადმოგდება, მეც მოვიტეხე ფეხი, ჩემმა დამ რომ ამას შეხედა გმირულად გადმოხტა ეტლიდან ჩემსკენ, მაგრამ რალაც სასწაულით უვნებლად გადარჩა. მამა ამ დროს თეატრში იყო რეპეტიციაზე, მაგრამ აუარებელი ხალხი გარბოდა თეატრისკენ და მამასაც შეატყობინეს რაც მოხდა. მახსოვს ოთახიდან შევხედე, რომ მოარღვევდა ხალხს და მორბოდა სწორედ გაგიჟებული სჩანდა, თმები აბურძგნოდა, რადგან ხელებით იგლეჯდა და ყვიროდა:

— ჩემო შვილებო!..

მე მამა გამოუთქმელად მიყვარდა და ფიქრი, რომ ის ასე აღელვებული იყო მტანაჯვდა. მიუხედავად ფეხის საშინელი ტკივილებისა შევეცადე წინ შევგებებოდი და დავიყვირე:

— ნუ სტირი, მამილო, მე სულ არ მტკივა ფეხი-თქვა“. მამა რატომღაც მე მეძახდა „ბეტინოჩკას“, რაც ნიშნავდა ბედნიერებას, ის ამბობდა რომ მე მას მოუტანე ბედნიერება, ნინას კი ეძახდა: „Мой гренадер“-ს. ეს აღნიშნავდა მის ჯანმრთელობას და სიმკვირცხლეს.



იმ დროს როცა მამა უცებ „დაშინაურდებოდა“, უყვარდა მუსიკა. თეატრალური განწყობილებები აქაც არ შორდებოდენ. დადიოდა ოთახებში, ითვლიდა კრიალოსანს და მღეროდა არიებს ოპერეტიდან „კორნევილის ზარებს“ ან „მგალობელ ჩიტებსა“, ან „მარტინ მემალაროეს“. იგონებდა თავის წინანდელ ნამღერ ოპერეტებს და რაღაც ტკივილით მღეროდა.

სანამ „ყაჩაღებში“ ყელს არ გაიფუჭებდა, მას თურმე მშვენიერი სცენიური ხმა ჰქონდა, ამის შესახებ მე ეხლაც მიაშობენ ძველი აქტიორები, რომელნიც მასთან ერთად მღეროდენ ოპერეტებში, საერთოდ თურმე ერთ პერიოდში ის მიღებული იყო როგორც ოპერეტის არტისტი და არა დრამატიული. მაგრამ რაც ყველაზე უფრო გვიყვარდა ეს იყო მისი „კუპლეტები“. წინანდელ დროში კუპლეტის წარმოთქმა და სიმღერა აქტიორის სასინჯი იყო. აქ უსინჯავდენ სმენას, რიტმს, სიტყვის სისწორეს, საერთოდ პატარა კუპლეტში გადმოცემის მაქსიმუმის გამოთქმას.

მამა ამას მართლა დიდებულად ასრულებდა. ასეთი კუპლეტები ბევრი იცოდა:

„O, роза, роза  
Я ведь так  
Любил тебя“

„Бодливой корове  
Бог рог не дает“.

ყოველგვარ ამას ჩემზე ის გავლენა ჰქონდა, რომ შემაყვარა ვოდვეილი კუპლეტებით, ჩემ დას კი პატარა სიმღერები.

ხშირად მამა გვთხოვდა „ოთხი ხელით“ დაკვრას.

ჩვენ დავსხდებოდით პიანინოსთან და ისმოდა „ნორმა ბელინი“, „ლოენგრინი“ და სხ. ჩვენ კი დავსცინოდით, რომ მამას ძალიან უყვარდა რომანსი:

„В темной аллее  
Заглохшего сада“...

ჩვენ ვიცოდით, რომ მას ამასთან ჰქონდა შეერთებული რაღაც ინტიმური მოგონება, რომელზედაც ჩვენ არ გველაპარაკებოდა, მაგრამ რომელსაც ჩვენ ვგრძნობდით, რადგან ყოველთვის თვალებზე ცრემლები მოადგებოდა.

ასეთ საღამოს ყველაზე უფრო დედა გამოცოცხლდებოდა, მისთვის ოჯახი იყო ყველაზე უფრო საყვარელი ცხოვრებაში. მაგრამ მალე ლაღო სადღაც გაჰქრებოდა, და დიდი ხნით არ დადიოდა სახლ-



ში, ანდა მხიარულობდა სხვა ოჯახში, ეს ოჯახები კი იყვენ აქტიორები.

ხშირად ჩვენთან გაიშლებოდა მაგიდა და დიდხანს. ძალიან დიდხანს ისმოდა „მრავალ ჟამიერ“ ანდა „იცოცხლოს“...

ლადო მესხიშვილი, შალვა დადიანი, აბაშიძეების ოჯახი, ნუცა ჩხეიძე, მ. ქორელი, ნ. ჯავახიშვილი, ვ. შალიკაშვილი, მარო მდივანი, ი. ზარდალიშვილი, იმედაშვილი, გვარაძე — მერე უფროსები: ბალანჩივაძე, თუთბერიძე, ჯანოევი, ურუშაძე, აწყურელი და სხვები, რამდენი არიან ტკბილსახსოვარი ქართულ თეატრის არტისტების სახელები, ვინც ცოცხალია, კიდევ დიდხანს იცოცხლოს. ეს ხალხი აქ ლაპარაკობდა თავის აქტიორულ ენაზე და ყოველთვის თეატრის შესახებ. ვისაც უყვარს აქტიორი იმან იცის, როგორ ლაპარაკობენ ისინი ერთმანეთში. იმათ იციან ერთმანეთის ყველაფერი, დამალულიც კა, რადგან სცენა ატიტვლებს შინაგან სამყაროს. თეატრი ყველა მათ ერთად აერთებს.

ამ „მრავალ-ჟამიერის“ სიმღერის დროს ხშირად წყდებოდა პიესის ბედი, რადგან ამის შესახებ მსჯელობდნენ.

სადღეგრძელოების დროს ლადო ხუმრობით უხსნიდა აქტიორებს, თამაშის სუსტ მხარეებს და იქვე უმტკიცებდა რატომ და რისთვის! ყველანი თეატრის გარშემო ლაპარაკობდნენ.

განგებ არ ვლაპარაკობდი ჩემ ძმა შალვას შესახებ ამ მომენტამდე. შალვა ორი მიმართულებით თამაშობდა როლს. როგორც მომავალ იმედს მამა მას განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა.

შვილის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მამაში იწვევდა ახალ თაობასთან საერთო ფერხულში ჩაბმის სურვილს; მამას უყვარდა დიალოგები და ხშირად რამდენიმე საათს კამათობდნენ პოლიტიკურ თემებზე. შალვას აგრეთვე უყვარდა და შეეძლო აგიტატორობა. ამ მხრივ მან ახალგაზრდა აქტიორებს შორის საპატიო ადგილი დაიჭირა. ჩამოვიდოდა თუ არა ქუთაისში ჩვენი სახლი აივსებოდა მისი ამხანაგებით, რომელნიც საერთოდ ჩვენ არ გვშორდებოდნენ, ეს ხალხი შემდეგში ავსებდა პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდ სიას და მათში ბევრი იყვენ ქუთაისის თეატრის მუშებიც. სტუდენტების ხროვა თეატრთან კიდევ უფრო ამახვილებდა იმ რევოლიუციონურ ენტუზიაზმს, რომლითაც სავსე იყო 905 წელი.

სწორედ მაშინ იდგმებოდა: „ჯან და მადლენა“, „ფეიქრები“ და სხ. არც ერთი ქართველი, რომელიც შემდეგ შეეწირა პოლიტიკურ მოღვაწეობას არ დამალავს, რომ ის განიცდიდა თავის თავზე ამ თეატრის მხატვრულ და კულტურულ გავლენას.



ნურც იმის შეგვეშინდება ვსთქვათ — რომ ეს თეატრი სახალხო ტრიბუნა იყო. ქუთაისი — ცენტრია განათლებას დაწაფებულ იმერეთის, აქ ჩამოდიოდა იმერეთის სოფელი, გლეხის შვილები, რომელნიც ავსებდენ სასწავლებლებს.

იშვიათია რომელიმე კუთხე სხვაგან, რომელსაც იმოდენა წერაკითხვის მცოდნე ხალხი ჰყავდეს, როგორც იმერეთის გლეხობას.

ლადო მესხიშვილისა და მისი თეატრის დამსახურება იმაშიც იყო, რომ თეატრი დადიოდა მიყრუებულ ადგილებში სამოგზაუროთ. ლადო მესხიშვილს და ვასო აბაშიძეს სოფლებშიაც კი უმართავდენ იუბილეებს. ასეთ მაგალითს სხვაგან ვერ შეხვდებით.

რასაკვირველია, იმის თქმა არ შეიძლება, რომ აქტიორული მასა პოლიტიკურად აღზრდილი და შეკავშირებული ყოფილიყო, მაგრამ მისი დამსახურება იმაშია, რომ ისინი გულისყურით უსმენდენ თავის დროს და მზად იყვენ კულტურის და განათლების ფრონტზე სამუშაოთ.

მათი ნიჭი, მათი სახელი, შერჩეული რეპერტუარი და ენერჯია ხალხში იყო გახსნილი.

განა უცნაურად არ ეჩვენება სხვა ქვეყნის არტისტს, რომ მსახიობების სურათები, განსაკუთრებით მესხიშვილისა — შეადგენდენ ყოველ კულტურულ ქართველის სახლის მოწყობილობას, არა თუ სახლებში მივარდნილ ადგილების სადალაქოებში, მტვრიან გზების სადგურებზე. სოფლის პატარა დუქნებში და გლეხების ქოხშიაც.

მე თვითონ ჩემი თვალით მინახავს წინად ეს სურათი.

ივანე გომართელმა — თავის სიტყვაში, როცა ლადო მესხიშვილს მარხავდენ ლადო დაახაიათა როგორც არტისტი — დემოკრატი. მართლა სწორედ ასეთი იყო ეს სცენის ტიტანი, ასეთი იყო მთელი მისი აქტიორული შკოლა.

იტყვიან, რომ ასეთი დრო იყო მაშინო.

მართალია, მაგრამ განა ყველას შეუძლია თავის დროის მუსიკიანხმის შეწყობა და შეგრძნობა.

(დასასრული იქნება).



## სილოვან ხუნდაძე

მიმდინარე წლის 12 მაისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მწერალი და დამსახურებული პედაგოგი სილოვან ხუნდაძე. იგი დაიბადა 1860 წელს. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში, შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, აღმოსოავლეთ ენათა ფაკულტეტზე, რომელიც 1884 წელს დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნებული, იგი იწყებს მუშაობას პედაგოგიურ ასპარეზზე, ჯერ სენაკის ქართულ სკოლაში, შემდეგ — 1920 წლამდის, — ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. მაგრამ სილოვან ხუნდაძის მოღვაწეობა მარტო პედაგოგიური სფეროთი არ იყო შემოზღუდული. იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ფილოლოგი. სილოვანის ლექსების, პოემების და მოთხრობების უმეტესი ნაწილი დაბეჭდილია მის თხზულებათა პირველ (1914 წ.) და მეორე (1926 წ.) ტომებში. თავისი პროეტური ნაწარმოების თემატიკითა და ფორმულური ხასიათით, სილოვანი რეალისტური შკოლის წარმომადგენელია. გრიშა აბაშიძესთან, ცახელთან და განდევილთან ერთად სილოვანი ეკუთვნოდა ილიას და აკაკის პლეადას და უცვლელად აგრძელებდა უკანასკნელთაგან ნაანდერძევ მხატვრულ-ლიტერატურულ ტრადიციებს. სილოვან ხუნდაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პატარა მონოგრაფიები ქართულ ლიტერატურის სხვადასხვა წარმომადგენელთა შესახებ. ეს მონოგრაფიები — რომლებიც შკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნებს წარმოადგენდენ, გამოცემულია შვიდ პატარა ტომით: ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, რ. ერისთავი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, შოთა რუსთაველი. სილოვანს ეკუთვნის აგრეთვე შრომა „ვაჟა-ფშაველას პოეზია“ და მრავალი სხვა კრიტიკული ნაწარმოები. სილოვან ხუნდაძის პუბლიცისტური წერილები შეეხება სხვადასხვა საჭირობოტო საკითხებს. განსაკუთრებით საგულისხმოა სილოვან ხუნდაძის, როგორც ენათმეცნიერის, მუშაობა. მის კალამს ეკუთვნის მეცნიერული ნაშრომები „ქართული ზმნები“, „სალიტერატურო ქართული“ და „ქართული გრამატიკა“, რომელზედაც აღიზარდა არა ერთი და ორი თაობა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობისა; 1927 წელს სილოვანმა გამოაქვეყნა აგრეთვე თავისი „ქართული



მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“. თავისი ძირითადი შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ლიტერატურაში სახმარებელი ქართული ენა, სილოვან ხუნდაძემ გამოსთქვა ჯერ კიდევ მეოთხედ საუკუნის წინათ გამოცემულ „სალიტერატურო ქართულში“. მისი აზრით ენა, როგორც სოციალური მოვლენა, ხალხის ისტორიულ განვითარებასთან ერთად განიცდის მარად ცვალებადობას. ენის ფორმები, საჭირო და ხმარებული წარსულ ისტორიულ პერიოდებში, თანამედროვე ცხოვრებისათვის უკვე მოძველებულია და ხმარებიდან გადასული. ამიტომ სალიტერატურო ქართულიც უნდა უახლოვდებოდეს ხალხის მიერ ხმარებულ, თანამედროვე ცოცხალ ენის ფორმებს. ამ თავის შეხედულებას სილოვანი არა მარტო თეორეტიულად ასაბუთებდა. არამედ პრაქტიკულადაც იყენებდა და იბრძოდა მისი განმტკიცებისათვის, როგორც თავის ნაწერებში, ისე შკოლაში და პირად ცხოვრებაშიდაც.

სილოვანის პედაგოგიურ მოღვაწეობას უშუალოდ იცნობს მრავალი თაობა, რომელიც სწავლობდა და იზრდებოდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. ცარიზმის დროს ეს სასწავლებელი წარმოადგენდა ერთერთ ქართულ კულტურულ ცენტრს, რომლის მიზანს შეადგენდა არა მოხელეების, არამედ ნამდვილი მოქალაქეებისა და თავისი ხალხისათვის თავდადებული შვილების აღზრდა. ამ სასწავლებელში სილოვან ხუნდაძე ერთი ცენტრალური ფიგურათაგანი იყო. ცარიზმის დამხობის შემდეგ სილოვან ხუნდაძე დანიშნული იქნა დასავლეთ-საქართველოს განათლების კომისრათ. ამ ასპარეზზე მან გამოიჩინა სამაგალითო ენერგია. იოსებ ოცხელთან ერთად სილოვანმა შეადგინა სასწრაფო წრე, რომელიც შეუდგა სკოლების გაეროვნულებას, საჭირო სახელმძღვანელოების შედგენას და მასწავლებელთა გადამზადებას. შედარებით მოკლე ვადაში, სულ რამდენიმე თვის შემდეგ, ამ წრის ენერგიული და დაუღალავი მუშაობის წყალობით, შესაძლებელი შეიქნა საშუალო სასწავლებლის პირველი ოთხი კლასის გაეროვნულება.

არ ყოფილა არცერთი სფერო ქართული კულტურული საქმიანობისა, სადაც სილოვანს შრომა და ღვაწლი არ მიუძღოდეს. როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში მისი ხასიათის თვისებებს შეადგენდა უანგარობა, აბსოლუტური პატიოსნება, სიმტკიცე, მთლიანობა, პირში მთქმელობა. ამ თვისებების გამო იგი განუსაზღვრელი პატივისცემით სარგებლობდა თავის მოწინააღმდეგეებს შორისაც. დაღლილი და დაქანცული. შედარებით ადრე მოტეხილი, სილოვანი გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით. იგი დასაფლავებულია ქუთაისში.



## სილოვან ხუნდაძის ბარდახვალების ბაჟი

(პროფ. გ. ახვლედიანის მოხსენებიდან ქართ. საენათმეცნ. საზოგადოებაში ა/წ. 29 მაისს: „სილოვან ხუნდაძის დამსახურება სალიტერატურო ქართულის წინაშე“).

ქართულმა საენათმეცნიერო საზოგადოებამ ა/წ. 29 მაისს თავისი საჯარო სხდომა მიუძღვნა სალიტერატურო ქართულის საგუშაგოზე 40 წლის განმავლობაში შეუდრეკელად მდგომის, ს ი ლ ო ვ ა ნ ხ უ ნ დ ა ძ ი ს, ხსოვნას. მომხსენებელმა მოკლედ აღნუსხა განსვენებულის დამსახურებანი როგორც პედაგოგისა, მოქალაქისა, მწერლისა კრიტიკოსისა და ვრცლად შეეხო მის მოღვაწეობას, როგორც გ რ ა მ ა ტ ი კ ო ს ი ს ა ს. მომხსენებელმა სთქვა დაახლოებით შემდეგი:

აღბათ არ შევცთები, თუ ვიტყვი, რომ წარსულ საუკუნეში და დღემდე არც ერთ გრამატიკოსს არ მოუპოვებია სილოვან ხუნდაძის ოდენა პოპულიარობა და სალიტერატურო ქართულის ნორმებზე მის ოდენა გავლენა. ს. ხუნდაძე იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ოთხი ათეული წლის განმავლობაში; აქ ის სასტიკად ატარებდა სალიტერატურო ქართულის განსაზღვრულ ნორმებს. მისი ძლიერი ნებისყოფა იყო იმის მიზეზი, რომ ქართულ გიმნაზიაში და მის გარშემო თითქმის უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მის მიერ დამყარებულ წესებს ქართული მეტყველებისა და წერისას: იშვიათი იყო ისეთი მასწავლებელი ამ გიმნაზიაში (ქართულ ენისა და შემდეგ, როცა გაეროვნება მოხდა, — სხვა საგნებისაც), რომელიც არ დამორჩილებია მის წესებს. ვისაც რაიმე კავშირი ჰქონია ქუთ. ქართულ გიმნაზიასთან, ყველა მოკრძალებით ეპყრობოდა სილოვან ხუნდაძეს. ამ გიმნაზიიდან მრავლად გამოსულ მოწაფეებს გაქონდათ ფართო მასებში ქართული ენის ფრთხილად ხმარება და სილოვანის ავტორიტეტი. მახსოვს: ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, სოფლის სკოლაში; ჩემი უფროსი ძმები ქუთ. ქართ. გიმნაზიაში სწავლობდნენ; ზაფხულობით ხშირად მესმოდა მათგან ს ი ლ ო ვ ა ნ ხ უ ნ დ ა ძ ე, განსაკუთრებით — კამათის სახით. ხშირად გამიგონია მათგან: არაფერი მინდა — ერთი ს. ხუნდაძეს გააგონა შენი ლაპარაკი, მოგვხვდება რიგზეო... საარაკოდ გახდა ქუთაისში და თითქმის მთელს



იმერეთშიც სილოვანის სისასტიკე ქართული ენის სისწორის დაცვაში. ცნობილია, რომ ქართული გიმნაზია (ქუთაისსა და ტფილისში) კარგა ხანს წარმოადგენდა ერთადერთ სკოლას, სადაც ქართული ენა და ლიტერატურა სერიოზულად ისწავლებოდა; ქუთაისში — უმთავრესად სილოვანის წყალობით. ამიტომ იქ მიღებული მართლწერა და მართლ მეტყველება მრავალმხრივ ითვლებოდა სანიმუშოდ. ცნობილია აგრეთვე, რომ ქართულ ენაზე სხვადასხვა საგნებისათვის დაწერილ სახელმძღვანელოთა შექმნაში ქუთ. ქართულმა გიმნაზიამ დიდი როლი ითამაშა — განსვენებული ი. ო ც ხ ე ლ ი ს, დ. უ ზ ნ ა ძ ი ს, ა. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ი ს და სხვათა თაოსნობით და მონაწილეობით. სკოლის გაეროვნებამდეც და, განსაკუთრებით, მის შემდეგ ეს სახელმძღვანელოები ძოვდინა მთელს საქართველოს სკოლებს; მათი უმეტესობა კი იწერებოდა სილოვანის ენით ან უკეთ — მის მიერ დაწესებული ნორმების მიხედვით. თუ ამას დავუმატებთ, რომ სილოვანი პოეტია, კრიტიკოსია, ჟურნალისტია, საჯარო სხდომებზე მჭერმეტყველურად მოლაპარაკეა, — ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რატომ მოახდინა მან სალიტერატურო ქართულზე ასეთი დიდი გავლენა. სილოვანმა შეადგინა პირველი ქართული საგრამატიკო ტერმინოლოგია, მან დაწერა სხვადასხვა სახისა და მოცულობის ქართული გრამატიკა (სრული და მოკლე, სისტემატიური და კონცენტრული), იგი ცდილობდა თეორიულადაც დაესაბუთებია თავისი მოსაზრებანი („ქართული ზმნები“, „სალიტერატურო ქართული“, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ და სხვ.). დაუღალავი იყო სილოვანი თავის სალიტერატურო ქართულის სწავლებაში, გავრცელებაში, დაცვაში, დაუზოგავი იყო, როგორც მოკამათე: ებრძოდა მწერლებს — დიდს (ილიას, აკაკის და სხვებს) და პატარებს, ებრძოდა მეცნიერებს — გამოჩენილს (ნ. მარრს, ა. შანიძეს) და ნაკლებ ცობილს. სილოვანი თითქმის პირად შეურაცხყოფად მიიჩნევდა როგორც ცუდი ქართულით მასთან საუბარს, აგრეთვე მისი ნორმების მოწინააღმდეგეს, რა დამსახურებისაც უნდა ყოფილიყო იგი. ამიტომ ს ი ლ ო ვ ა ნ ხ უ ნ დ ა ძ ე ტ ი პ ი უ რ ი და კლასიური ნიმუშია სალიტერატურო ენის დამცველისა; იგი ფანატიკოსია — ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. მან გვასწავლა, თუ როგორ უნდა დგომა სალიტერატურო ენის საგუშაგოზე.

სხვა საკითხია, თუ რამდენად შეიძლება გამართლდეს ქართული ენათმეცნიერების თვალსაზრისით მისი დებულებანი. ზოგი მათგანი გამართლებულიცაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა სილოვანის საბუთებით... სილოვანი არ იყო ენათმეცნიერი, ის იყო გრამატიკოსი. სილოვანი არაა ბოტანიკოსი, იგია კულტურულ მცენარეთა შემქმნელი და



მომვლელი. არ აწარმოებდა ლინგვისტურ გამოკვლევებს, მაგრამ მან დიდი ნაბიჯი გადაადგმევინა წინ ქართული ენის კულტურას — მეტი, ვიდრე ვინმე სხვა გრამატიკოსმა. დღეს, როდესაც ქართული ენათმეცნიერება ასე მძლავრად ვითარდება (შანიძე, ჩიქობავა, თოფურია და სხვ.), როდესაც საოპერაციო მასალა ასე მდიდრდება (ძველ ხელნაწერთა აღმოჩენა და გამოცემა, დიალექტების კვლევა) და ქართული ენის საკვლეო ასპარეზი ასე ფართოვდება ჩვენში და ჩვენს გარეთაც, — რა თქმა უნდა, ქართული ენის კულტურაზე მომუშავემაც ყური უნდა უგდოს წმინდა ენათმეცნიერულ ნაკვლევებს... მაგრამ, როგორც არ უნდა გაეგო ეს გარემოება სილოვანს, მისი უდიდესი ღვაწლი სათანადოდ უნდა დაფასდეს: მას ვერავინ წაართმევს იმ დამსახურებას, რომელზედაც მოგახსენეთ.

სილოვანს მწვავე კილო აქვს კამათში, ის დაუზოგავი კრიტიკოსია. ზოგჯერ — გადაჭარბებულად დაუზოგველი. გარდა იმისა, რაც მოგახსენეთ ამის შესახებ, მისი კილოს ასეთი ხასიათი გამომდინარეობს იმ დარგის რაობიდან, რომელშიც ის მუშაობდა: ე ს დ ა რ - გ ი ა ქ ა რ თ უ ლ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ა, ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქ ა რ - თ უ ლ ი ს ნ ო რ მ ე ბ ი; ამ დარგის ხასიათი კი თავისებურია მრავალმხრივ (ეს მხედველობაში უნდა იქონიოს სილოვანის მომავალმა ბიოგრაფმა): 1) ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ე ნ ა კ ო ნ ს რ ვ ა ტ ი უ - ლ ი ა“ (ნ ა კ ლ ე ბ ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ა) თ ა ვ ი ს ა რ ს ე ბ ი თ; ამის მეოხებითაა, რომ იგი (სალიტერ. ენა) აერთიანებს ძველსა და ახალს, წინა საუკუნეებს და თაობებს მომდევნოებთან და ამყარებს მათ შორის უწყვეტ კავშირს ურთიერთ გაგების მხრივ (სხვათა შორის: ქართული ენა კონსერვატიულია მრავალ სხვა ენასთან შედარებით; ეს უცილობელია, ყოველ შემთხვევაში, სალიტერატურო ხაზით. მით უკეთესი ეპოქათა ურთიერთ კავშირისათვის; მაგ. 12 საუკუნის შ ო - თ ა დღეს გაცილებით უფრო ადვილად გვესმის, ვიდრე 14 საუკუნის ჩ ო ს ე რ ი ინგლისელებს ან 15 — 16 საუკუნის არიოსტო იტალიელებს (დანტეზე ლაპარაკიც ზედმეტია). 2) ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ე ნ ა „ ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ა “, რომელიც დაცინვით და, თუ გნებავსთ, ოდნავი ზიზღითაც მაღლიდან დაჰყურებს ხალხურ კილოებს. სალიტერატურო ენა წარმოადგენს ხელოვნურად მორთულ ორანჟერეას, რომელშიც აფუფუნებენ ლამაზ მცენარეებს; ხოლო ხალხური კილოები — მინდვრის ველურ მცენარეებს. რომელნიც იზრდებიან ბუნებრივად, ღვთის ანაბარად. ენის კულტურაზე მომუშავე, ენის გრამატიკოსი — ორანჟერიის შემქმნელი და მომვლელი მაღლიანი ხელია. მინდვრის მცენარეს — ხალხურ კილოს — მომვლელი არა



ჰყავს, მას ჰყავს მხოლოდ მკვლევარი, რომელიც იკვლევს მას ისე, როგორც მოცემულია. 3) სალიტერატურო ენა შეპყრობილია რეფლექსით, მუდმივი შინაგანი დაკვირვებადმი მიდრეკილებით, იჭვიანობით, ადვილად აგზნებადობით... სალიტერატურო ენით მოსაუბრე ხარჯავს გაცილებით მეტ ენერგიას, ვიდრე სკოლაგაუვლელი, ხალხური ენით მოსაუბრე, რადგანაც პირველი ფიქრობს იმაზედაც, თუ როგორ ლაპარაკობს, ხოლო მეორე — მხოლოდ იმაზე, თუ რას ლაპარაკობს იგი. ამდენადვე პირველს გააღმასებელი აქვს ყურადღება სხვისი შეცდომებისადმი. 4) ამიტომ სალიტერატურო ენა ინტოლერანტია, ე. ი. ის ვერ ითმენს ახალს, განსხვავებულს თავისაგან; ებრძვის ერთნაირად ხალხური კილოების გავლენას და არსებული ნორმების გადახვევას... ესაა სალიტერატურო ენის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები; ასეთია ყოველი კულტურიანი ენის თავისებურობანი. კონსერვატიულობა, არისტოკრატიობა, რეფლექსია და ინტოლერანტობა — ამ სიტყვათა ენობრივ-კულტურული გაგებით — ახასიათებს სალიტერატურო ენაზე მომუშავესაც. არ, რატომ ნერვიულობს სილოვანი, როცა მას ესმის მისი ნორმების საწინააღმდეგო რამ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის იწვევს ჩვენში დიდს პატივისცემას, ვინაიდან მისი დაუზოგველი კილო შეეფერება თვით საგნის ხასიათს.

ენათმეცნიერება გამიჯნულია გრამატიკისაგან, რამდენადაც ეს მეორე ემსახურება სალიტერატურო ენის ნორმებს. ენათმეცნიერება: ენის მოვლენათა კვლევა სხვადასხვა ეპოქების მიხედვით, წერილობითი ძეგლების ზედმიწევნითი შესწავლა და მათზე დაყრდნობით ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურების დადგენა, ესაა ენის ისტორია, ისტორიული ენათმეცნიერება; მონათესავე ენათა შორის შესატყვისობათა კანონების დამყარება, ესაა შედარებითი ენათმეცნიერება; ენის კილო-ქცევათა შესწავლა, ესაა — ენის დიალექტოლოგია, რომელიც წარმოადგენს დამხმარე დარგს ისტორიულსა და შედარებითი ენათმეცნიერებისათვის. გრამატიკა: განსაზღვრულ დროს მოქმედი სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა; მისი მიზანია ერთიანი სამწერლო და სამეტყველო ენის შექმნა სკოლისა და მწერლობის გზით, — ისეთი ენისა, რომელიც, მართალია, იმთავითვე აღმოცენებულია რომლისამე დიალექტის ნიადაგზე. მაგრამ არ წარმოადგენს მთლიანად არც ერთს დიალექტს ამ ენისას. ასეთი ენის ნორმები განსაკუთრებით — მართლწერისა. ზოგიერთი მხრით ინდივიდუალური შემოქმედების საქმეა, შემოქმედის ავტორიტეტისა და შეთანხმების; მაშასადამე, ამ-



დენადვე იგი ხელოვნურია ამიტომ მასში საკმაო ფართო გასაქანი ეძლევა გრამატიკოსის გემოვნებას: როდესაც სალიტერატურო ენაში ჩნდება რაიმე მერყეობა რაიმე ფორმის მხრივ, ენის კულტურაზე მომუშავე აირჩევს არსებულ ფორმათა შორის საუკეთესოს (მისი შეხედულებით) და იცავს მას საყოველთაო სავალდებულოდ... სილოვან ხუნდაძემ ამ დარგში მომუშავეა. მან კარგად იცის, რომ სალიტერატურო ენის ფორმები ერთიანი უნდა იყოს, ურყევი და ყველასათვის სავალდებულო. დამახასიათებელია ამ მხრივ სილოვანის მოთხოვნა გამოთქმის კილოს ერთიანობის შესახებ: სალიტერატურო გამოთქმას არ შეშვენის არც ერთი არსებული (გურული, იმერული, ქართლური, კახური) გამოთქმა; გამოთქმა „უნდა იყოს სწორი, გადაჭრილი, მოშორებული ყოველგვარ ხასიათს“ („ქართ. მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“, გვ. 78). აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფორმების დამყარებისას გრამატიკოსი ირჩევს არსებულ ფორმებში, ხოლო გამოთქმის კილოს ქმნის ახალს. მართლაც, სალიტერატურო კულტურიან ენას არ შეშვენის ისეთი მრავალფეროვნობა ინტონაციისა, როგორც აქვს ბავშვის ან უკულტურო ენას... გრამატიკოსს აქ მხედველობაში აქვს ლინგვისტური ინტონაცია (დასაძრახი სალიტერ. ენისთვის) და არა ლოდიკური ან ემოციური...

სალიტერატურო ენის მქონე ყველა ერმა განვლო თავისი სალიტ. ენის განვითარების ის საფეხური, რომელსაც ასეთი ღრმა კვალი დააშჩნია სილოვან ხუნდაძემ; ქართულმაც განვლო ეს საფეხური არა ნაკლების სახელოვნობით, ვიდრე რომელიმე სხვა სალიტერატურო ენამ, და ეს მოხდა უმთავრესად ს ი ლ ო ვ ა ნ ხ უ ნ დ ა ძ ი ს წყალობით.

— : —



## სილოვან ხუნდაძე

(„ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“)

ორი თვის წინად მწერალთა კავშირის სახელზე წერილი მოვიდა სილოვან ხუნდაძის. ეს წერილი ანდერძია და თან „ადამიანის დოკუმენტი“. წერილში წინასწარ-ნაგზნობია სიკვდილის მოახლოება, მაგრამ ჩვენ ეს არ გვჯეროდა — და ავტორს ვერ ვუპასუხეთ. წერილი თავის დროს გამოქვეყნდება ალბად.

სილოვან ხუნდაძის სახელთან დაკავშირებულია ბრძოლა ქართულისა და მისი სიწმინდისათვის. ბრძოლა: მუდმივი, დაუღალავი. ქართული ენის ისტორია ღირსეულად მოიხსენებს მის სახელს. ეს მერმისის საქმეა. აქ კი — მოკლე შეხება.

ქართული ენა მართლაც რომ საცნაურია. ყოველი ენა იმთავითვე მსოფლიო-ჭვრეტაა თუ ხედვა. ქართული ენა ამ მხრით საოცარია. „სიცოცხლისა“ და „ცეცხლის“ ძირი ერთია (ჰერაკლეიტოს), „არსებულის“ და „არრსებულის“ ძირიც ერთია: „არის“, „არ“ (პლატონი და პეგელი). და მრავალი სხვა. ქართული ზმნა ხომ სწორუპოვარია. „წამძინებოდა“ — ეს დრო ძნელი გადმოსაცემია სხვა ენაზე (Оказалось, что я заснул). ეს არ არის თუ გინდ ისეთი „მოხერხებული“ თქმა, როგორცაა „გავაკეთებინე“, მაგრამ „დროს“ ნიუანსის გადმოცემისათვის ეს უფრო გულისხმიერია. ან კიდევ: „უთქვამს“, ან და: „ეთქვას“. ან კიდევ: „ვსწერდე“. აქ თითქმის აბსოლუტურად არის დრო მოცემული. ქართულ ზმნაში არის ფორმა, საცა აწმყო მომავალში გადადის. არის ისეთიც, საცა წარსულში მომავლის ფორმაა მოცემული (თითქმის გადატანილი). საერთოდ: ქართული ზმნა ელის ფილოსოფიურ კვლევას — თუ როგორ წარმოიდგენს დროს ქართველი თავის ზმნებით.

ენის ისტორიის მხრით მეტად მნიშვნელოვანია ძველისა და ახალი ქართულის დაპირისპირება. მაგალითად: „უუამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააქნა და შეუნიერებაი სიკეთისა ჩემისა დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა“. ეს ნაწყვეტი ეკუთვნის მეხუთე საუკუნეს. ეხლა აიღეთ



მეჩვიდმეტე თუ გინდ მეთვრამეტე საუკუნის ქართული. იქ არა თუ ვერ იპოვით ასეთ ჭვირვალ და მკვეთრ გამოთქმას, იქ ვერც კი გაიგებთ ნათქვამს — (გამონაკლისი — სულხან-საბა ორბელიანი). ეს მოვლენა ორი მხრით არის გულისხმიერი. პირველი: ქართული ენა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნიდან დაკნინებისა და გადაგვარების გზას დაადგა. მეორე: არც ისე ძნელია — ეზიარო ძველ ქართულს (არა ბაძვით თუ გადმოღებით, არამედ ქმედითი განახლებით).

როცა სილოვან ხუნდაძის ქართულს ვეხებით, წინ გვიდგას „ამერის“ და „იმერის“ ბრძოლა. ეს „ბრძოლა“ ეხლაც გრძელდება. რომელი მხარეა მართალი?

ქართული ენა „ქართის“ ტომისაა, და ცხადია, მისი ნამდვილობა უფრო „ამერს“ უნდა ეკითხოს. მაგრამ ბევრი რამ, სწორი და ნამდვილი „იმერში“ (განსაკუთრებით ზემო იმერეთში) უფროა დარჩენილი. „ხეში“ მაგალითად (Смычек). ან კიდევ: „ტრელი“. ეს სიტყვა პროვინციალური ჰგონიათ (სულხან-საბას კი აქვს). „ნიგოზი“ რომ თქვა ამერეთში, დაგცინებენ: „კაკალი“ უნდაო. მაშინ როდესაც „კაკალი“ სხვა რამესაც შეიძლება ეწოდოს და „ნიგოზი“ კლასიკურ მწერლობაშიც გვხვდება. „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“. რუსთაველის ამ ტაეპში „ნეხვი“ ეხლაც ნაკელი ჰგონიათ. გურიაში კი მითხრეს: „ნეხვი“ მყრალ ყვავილსაც ჰქვიაო. თუ ეს ასეა, მაშინ რუსთაველის პოეტური პარალელიზმიც იქნება უფრო მეტად და უფრო მძაფრად გამართლებული. და მრავალი სხვა.

ერთი რამ კიდევ. მაგალითი. დღეს ქართველი დებეშებს რუსულად უფრო ჰგებულობს ვიდრე ქართულად. ეს — არა იმის გამო, რომ ქართველმა ვითომ რუსული უფრო იცის. არც იმის გამო, ვითომ დებეშში ქართულად გრამატიკულ არა-სწორ ფორმით იყოს გადმოღებული. მიზეზი სხვაა. ქართული ენის ბუნება არ არის „პერიოდი“. გრძელი წინადადება ქართულში კანცელარულ ნაწერამდე მიგიყვანს. როცა დებეშს თარგმნიან, გადმოაქვთ პერიოდული ფორმაც (მაშინ როდესაც უფრო უკეთესი იქნებოდა დატეხილი ფორმით გადმოცემა). ქართულის მახასიათებელი სიმოკლეა და სიმარტივე.

აი აქაც „იმერს“ შეაქვს თავისი წვლილი. მართალია, „ქართული“, როგორც ავნიშნე, „ამერის“ უფროა. მაგრამ ვინ იცის: შესაძლოა, დროთა სვლაში აქ იგი დამძიმდა, დაიკორდა, დაიხერგა. ამას დახვეწა სჭირდება და დაკაფვა. „იმერის“ თქმა, მარტივი და სხარტი. აქ ხშირად გამოგვადგება.

სილოვან ხუნდაძის უდიდესი საქმე ისაა, რომ მან ქართული ენა გაამარტივა. წინ მიდევს მისი წიგნი: „ქართული მართლწერისა და



სწორწერის ძირითადი საფუძვლები“. მე განზე ვტოვებ პო-  
ლემიკას და მის კილოს. წიგნი კარგია და მარჯვე. მაგა-  
ლითები უთვალავია მოყვანილი. კითხულობ და გიკვირს: რამდენი  
უმუშავია, რამდენი უკვლევეია, რამდენი უკრებია! არის მერე იგა  
ყველგან მართალი? რასაკვირველია, არა. მაგრამ გადაჭრით შეიძლება  
ითქვას, რომ ათ შემთხვევაში სიმართლე შვიდის მხარეზეა. მინდოდა  
მაგალითები ამომეწერა. მაგრამ ეს მოუხერხებელია: წიგნი ნახევრად  
უნდა ამომეწერა. აღსანიშნავია „თანდებულებში“ მეშვიდე განაკვე-  
თი. ზმნებში: მესამე, მეხუთე, მეექვსე, მეცხრე, მეთორმეტე, მეთოთხ-  
მეტე, მეხუთმეტე, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე, მეოცე. აგრეთვე: „ვი-  
ყო“, „გავიხაროთ“, „ვნახეთ“, „ვიჯდომები“, „ვდგავარ“, „დასდვა“,  
„მინახავხარ“, „მივედი“, „ვიძახოდი“, „ვარგვარ“ და „ვარგან“, „მო-  
ვიმკი“, „ყიდვა — გასაყიდი“, „ვშოულობ“, „მწამს“, „გავატან“ და  
სხვა. ბევრი რამ არის საგულისხმო „კეთილხმოვანების“ განყოფილე-  
ბაში. ყურადსაღებია „შესმენილის შეთანხმება ქვემდებარესთან“, გან-  
საკუთრებით: პირველი, მეორე და მესამე განაკვეთი. „დროთა შეთან-  
ხმებაში“ მწერლობისათვის ძალიან საინტერესოა ბოლო აბზაცები  
(სამი). საინტერესოა კავშირის („რა“) ხმარება. შემდეგ: „მთის უმაღ-  
ლესი“ და „ჩემზე უკეთესი“. „თურმე“ და „თუარას“ ხმარება. „სანამ  
— მანამ“. და მრავალი, მრავალი სხვა.

დღევანდელი ქართული ენა უთუოდ გამარტივებისაკენ იხრება.  
სილოვან ხუნდაძის ღვაწლი ამ მხრით დიდია. ქართული ენის აკადე-  
მიურ ფორმებში ჩამოყალიბებისას სილოვან ხუნდაძის წიგნი — „ქარ-  
თული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ — ბევრს  
რამეში უთუოდ თავისას გაიტანს.

— : —



# ლიტერატურული დოკუმენტები

პავლე ინგოროყვა

## გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწარები.

ჩვენი ახლო დაინტერესება გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებით, რასაც შედეგად მოჰყვა გრიგოლ ორბელიანის ამ უცნობი ნაწარების აღმოჩენა, შემდეგმა გამოიწვია.

მიმდინარე გაზაფხულს ჩვენ მოგვიხდა გვემუშავნა მონოგრაფიაზე ნიკო ბარათაშვილის შესახებ. ნიკო ბარათაშვილის პოემაში „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“ ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: ამ პოემაში არის ზოგიერთი ხაზი, რომელიც არ ეგუება ჩვენს წარმოდგენას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაზე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

ყველას ახსოვს დიალოგი ერეკლე მეფესა და სოლომონ მსაჯულს შორის, როდესაც ისინი „ქართლისა ბედსა განსამართლებენ“.

ერეკლე მეფე გულგატეხილია საქართველოს მძიმე მდგომარეობით; იგი ვერა ჰხედავს სხვა გამოსავალს საქართველოსთვის, თუ არა რუსეთის მფარველობას; და თავის ფიქრებს ამ საგანზე ერეკლე პირველად გაანდობს სოლომონ მსაჯულს.

სოლომონ მსაჯული განცვიფრებით ისმენს ერეკლე მეფის ასეთს გარდაწყვეტილებას: მსაჯული უმტკიცებს ერეკლეს, რომ საქართველოს ჯერ ისეთი არა დამართნია. „რომ განვისყიდოთ თავისუფლება“. თავისუფლება ყველაზე დიადი ნიჭია, და ქართველები წინააღმდეგებიან ყოველს უბედურებას. ოღონდ-კი „ჭერ-ქვეშ თავისუფლება“ ჰქონდეთ.

საუბრის შემდეგ სოლომონ მსაჯული რწმუნდება, რომ ერეკლე მეფის გარდაწყვეტილება მტკიცეა. იგი აღელვებული შორდება მეფეს. და პოეტი შემდეგ-ნაირად აგვიწერს სოლომონ მსაჯულის სულისკვეთებას, როდესაც იგი „სულით-ღელვილი“ ბრუნდება ქალაქისაკენ:

მეფის ჰაზრთაგან სულით-ღელვილი

ჰზრახვიდა გულში მამულისშვილი:

„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!

ერთ კაცს მოჰმადლებ ყოველთა უფლებას



და მის გულის-თქმას მონებენ ერნი,  
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,  
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,  
ვითა ამლერდეს იგი კამათლებს!...  
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება, —  
სხვას განუბოძო შენ ყმათ ცხოვრება,  
მისდევდე შენსა გულის-კვეთებას  
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?!  
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,  
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,  
და რად ივიწყებ, რომე მარადის  
მეფის გულის-თქმა ერსა ეკუთვნის!...

იდეები, რომელიც გამოთქმულია პოემის ამ ადგილას, პირველის შეხედვით უჩვეულოა ბარათაშვილის ეპოქისთვის. პოეტი, სოლომონ მსაჯულის სიტყვებით. ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ „ერთი კაცია“, მეფე, თავის ნებაზე განაგებს ხალხის ბედს. მეფის უფლება ხალხიდან მოდის, მას პირველად „ერმან მისცა ღირსება“, და შეუძლებელია „მეფის გულის-თქმა“ დაყენებულ იქნეს ხალხის ნებაზე მალა. პოეტს უსამართლობად ეჩვენება, რომ „ერთ კაცს“ უფლება აქვს განაგოს ერის ცხოვრება, „ვითა ამლერდეს იგი კამათლებს“; პოეტს უსამართლობად მიაჩნია „ერთი კაცის“ ეს უფლება. რომელსაც განურჩევლად უნდა დაემორჩილნენ ყველანი, მაშინაც კი, როდესაც იგი სთრგუნავს ხალხის თავისუფლებას.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ნ. ბარათაშვილი სწერდა ნიკოლოზ I-ის ეპოქაში (— პოემა 1839 წელს არის დაწერილი), და აქ საცენზურო მოსაზრებათა გამო, პოეტის აზრები უეჭველია დიდის თავდაჭერით და შეკვეცილად არის გამოთქმული. მაგრამ, პოეტის სახელმძღვანელო იდეები მაინც ცხადია ამ ფრთხილად დაწერილი სტრიქონებიდანაც.

საკითხავია, საიდან მოდის ნ. ბარათაშვილის ეს პოლიტიკური რადიკალიზმი, კონსტიტუციონური იდეები ხალხის სუვერენობის შესახებ? რამდენადაც ჩვენ დღემდე ვიცნობდით საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას, ასეთი იდეები ბარათაშვილის ეპოქაში თითქოს მოულოდნელი იყო.

ბარათაშვილის პოემა, როგორც მოვიხსენეთ, 1839 წელს არის დაწერილი. ხოლო 1832 წელს ეკუთვნის საქართველოს ფარული საზოგადოების მუშაობა, რომელიც აჯანყებას ამზადებდა. და ჩვენ უნებლიეთ აღგვეძრა ეჭვი, ხომ არ მომდინარეობს ბარათაშვილის შეხე-



დულებანი, გამოთქმული პოემაში „ბედი ქართლისა“, 1832 წლის შეთქმულთა იდეოლოგიიდან?

1832 წლის შეთქმულობის სახელმძღვანელო იდეების შესახებ ჩვენ დღემდე ძალიან ცოტა ვიცოდით. ერთად-ერთი ძირითადი ხასიათის პირველი-წყარო, რომელიც დღემდე გამოქვეყნებულია 1832 წლის შეთქმულობის გამო, ეს არის მთავრობის ოფიციალური ცნობები და მოხსენებანი, დაბეჭდილი „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში“. (ტ. VIII, „Дело о грузинском заговоре“, გვ. 391 — 423.).

მაგრამ მთავრობის ცნობები, ბუნებრივია, ტენდენციურად აშუქებს 1832 წლის შეთქმულობის საქმეს \*). რა მიზნებს ისახავდენ შეთქმულნი? ჰფიქრობდენ ისინი ძველი საქართველოს უბრალო რესტავრაციას, ძველი, მამა-პაპური, ერეკლე მეფის დროინდელ წყობით? თუ შეთქმულნი განახლებული საქართველოს შესახებ ჰფიქრობდენ? იქნებ მათთვის არ იყო უცხო თანამედროვე ევროპის იდეები, რომელმაც კერძოდ თვით რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაშიაც ჰპოვა გამოძახილი, დეკაბრისტების შეთქმულობაში 1825 წელს, და აგრეთვე პოლონეთის აჯანყებაში 1831 წელს?

ოფიციალური წყაროები ამის შესახებ, რასაკვირველია არას ამბობენ. და საერთოდ, ოფიციალურ ცნობებს გასდევს გარკვეული ტენდენცია წარმოგვიდგინონ 1832 წლის შეთქმულობის საქმე, როგორც ვიწრო წრის რალაც უნიადაგო, მოუფიქრებელი გატაცების ნაყოფი.

მაგრამ, თუმცა ოფიციალური წყაროები მთავარი საკითხების გამო შეგნებულად სდუმან, მთავრობას მაინც ვერ მოუხერხებია ყველა კვალის დაფარვა. თვით იმ ოფიციალურ მოხსენებებშიაც, რომელიც მთავრობამ გამოაქვეყნა, ნაწილობრივ მოსჩანს საქმის ნამდვილი ვითარების ხაზებიც.

როდესაც ჩვენ, ასეთი ეჭვების ქვეშ, განმეორებით გადავიკითხეთ შეთქმულობის შესახები ოფიციალური მოხსენებანი, ჩვენი ყურადღება მიიქცია ზოგიერთმა დამაფიქრებელმა გარემოებამ.

ჯერ ერთი, როგორც ირკვევა, 1832 წლის შეთქმულთა ორგანიზაცია მასონური ლოჟების პრინციპზე ყოფილა აგებული. საკმაოა გადავიკითხოთ საგამომძიებლო კომისიის მოხსენებაში წარმოდგენილი მასალები — შეთქმულთა მუშაობის მეთოდების შესახებ, რათა ცხადი გახდეს 1832 წლის შეთქმულთა და მასონური ორ-

\*) ამას ემატება აგრეთვე ის გარემოება, რომ გამოძიებამ, იქნებ, ვერც-პი შესძლო ყველაფრის გამორკვევა.



განიზაციების ნათესაობა. კონსპირაციის გარკვეული წესები და მთელი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მიღებული ყოფილა შეთქმულთა ფარულ საზოგადოებაში, უმეტნაკლებოდ იგივეა, რაც ამ ეპოქის მასონურ ლოჟებში იყო მიღებული \*).

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში მთელი რიგი რევოლუციური ორგანიზაციებისა, — ასე კარბონარიების წრეები იტალიაში, დეკაბრისტებისა რუსეთში. და აგრეთვე პოლონური ორგანიზაციები, რომელთაც მოამზადეს 1831 წლის აჯანყება, — დაკავშირებული იყო ბევრ ხაზებში მასონობასთან, და კერძოდ ორგანიზაციული წყობა აქ მასონური ლოჟების ტიპისა იყო. ეს გვაფიქრებს, რომ საქართველოს შეთქმულობა 1832 წლისა (რომელიც 1826 წლიდან მზადდებოდა) არა მარტო დროის მიხედვით უდგება პოლონურ აჯანყებას 1831 წლისა, დეკაბრისტების შეთქმულობას 1825 წლისა, ან კარბონარიების მოძრაობას 20-იანი და 30-იანი წლებისას, არამედ აქ ნათესაობის ხაზები სჩანს უფრო შორს მიდის.

შემდეგ ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, რომ გამოქვეყნებული ოფიციალური წყაროები შეგნებულად არას ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ ჰქონდათ შეთქმულებს წარმოდგენილი პოლიტიკური წყობილება საქართველოსი და კავკასიისა. (შეთქმულობა, როგორც ეს ირკვევა მასალებიდან, მთელი კავკასიის განთავისუფლებას ისახავდა მიზნად; საგულისხმოა, ამასთან ერთად, ისიც აღინიშნოს, რომ შეთქმულობაში, გარდა ქართველებისა, საქართველოს სომხები და თათრებიც იღებდნენ მონაწილეობას). — და თუმცა პოლიტიკური წყობილების შესახებ ოფიციალური წყაროები გარკვეულს არას გადმოგვცემენ, მაინც აქ შემთხვევით არის გაპარული ერთი მეტად საგულისხმო ცნობა. სახელდობ, საგამომძიებლო კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონიათ, ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ, დაეარსებინათ საქართველოში რეგულიარული ჯარი, და **ჯარში შემოეღოთ არჩევნების წესები**, ჯარის ნაწილის უფროსები თითონ ჯარს უნდა აერჩია. შეთქმულთა გეგმაში შედიოდაო, — აღნიშნავს ოფიციალური დოკუმენტი, — „заградить путь через ущелье Кавказское; образовав войско регулярное. назначить в оное начальников способом избирательным“ \*). — ამ-რიგად, თუკი შეთქმულები ისეთ რადიკალიზამდე მიდიოდნენ, რომ თვით რეგულიარულ ჯარშიაც არჩევნებითი წესების შემოღებას ჰფიქრობდნენ, ბუ-

\*) იხ. АКТЫ, ტ. VIII, გვ. 400, 403 და სხვ.

\*) იხ. АКТЫ, ტ. VIII, გვ. 400,



ნებრივია, რომ სახელმწიფო წყობილების აგება მათ განზრახული უნდა ჰქონოდათ წარმომადგენლობითი პრინციპის მიხედვით.

ამას გარდა. აქ აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე ზოგიერთმა, პირველის შეხედვით თითქოს წვრილმანმა ფაქტებმა, რომლებიც ამჟღავნებენ შეთქმულთა ურთიერთობას ევროპიულ წრეებთან. ასე, შეთქმულთა გეგმაში შედიოდა მიმხრობა კავკასიაში მცხოვრები პოლონელებისა, რომელთა რიცხვი ამ დროს 3.000-მდე აღწევდა \*). შემდეგ, სამხედრო მინისტრის ჩერნიშევისა და მთავარ-მართებელ ბარონ როზენის მიწერ-მოწერა გვაფიქრებინებს, რომ შეთქმულობასთან კავშირი უნდა ჰქონოდა პოლონელ ზავილეისკისა და ფრანგ ლეტელიეს \*\*). ხოლო პოლონელი უკრაინელი პაუშენკო ქართველ შეთქმულებთან ერთად იყო დაჭერილი და მათთან ერთად გაასამართლეს \*\*\*).

რომ 1832 წლის შეთქმულობასა და ევროპის იმ-დროინდელ საზოგადოებრივ მოძრაობას შორის არსებობდა რაღაც შემაერთებელი ხაზები, ამის მაჩვენებელია კერძოდ ის გარემოება, რომ შეთქმულობის წევრს პოეტ გრიგოლ ორბელიანს უთარგმნია ქართულად „ნალივაიკოს აღსარება“ — კონდრ. რილეევისა, დეკაბრისტების ამ ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელისა, რომელიც ნიკოლოზ I-ის მთავრობამ პეტრე-პავლეს ციხეში ჩამოახრჩო 13 ივლისს 1826 წელს.

ყველა ამ ცალკეულმა მომენტებმა გვაფიქრებინა, რომ 1832 წლის შეთქმულობისათვის სჩანს არ იყო უცხო თანამედროვე ევროპის საზოგადოებრივი მოძრაობის ტენდენციები; და რომ კერძოდ ის ლიბერალური კონსტიტუციონური იდეები, რომელიც გაკვრით არის გამოთქმული ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ ყველა ნიშნებით 1832 წლის შეთქმულობის ეპოქის იდეოლოგიიდან მოდის.

ჩვენი ინტერესი 1832 წლის შეთქმულობის საქმისადმი, ბარათაშვილის შესწავლასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა გამოირკვა ზოგიერთი დეტალები ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან. ასე, 1833 წელს, როცა იასე ფალავანდიშვილის ღალატის გამო, შეთქმულობა უკვე აღმოაჩინა მთავრობამ, და შეთქმულობის მთავარი მონაწილენი ავლაბრის ყაზარმებში იყვნენ დატყვევებულნი და სიკვდილის განაჩენს მოელოდნენ, — ამ დროს, 1833 წელს, ნიკო ბარათა-

\*) იხ. АКТЫ. VIII, გვ. 405.

\*\*\*) იხ. გრ. ჩერნიშევის მომართვა ბარონ როზენტან, АКТЫ, ტ. VIII, გვ. 394. — შეად. აგრეთვე დანარჩენი ცნობები: ლეტელიეს შესახებ ტ. VIII, გვ. 408. ზავილეისკის შესახებ ტ. VIII, გვ. 412, 402, 408.

\*\*\*) АКТЫ, ტ. VIII, 409 — 422.



თაშვილს, ჯერ კიდევ ახალგაზდა გიმნაზიელს, მონაწილეობა მიუღია ხელნაწერი კრებულის გამოცემაში, სადაც შეტანილია შეთქმულთა ნაწარმოებნი, და მათ შორის გრიგოლ ორბელიანის აკრძალული ლექსი „იარალისადმი“.

ამას გარდა, იმავე 1833 წელს, ნ. ბარათაშვილს დაუწერია სატირა, რომელიც ფარულად გაუგზავნიათ ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის ნ. ფალავანდიშვილისათვის, რომელიც ძმა იყო შეთქმულობის გამცემის იასე ფალავანდიშვილისა.

როცა ყოველივე ეს გამოიჩინა, ჩვენ აუცილებლად ჩავსთვალეთ, რომ ნ. ბარათაშვილის შესწავლასთან დაკავშირებით, გავსცნობოდით მთავარ ხაზებში 1832 წლის შეთქმულობის საქმესაც. კერძოდ ჩვენს ინტერესს იწვევდა გრ. ორბელიანის შესახები მასალები, რადგან სწორედ გრ. ორბელიანი მოიხსენება როგორც ავტორი „კრამოლური“ ლექსებისა, მთარგმნელი დეკაბრისტის რილეევის „ნალივაიკოს აღსარებისა“. ამასთან, ნ. ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, უახლოესი მეგობრობით იყო დაკავშირებული გრ. ორბელიანთან; ბარათაშვილი, როგორც გვიჩვენებს მისი შიწერ-მოწერა. გრ. ორბელიანს სთვლიდა თავის ლიტერატურულ მეტრად.

ამ განზრახვის შესრულება — შეთქმულთა საქმის გაცნობა — მით უფრო ადვილი იყო, რომ, როგორც ცნობა გვქონდა, შეთქმულობის შესახები საარქივო პირველ-წყაროები (— გამოძიების საქმე), რომელიც წინად ლენინგრადში ინახებოდა. ამ ჟამად დროებით ტფილისშია ჩამოტანილი და დაცულია საქართველოს ცენტრ-არქივში.

\*

შეთქმულობის საქმეზე მუშაობის დროს (— შეთქმულობის საქმე, ლენინგრადიდან ჩამოტანილი, 29 ტომს შეიცავს) — ჩვენ დიდი დამხარება აღმოგვიჩინა პროფ. მ. პოლიევქტოვის წერილმა „საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულობის ისტორიისათვის საქართველოში“ (იხ. „საქართველოს არქივი“, II), რომელსაც ჩვენ არქივში მუშაობის დროს გავეცანით.

შეთქმულობის საქმეების თვითეულ ტომს, ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ეს საქმეები შეუკრავთ, დართული აქვს დაწვრილებითი კატალოგი, თუ რა საქმეები შედის თვითეულ ტომში. პროფ. პოლიევქტოვს გადაუშინჯავს ეს კატალოგები და მოჰყავს თავის წერილში ზოგიერთი ამონაწერები ამ კატალოგებიდან. სხვა მრავალ ამონაწერთა შორის, კერძოდ მე-19 ტომის კატალოგიდან აქ მოხსენებულია ასეთი სათაურიც:



„გენერალ-მაიორი ვოლხოვსკის და პოლკოვნიკ სუმბათაშვილის ანგარიში იმის შესახებ, რომ მათ განხილეს პორუჩიკ გრიგოლ ორბელიანის ქაღალდები და ამონაწერები ამ ქაღალდებიდან“.

ჩვენ გადავშინჯეთ ეს მე-19 ტომი. ამ ტომში (ფურცლები 3734—3744), თანახმად კატალოგისა, მართლაც არის ჩაკერებული მოხსენება გრიგოლ ორბელიანის ქაღალდების განხილვის შესახებ, და მოხსენებასთან დართულია რუსული თარგმანი ზოგიერთი ნაწყვეტებისა გრიგოლ ორბელიანის ნაწერებიდან. ხოლო რაც შეეხება თითონ იმ ქართულ ხელნაწერებს, რომელიც დატყვევების დროს ჩამოართვეს გრიგოლ ორბელიანს, ამ ტომში არაა მოთავსებული.

პროფ. პოლიევქტოვი, როგორც თვითვე აღნიშნავს თავის წერილში, დაკმაყოფილებულა მხოლოდ კატალოგების გადაშინჯვით, რომელიც მოთავსებულია თვითეულ ტომის თავში, ხოლო თვით საქმის განხილვას არ შესდგომია. თუკი მას ჰქონოდა შემთხვევა გადაეკითხა თვით ეს მეცხრამეტე ტომში მოთავსებული „გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის და პოლკოვნიკ სუმბათაშვილის ანგარიში“, იქ იპოვიდა ცნობას, რომ გრიგოლ ორბელიანის თვით ქართული ხელნაწერები დაცული არის მე-21 ტომში. მაგრამ არც მე-21 ტომისა და არც გრიგოლ ორბელიანის ქართული ხელნაწერების შესახებ პროფ. პოლიევქტოვი არას ამბობს.

მე-19 ტომის შემდეგ ჩვენ მივმართეთ 21-ე ტომს და აქ აღმოჩნდა ისეთი მასალები, რომელმაც გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს. აქ შენახულა არა მარტო ის რამდენიმე მოკლე ნაწყვეტი, რომელიც მოყვანილია რუსული თარგმანების სახით „გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის და პოლკოვნიკ სუმბათაშვილის ანგარიშში“, არამედ გრიგოლ ორბელიანის ნაწერების უძვირფასესი კრებული, თვით პოეტის ხელით გადაწერილი. კრებულში, როგორც პირველმა განხილვამ გვიჩვენა, მოთავსებულია გრიგოლ ორბელიანის როგორც ცნობილი ნაწარმოებნი, ხშირად მეტად მნიშვნელოვანის ვარიანტებით, ისე მთელი რიგი დღემდე უცნობი ნაწერებისა.

ამის შემდეგ ჩვენ შევუდევით ხელნაწერების გარჩევასა და შესწავლას. (აღნიშნავთ აქვე, რომ გრ. ორბელიანის ამ ხელნაწერებში, როცა ისინი გამოძიების საქმეში ჩაუკეთებიათ, უცოდინარ რუსის ჩინოვნიკებს აურევიათ გვერდები. ამას გარდა, ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დიდი ფორმატის ფურცელი, რომელზედაც მოთავსებულია გრიგოლ ორბელიანის 15 დღემდე უცნობი ლექსები, ისე უხერხულად, გადაკეცილად ჩაუკერებიათ საქმეში ამ 95 წლის წინად, როცა პირველად შეუკრავთ საქმე, რომ მისი რიგიანად გარჩევა არ



ხერხდებოდა, ვიდრე არ ავახსნევინეთ უადგილოდ გაკერილი ძაფები).

მუშაობის დროს გამოირკვა ერთი გარემოება, რომლის აღნიშვნა აქ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია. მე უკვე ვაწარმოებდი გადმოწერასა და შესწავლას გრიგოლ ორბელიანის ამ ნაწერებისას, და მთავარ ხაზებში გავარკვიე კიდევ, თუ რა წარმოადგენს ამ კრებულში გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ნაწერების ვარიანტს ან პირვანდელ ესკიზებს და რა არის აქ ახალი; ამის შემდეგ, პირადი საუბრის დროს არქივის თანამშრომელთან ბ. გ. გოზალიშვილთან გამოირკვა, რომ მას ჩემგან დამოუკიდებლად, აგრეთვე შენიშნული ჰქონია მე-21 ტომში მოთავსებული მასალები. ამის შემდეგ მე მივეცი წინადადება ბ. გ. გოზალიშვილს, რომ რაკი ორთავეს ერთი-მეორისაგან დამოუკიდებლად შეგვინიშნავს ერთი და იგივე მასალა, ჩემთვის უაღრესად სასიამოვნო იქნება, თუ ბ. გ. გოზალიშვილი ჩემთან ერთად იმუშავენს ამ მასალებზე და გრ. ორბელიანის ნაწერებსაც ერთად გამოვაქვეყნებთ. მაგრამ ბ. გ. გოზალიშვილმა ამაზე მიპასუხა, რომ მას 1832 წლის შეთქმულობის საქმეში პოლიტიკური ისტორიის საკითხები აინტერესებს, და არ ჰფიქრობდა მუშაობას ისეთ წმინდა ლიტერატურულ მასალებზე, როგორცაა გრ. ორბელიანი, ამიტომაც იგი ჩემ მიერ დაწყებულ მუშაობაში არ ჩაერევა. მე იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი ბ. გ. გოზალიშვილის ამ ჯენტლმენურ განცხადებას. და თუმცა ბ. გ. გოზალიშვილმა არ ინდომა ჩარეოდა ჩემ მიერ დაწყებულ მუშაობაში, მე მაინც ჩემს მოვალეობად ვსთვლი განვაცხადო აქ შემდეგი: რამდენადაც გრ. ორბელიანის ნაწერების პირველი პოვნა არის ერთგვარი დამსახურება, ეს დამსახურება მეკუთვნის არა მხოლოდ მე, არამედ ჩემთან ერთად ბ. გ. გოზალიშვილსაც.

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ, გადავდივარ გრ. ორბელიანის ნაწერების ანალიზზე.

## I

### ხელნაწერთა აღწერილობა

თავდაპირველად საჭირო იქნება შევჩერდე თითონ ხელნაწერთა აღწერილობაზე.

ისტორია გრიგოლ ორბელიანის ხელნაწერებისა, რომლებიც დღეს ჩაკერებულია 1832 წლის შეთქმულობის საქმეებში, ასეთია.

როდესაც შეთქმულობა 1832 წლის 9 დეკემბერს გასცა იასე ფალავანდიშვილმა. გრიგოლ ორბელიანი არ იმყოფებოდა საქართველოში, იგი რუსეთში იყო, ჯარში, ნოვგოროდის გუბერნიაში. გრიგოლ ორბელიანი რუსეთში შეიპყრეს (1833 წლის მარტის პირ-



ველ რიცხვებში), საიდანაც იგი, დაკითხვის შემდეგ, გადმოგზავნეს საქართველოში. აქ, ტფილისში, გრიგოლ ორბელიანი განმარტოებით იყო დატუსაღებული ავლარის ყაზარმებში ნახევარი წელი, ვიდრე დასრულდებოდა საქმის გამოძიება.

არა სჩანს, იცოდა თუ არა გრ. ორბელიანმა შეთქმულობის გაცემა, როდესაც იგი პირველად დაატყვევეს. ყველა ნიშნებით არ უნდა სცოდნოდა. ყოველ შემთხვევაში გრ. ორბელიანი სრულიად მოუმზადებელი დახვედრია ჟანდარმის პოლკოვნიკის პირველ გამოცხადებას მის ბინაზე: გრ. ორბელიანს ვერ მოუსწრია ხელნაწერების გადამალვა. ხოლო ამ ხელნაწერებში კი ძალიან ბევრი იყო ისეთი, რაც ამჟღავნებდა გრ. ორბელიანის უახლოეს კავშირს შეთქმულობასთან. — მთავრობის აგენტებს, გრ. ორბელიანის დატყვევების დროს, წამოუღიათ პოეტის ყველა ხელნაწერი და მთელი მისი მიწერ-მოწერა.

როდესაც გამოძიება დაიწყო, ამ ხელნაწერების განხილვა საგამომძიებლო კომისიამ მიანდო ვინმე პოლკოვნიკ სუმბათოვს (ასე აწერს იგი ხელს): პოლკოვნიკ სუმბათოვს მიეცა დავალება ამოეკრივა ხელნაწერებიდან ისეთი მასალები, რასაც შეთქმულობასთან კავშირი ჰქონდა, და ცალკე ადგილების რუსული თარგმანი წარედგინა საგამომძიებლო კომისიისათვის. 1833 წელს, 26 ივნისს, პოლკოვნიკი სუმბათოვი უდგენს საგამომძიებლო კომისიას შემდეგ მოხენებას:

«Бумаги поручика князя Григория Орбелиянова, по поручению следственной Комиссии, рассмотрены мною и какие найдены в оных места и статьи, могущия иметь какое либо отношение к открытому в Грузии умыслу, имею честь представить при сем на благоусмотрение Комиссии, докладывая, что за тем рассмотренных мною в бумагах ничего подозрительного не заключается».

მოხსენებას დართული აქვს, ათ ფურცელზე, რუსული თარგმანი გრ. ორბელიანის ნაწერების იმ ადგილებისა, რომელიც პოლკოვნიკ სუმბათოვს „საეჭვოდ“ მიუჩნევია. საგამომძიებლო კომისიამ, ეს რუსული თარგმანი „საეჭვო“ ადგილებისა შეიტანა შეთქმულობის საქმის-წარმოებაში და იგი დღეს დაცულია, როგორც აღნიშნული გვქონდა, მე-19 ტომში (გვ. 3735a — 3744b).

**შენიშვნა.** გრ. ორბელიანის ნაწერების „საეჭვო“ ადგილების ეს რუსული თარგმანი, შესრულებული პოლკოვნიკ სუმბათოვის მიერ, ხელთა ჰქონია საგამომძიებლო კომისიის წევრს გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის, როდესაც მას უწარმოება დაკითხვა გრ. ორბელიანისა. ხელნაწერის არსებზე მიწერილია ვოლხოვსკის ზოგიერთი შენიშვნა, ჩარმოთმეული ჩვენების შესახებ.



რაც შეეხება გრ. ორბელიანის თვით ქართულ ხელნაწერებს, მის შესახებ ასე მოქცეულან. მთელი ეს ხელნაწერები ორად გაუყვიათ. ერთი ნაწილი, სახელდობ ისეთი რვეულები, რომლებშიაც მოთავსებული იყო „საეჭვო“ ხასიათის ნაწერები, რაც ამჟღავნებდა პოეტის პოლიტიკურ იდეებსა და შეთქმულობასთან კავშირს, ასეთი „საეჭვო“ ნაწერების შემცველი რვეულები გადაურჩევიათ და აგრეთვე მიუკერებიათ გამოძიების საქმისათვის (მე-21 ტომში);

ხოლო მეორე ნაწილი, ე. ი. ისეთი ნაწერები, რომლებიც, გამოძიების აზრით, არ შეიცავდა „საეჭვო“ ადგილებს, და ამასთან ერთად პოეტის მიწერ-მოწერა და სხვა ქალაქდები, რაც „საეჭვოდ“ არ იყო ცნობილი, ცალკე შეუკრავთ. ეს მეორე ნაწილი თუმცა არ შეუტანიათ საგამომძიებლო საქმის-წარმოებაში. მაგრამ მაინც შეუნახავთ ცალკე საქმეში, რომელშიაც თავმოყრილია, გარდა გრიგოლ ორბელიანის ხელნაწერებისა, სხვა-და-სხვა პირთა ქალაქდები. ეს მეორე ნაწილიც აგრეთვე მოღწეულია ჩვენ დრომდე და დღეს დაცულია საქართველოს ცენტრ-არქივში (საქმე № 171).

ამ-რიგად, გრიგოლ ორბელიანის ხელნაწერები, რომელიც მას დატყვევების დროს ჩამოართვეს, ორ ნაწილად შენახულა, ორ განკერძოებულ საქმეში. ჩვენ ქვემოთ ხშირად გვექნება შემთხვევა ცალკე შევეხოთ თვითეულ ნაწილს, და ამის გამო ჩვენ მათ შემდეგს პირობით სახელებს ვუწოდებთ: პირველი ნაწილი ჩვენ ყველგან მოხსენებული გვექნება ასეთის სახელწოდებით: „**ლენინგრადის კრებული**“, რადგან ეს პირველი ნაწილი გამოძიების დასრულების შემდეგ, 1833 წელს, გადაგზავნილი იყო ლენინგრადში და ლენინგრადის არქივებში ინახებოდა. (ეხლა იგი ეკუთვნის ლენინგრადის ცენტრალურ საისტორიო არქივს, და ამ-ჟამად, — როგორც აღვნიშნეთ, — დროებითი სარგებლობისათვის არის ჩამოტანილი ტფილისში). ხოლო რაც შეეხება მეორე ნაწილს, იგი ჩვენ ყველგან აღნიშნული გვექნება სახელწოდებით: „**ტფილისის კრებული**“, რადგან იგი, გამოძიების დასრულების შემდეგ, ტფილისში დარჩა და ტფილისის არქივებში იყო დაცული. დღეს იგი, როგორც მოვიხსენეთ, საქართველოს ცენტრ-არქივში ინახება (№ 171).

ამ ორი კრებილიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს **ლენინგრადის კრებულს**, რადგან სწორედ აქ აღმოჩნდა გრიგოლ ორბელიანის 30-მდე სრულებით უცნობი ახალი ნაწარმოები, მათ შორის ისეთები, რომელთაც კავშირი აქვთ 1832 წლის შეთქმულობასთან და ახალ შუქსა ჰფენენ საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას.



რაც შეეხება **ტფილისის კრებულს**, იგი უკვე ცნობილი იყო. ამას გარდა, ტფილისის კრებულში გრიგოლ ორბელიანის ახალი ნაწარმოები ცოტა მოიპოვება, სულ ორი ლექსი და ერთი თარგმანი. ამის შემდეგ ჩვენ წარმოვადგენთ ლენინგრადის და ტფილისის კრებულების მოცულობის აღწერას.

**ლენინგრადის** კრებული შეიცავს გრიგოლ ორბელიანის სხვა-და-სხვა ხასიათის ნაწერებს. — ლექსებს, მხატვრულ პროზას, მოგზაურობას, დღიურის ნაწყვეტებს, თარგმანებს. საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს ტექსტები, რაც ლენინგრადის კრებულშია მოთავსებული, თვით გრიგოლ ორბელიანის ხელით არის ნაწერი. აქ არ არის არც ერთი ტექსტი სხვისი ხელით გადაწერილი.

სულ კრებულში არის 58 გვერდი (4037a — 4065b). კრებული არ წარმოადგენს ერთდროულად გადაწერილს რვეულს, არამედ ოთხ ნაწილად იყოფა, აქ ოთხი ხელნაწერია ერთად შეკრული.

შინაარსი ცალკე ხელნაწერებისა შემდეგია:

\*

A. პირველი ხელნაწერი, რომელიც ჩვენ ქვევით ყველგან აღნიშნული გვექნება A-ხელნაწერის სახელწოდებით, წარმოადგენს რვეულს. რომელშიაც შეტანილია ლექსები და მხატვრული პროზა. ეს ხელნაწერი, როგორც ირკვევა თარიღების თანამიმდევრობიდან, გადაწერილია სხვა-და-სხვა დროს, 1832 წლის აპრილიდან დაწყებული — ვიდრე 1833 წლის თებერვლამდე. რვეულის გადაწერა ავტორს თუმცა 1832 წელს დაუწყია, მაგრამ აქ შეუტანია უფრო ადრინდელი ნაწერებიც, 1824 წლიდან მოკიდებული.

სულ აქ მოთავსებულია შემდეგი 23 ნაწარმოები გრიგოლ ორბელიანისა.

**შენიშვნა.** ნაწარმოებთა სიაში. რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ. შემდეგი პირობითი ნიშნები გვაქვს მიღებული. სათაური ახალ ნაწარმოებთა, რომლებიც დღემდე უცნობი იყო. დაბეჭდილი გვაქვს **შავი შრიფტით**, და აღნიშნული გვაქვს ნიშნით \*. ხოლო ის ნაწარმოებნი, რომლებიც უკვე ცნობილი იყო, და მხოლოდ ვარიანტებს წარმოადგენენ. დაბეჭდილი გვაქვს ჩვეულებრივი შრიფტით.

იმ შემთხვევაში, როცა ნაწარმოები უსათაუროა, სათაურის მაგიერ მოგვყავს პირველი სიტყვები, რკალებში « » ჩასმული.

1. «როს ბულბული ვარდს შესტროფოდეს».

2. «სიყვარულსა ჯერ-არს».

\* 3. «ზღვის კიდეს დგომით».

\* 4. დ... ყორ...

5. იარალისადმი.

\* 6. აღლელორია.



- \* 7, აღსარება.
- \* 8. «მისი სახელი კიცხვითა».
- \* 9. «ზამთრისა ქარი გრიალებს».
- 10. მტირალისადმი ს...
- 11. რჩევა ან... სადმი.
- \* 12. ან... დმი.
- 13. ნ... («მნათობო, თვით შენ აღმიხსენ»).
- 14. ლხინი.
- 15. ნ... დმი («როს გხედავ მნათო»).
- 16. მასვე («ამა სოფელს დაშთომიეს»).
- 17. «ჰოი სოფელო».
- 18. «ბედნიერება დღეთა ჩვენთ».
- \* 19. ს...სა («მერცხალნი თვალნი შენნი»).
- \* 20. ე...სა («ვინცა გაგიცნობს»).
- 21. «საამო არს სახილველად».
- \* 22. სამნი მეგობარნი.
- \* 23. ნ. ე. მ.

აქ ჩამოთვლილ ნაწარმოებთა შორის: 1, 2, 3, 4, 5, 8, 10, 11, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, წარმოადგენენ ორიგინალურ ლექსებს. მე-7 მიბაძვას დეკაბრისტი რილეევის ლექსისა: „ნალივაიკოს აღსარება“. მე-14 მიბაძვას პუშკინის ლექსისა. მე-6 ნოველლას პროზით. მე-9 ლირიულ პროზას. მე-12 და 23 ეპისტოლეებს (მხატვრული პროზა წერილების სახით). მე-22 პროზაულ ნაწყვეტს, თარგმანს გერმანულით.

\*

**ბ. მ ე ო რ ე ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი** (— რომელსაც B-ხელნაწერს ვუწოდებთ) წარმოადგენს ცალკე ფურცელ ქალაღდს. აქ მოთავსებულია მხოლოდ ერთი ტექსტი, სახელდობ შავი ლექსისა: „მისი სახელი კიცხვითა“. (იხ. ზემოთ-მოყვანილ სიაში მე-8).

\*

**ც-ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი** აგრეთვე ცალკე ფურცელ ქალაღდს წარმოადგენს, ფართო ზომისა, რომელიც რამდენჯერმე გადაკეცილია. ხელნაწერი ყოველის მხრით, ყველა მისი კუთხეები, დაფარულია წვრილი ნაწერით. ეს C-ხელნაწერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აქ შენახულა, შავების სახით, მთელი რიგი გრიგოლ ორბელიანის უცნობი ლექსებისა (— მათ შორის სამი ლექსი, შეთქმულობასთან დაკავშირებული). სულ აქ მოთავსებულია შემდეგი ახალი, დღემდე უცნობი ლექსები:

- \* 1. «ჰე, ივერიავე, ვიდრე იყო ქედ-მოდრეკილი».
- \* 2. «ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის».
- \* 3. «გულნი ივერთა აქვს მსხვერპლად მზადა».
- \* 4. «შენცა მიმუხთლე, გონებაო».



- \* 5. «რა უნდა აქვდეს».
- \* 6. «დღესა ამას სიყვარულმან».
- \* 7. «სიყვარული არს თავდავიწყება».
- \* 8. «გრწამდეთ, ვის გული».
- \* 9. «ისმინე ჩემი, ჰე სიყვარულო».
- \* 10. «ნეტავც კვლავ შენი ხილვა მელირსოს».
- \* 11. «სულისა ჩემის სადგურად».
- \* 12. «ოდეს ოხვრით მაგონდების».
- \* 13. «წყალში წრე განიერდების».
- \* 14. რუსთველზე (ფრაგმენტები).
- \* 15. სხვა-და-სხვა ლექსების ესკიზები და ნაწყვეტები.

გარდა გრიგოლ ორბელიანის ამ ახალი ლექსებისა, ამავე C-ხელნაწერში მიწერილია პირვანდელი ესკიზები (რამდენიმე პატარა ნაწყვეტი) შემდეგი ცნობილი ლექსების: „სადღეგრძელო“, „გამოსალმება“, „ლამე“, „ს...ს“ («ჰე საყვარელო») და „სოფლელნი და მდინარე“ \*).

C-ხელნაწერი დაწერილია 1832 წელს ივლისიდან — ოქტომბრამდე \*\*).

\*

D-ხელნაწერი წარმოადგენს დიდი ზომის ფურცლებისაგან შემდგარ რვეულს. რვეული დაშლილია. ფურცლები, საგამომძიებლო საქმეში ჩაკერების დროს, აურევიათ. სულ ხელნაწერში არის 33 ნაწერი გვერდი.

ამ D-ხელნაწერში მოთავსებულია:

- \* 1. „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“. (შეიცავს 15 გვერდს; 4037a — 4044a).
- \* 2. ნაწყვეტები დღიურიდან (შეიცავს 18 გვერდს; 4045a — 4047b, 4060a — 4065b).

ორივე ეს ტექსტი აგრეთვე უცნობი იყო დღემდე. ამათგან განსაკუთრებით საგულისხმოა პირველი ტექსტი, «მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა», რომელიც ყველაზე უფრო ღრმა ნაწარმოებია, რომელიც ჩვენ გვაქვს შეთქმულობის ეპოქიდან.

\*) ამას გარდა, C-ხელნაწერში ჩანიშნულია პირველი ვარიანტები უცნობი ლექსებისა „ს...სა“ და „ზღვის კიდეს დგომით“, რომელთა გადათეთრებული პირი მოთავსებულია A-ხელნაწერში.

\*\*\*) თარიღი შემდეგის მიხედვით ირკვევა: ლექსები, რომლებიც C-ხელნაწერში პირვანდელი ესკიზების სახით არის ჩაწერილი, გადათეთრებულ პირებში შემდეგის თარიღებით არის აღნიშნული: „გამოსალმება“ — 15 ივლისი 1832 წ.; „ზღვის კიდეს დგომით“ — 7 აგვისტო 1832 წ.; „ლამე“ — 23 სექტემბერი 1832 წ.; „სოფლელნი და მდინარე“ — 6 ოქტომბერი 1832 წ.; „ს...სა“ — 18 ოქტომბერი 1832 წ.



გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობის“ შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი ჯერ-ჯერობით ამ მოკლე აღნუსხვით დავასრულებთ **ლენინიგრადის კრებულში** მოთავსებულ გრ. ორბელიანის ნაწერების ჩამოთვლას.

გადავდივართ ამის შემდეგ ტფილისის კრებულზე.

**ტფილისის კრებული**, — როგორც აღნიშნული გვექონდა, უკვე ცნობილია ქართულს ლიტერატურაში\*.

შინაარსის მიხედვით, ტფილისის კრებული ორ ნაწილად იყოფა. ერთ ნაწილს შეადგენს წერილები გრიგოლ ორბელიანთან, „ფარისის“ თარგმანი (რომელიც სოლომონ რაზმაძეს ეკუთვნის) და სხვადა-სხვა ქალაქდები. — მეორე ნაწილს შეადგენს თვით გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებნი, გადაწერილნი ავტორის ხელითვე.

ჩვენ აქ მხოლოდ გრიგოლ ორბელიანის ნაწერებზე შევჩერდებით.

გრიგოლ ორბელიანის ეს ნაწარმოებნი ოთხ ცალკე ხელნაწერშია მოთავსებული, რომელთაც ჩვენ შემოკლებისათვის დავარქმევთ E, F, G და H ხელნაწერებს:

E-ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი მოთავსებულია გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ (პირველი ვარიანტი).

F-ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი მოთავსებულია 10 ლექსი, რომელთა შორის 2 უცნობი იყო და 8-ცნობილია, სახელდობ:

1. გზის გუშაგის მდგომარესა.... ხმაზედ.
2. «მას უხაროდეს, ვისიცა ლხინი». (თარგმანი).

\* **3. გაზაფხული.**

4. «მარგარიტო ცრემლთა».
5. «მოწამე აშიკო მთოვარე».

\*) ამ ტფილისის კრებულის არსებობა მოხსენებული აქვს ვ. კოტეტიშვილს (იხ. ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 117). — ამას გარდა ამ კრებულიდან ზოგიერთი ტექსტები გამოსცა მ. ზანდუკელმა (იხ. „მნათობი“, 1926 წ. № 7). სამწუხაროდ, მ. ზანდუკელს მთელი რიგი მძიმე შეცდომებისა მოუვიდა. ასე, მ. ზანდუკელმა გრ. ორბელიანს მიაწერა ლექსი „ქართველი ძეგლის წინ“, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც გრ. ორბელიანთან და არც საერთოდ შეთქმულობის საქმესთან. (ეს ლექსი „ქართველი ძეგლის წინ“ მოთავსებულია სულ სხვა საქმეში, № 177, რომელიც მე-20 საუკუნეშია შედგენილი. ხოლო ლექსის ავტორია აკაკი, რომლის ხელითაც გადაწერილია თვითონ ეს ხელნაწერი ამ ლექსისა). — ამას გარდა, მ. ზანდუკელმა შეცდომით მიაწერა გრ. ორბელიანს ლექსი „დათვი და ცხვარი“, რომელიც აგრეთვე მოთავსებულია არა გრ. ორბელიანის ქალაქდებში, არამედ სულ სხვა წყებაში; ამ ლექსის „დათვი და ცხვარის“ ავტორია არა გრიგოლ ორბელიანი, არამედ სოლომონ რაზმაძე (იხ. АКТЫ, ტ. VIII, გვ. 417).

ჯეჯელა ამ საკითხებს უფრო დაწვრილებით ვეხებით ქვემოთ. ცალკე.



6. ვირი და ბულბული. (თარგმანი).
7. სოფლელნი და მდინარე. (თარგმანი).
8. მირზაჯანის ეპიტაფია.
- \* 9. ალბომში («როს გარდაშლიდე»).
10. ნადირთა ჭირი. (თარგმანი).

G-ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი მოთავსებულია თარგმანი ცშეოკის მოთხრობისა. (უსათაურო. შეიცავს 22 გვერდს დიდი ფორმატისა, in 4<sup>o</sup>). ეს თარგმანი დღემდე უცნობი იყო.

H-ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი — მოთავსებულია გრ. ორბელიანის დღიურის ნაწილი.

ამ უკანასკნელი ტექსტის, დღიურის შესახებ, აქ საჭიროა შემდეგი აღვნიშნოთ. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ გრ. ორბელიანის ნაწერები საგამომცემლო კომისიამ ორ ნაწილად გაჰყო. „საექვოდ“ და „არა-საექვოდ“. კერძოდ დღიურის შესახებაც ასე მოქცეულან, ისიც ორად გაუნაწილებიათ. დღიურის ის ფურცლები, რაც „საექვოდ“ იყო მიჩნეული, ჩააკერეს გამოძიების საქმეში, ე. ი. დაცულია ლენინგრადის კრებულში. ხოლო მეორე, „არა-საექვოდ“ ნაწილი მოთავსებულია ამ ტფილისის კრებულში. ამ-რიგად ეს ნაწყვეტი დღიურისა, რომელსაც ჩვენ ტფილისის კრებულში ვპოულობთ, ნაწილია იმავე დღიურისა, რომელიც ჩვენ ლენინგრადის კრებულის აღწერის დროს მოვიხსენეთ.

ჩვენ ამით დავასრულებთ ხელნაწერთა ამ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას.

მნიშვნელობა ამ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერებისა განსაკუთრებით დიდია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის. ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, აქ მოთავსებულია 30-მდე ახალი ნაწარმოები გრ. ორბელიანისა, რაც ჩვენი პროექტის ლიტერატურული მემკვიდრეობის მესამედს შეადგენს.—ამას გარდა, ამ ხელნაწერებში ჩვენ გვაქვს 20-მდე წინად ცნობილი ნაწარმოებას ვარიანტი, თვით პროექტის ხელით გადაწერილი, ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვანის სხვაობით, რომ ეს სრულებით სცვლის ნაწარმოების წინად არსებულ გაგებას. (აღვნიშნავთ ამასთანავე, რომ ამ ვარიანტების მიხედვით თავიდან ბოლომდე იცვლება ჩვენი წარმოდგენა გრ. ორბელიანის ნაწერების ქრონოლოგიაზე; ირკვევა აგრეთვე ზოგიერთი სადაო ლექსის საკითხიც: ირკვევა ამასთან ზოგიერთი ლირიული ლექსის წარმოშობის კითხვაც).

მაგრამ მთავარი ეს არ არის. ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების მნიშვნელობა არ ამოიწურება მარტო ამ ბიბლიოგრაფიული და ტექსტუალური ინტერესით. აქ განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ ამ



ახალი მასალების ფონზე გრ. ორბელიანის მთელი შემოქმედება სრულებით ახალს გაშუქებას ღებულობს. ჩვენ გვიხდება გადავაფასოთ ჩვენი წარმოდგენა როგორც გრ. ორბელიანზე, ისე მთელს გარკვეულს ლიტერატურულ პერიოდზე. —

ამიტომაც ჩვენ წარმოვადგენთ აქ ზოგიერთ აუცილებელ განმარტებას გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილ ნაწარმოებთა შესახებ და მასთან დაკავშირებით განვიხილავთ ცალკე ეპიზოდებს გრ. ორბელიანის შემოქმედების გარემოდან.

პირველ რიგში შევჩერდებით გრ. ორბელიანის იმ ნაწერებზე, სადაც გამოიხატა 1832 წლის შეთქმულობის ეპოქის იდეები.

## II

### 1832 წლის შეთქმულობა და გრ. ორბელიანის პოეზია

1832 წლის შეთქმულობაში მონაწილეობას იღებდა მთელი პლეადა ქართველი მწერლებისა. ნიკოლოზ I-ის მთავრობამ, შეთქმულობაში მონაწილეობისათვის, საბრალმდებლო სკამზე დასვა, გრიგოლ ორბელიანთან ერთად, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაჭმაძე, და სხვები. მაგრამ გიორგი ერისთავი და ვახტანგ ორბელიანი ამ დროს ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზდანი იყვნენ (გიორგი ერისთავი 17 წლისა, როცა პირველად დაუახლოვდა შეთქმულთ, ხოლო გასამართლების დროს 21-ს წლის. ხოლო ვახტანგ ორბელიანი ერთის წლით მასზე უმცროსიც იყო). რაც შეეხება ალექსანდრე ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილსა და სოლომონ რაჭმაძეს. რომელთაც ეკუთვნოდათ მთავარი იდეოლოგიური და საორგანიზაციო ხელმძღვანელობა შეთქმულობაში, ესენი, განსაკუთრებით ალ. ორბელიანი, უფრო პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ, ვიდრე მწერლები. — ალექსანდრე ჭავჭავაძეს როლი შეთქმულობაში გამოურკვეველია, და უფრო ისე სჩანს, რომ იგი არ იყო დიდი ენთუზიასტი შეთქმულობისა, ყოველ შემთხვევაში მის პოეზიაში ამან არ დასტოვა რაიმე თვალსაჩინო კვალი. ერთად-ერთი მწერალი, რომლის შემოქმედებაში ყველაზე ინტეგრალური გამოსახულება ჰპოვა 1832 წლის შეთქმულობის ეპოქამ, ეს გრიგოლ ორბელიანია.

1832 წლის შეთქმულობის იდეებით არის შთაგონებული გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ლექსები: „აღსარება“; „მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს“; „ჰე, ივერიავე, ვიდრე იყო ქედმოდრეკილი“; „ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის“; „გულნი ივერთა აქვს მსხვერპლად მზადა“ (ოდა



თავისუფლებას). შეთქმულობის ეპოქის სულისკვეთებას გადმოგვცემს გრ. ორბელიანის მგზავრის წერილები („მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“). შეთქმულობის იდეებთან არის დაკავშირებული აგრეთვე, როგორც ეხლა ირკვევა, პოემა „სადღეგრძელო“ (პირველი ტექსტი, რომელიც სულ სხვა დროს არის დაწერილი, ვიდრე დღემდე ჰფიქრობდენ), და „იარაღისადმი“.

\*

### 1. „მგზავრობა“.

ორიენტაციის საკითხი 1832 წლის შეთქმულობაში. —  
დიალოგი გრ. ორბელიანისა და ივანე აფხაზისა. —

აქ პირველ რიგში აღსანიშნავია გრ. ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“.

წინასწარ, ზოგიერთი განმარტება ამ ნაწარმოების წარმოშობისა და თარიღის შესახებ.

გრიგოლ ორბელიანი უკვე შეთქმულობაში განდობილი იყო და შეთქმულთა ორგანიზაციის წევრად ითვლებოდა, როდესაც იგი 1831 წელს. ივნისში, გაემგზავრა რუსეთს. მგზავრობის დროს, და აგრეთვე რუსეთში ყოფნისას, ვიდრე დაატყვევებდენ, ე. ი. წლი-ნახევრის განმავლობაში, გრიგოლ ორბელიანი აწარმოებდა დღიურს. რუსეთში ჩასვლის შემდეგ, გრ. ორბელიანს ერთი ნაწილი ამ დღიურისა ლიტერატურულად დაუმუშავებია, სახელდობის ნაწილი, სადაც აწერილი იყო მგზავრობა საქართველოდან ჩრდილო კავკასიამდე (1831 წლის 9 ივნისიდან — 7 აგვისტომდე). — ეს ნაწილი დღიურისა, დამუშავების შემდეგ, ავტორს გადაუწერია თეთრად. (იხ. ტექსტი ამ გადათეთრებულ პირისა შეთქმულობის საქმეში, ტ. XXI, გვ. 4037a—4044a). ავტორს, გადათეთრების შემდეგაც, ერთხელ კიდევ გადაუშინჯავს ეს ტექსტი სტილისტიურის თვალსაზრისით და დამატებით შეუტანია მასში ზოგიერთი სტილისტიური შესწორება\*).

ამ-რიგად, ეს ტექსტი „მგზავრობისა“ წარმოადგენს არა უბრალოდ დღიურს, არამედ წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელსაც საფუძვლად პოეტის დღიური დაედო. „მგზავრობას“ შენარჩუნებული აქვს დღიურის თხრობის ხასიათი, რაც მას განსაკუთრებით ინტიმურ იერს აძლევს.

სინქრონიზმების მიხედვით ირკვევა, რომ გრიგოლ ორბელიანს „მგზავრობის“ ტექსტის ეს ლიტერატურული დამუშავება დაუს-

\*) ავტორი, სჩანს, იმდენად დიდ ყურადღებას აქცევდა ამ ნაწარმოების სტილს, რომ მას, თეთრად გადაწერის შემდეგ შეუსწორებია ზოგი სრულიად უმნიშვნელო გამოთქმებიც-კი, ამა-თუ-იმ სტილისტიური ნიუანსის მისაცემად.



რულებია პეტერბურგში ყოფნის დროს, 1831 წლის ბოლოს \*).

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულს მწერლობაში. გარდა წმინდა-ლიტერატურული ღირსებებისა, ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს როგორც პირველხარისხიანი დოკუმენტი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. „მგზავრობა“ უახლოესად გვაგრძნობინებს ეპოქის გარემოს, კერძოდ სულისკვეთებას იმ წრისა, სადაც მომზადდა 1832 წლის შეთქმულობა.

ამ ნაწარმოების შესახებ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი როცა გამოვაქვეყნებთ მთელს ტექსტს. აქ-კი ზოგიერთ ხაზებზე შევჩერდებით.

ამ ნაწარმოებიდან, სხვათა შორის, ჩვენ ვგებულობთ, რომ ქართულ მოწინავე საზოგადოებაში ორნაირი მიმართულება არსებობდა საქართველოს საკითხის გარშემო.

ერთი, უფრო ზომიერი წრე, თუმცა საბოლოო მიზნად სთვლიდა საქართველოს განთავისუფლებას თვითმპყრობელური რუსეთიდან, მაგრამ ეს შორეული მომავლის საქმედ მიაჩნდათ. ეს წრე, რომელთაც „ზომიერთა“ სახელი შეეფერება, ჰფიქრობდა, რომ საქართველო, არსებულ პირობებში, თუნდაც რუსეთმა დასტოვოს საქართველო, ვერ შესძლებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და გახდება მსხვერპლი ოსმალთა და სპარსთა შემოსევისა. ამას გარდა, ზომიერთა შეხედულებით, საქართველო ჯერ არ იყო კულტურულად და საზოგადოებრივად იმდენად მომზადებული, და ეკონომიურად იმდენად მოღონიერებული, რომ შესაძლო ყოფილიყო სახელმწიფო მშენებლობის შეუფერხებელი წარმოება. ზომიერნი იმ აზრს იცავდნენ, რომ საქართველომ ჯერ უნდა გაიმრთელოს ის ჭრილობანი, რაც

---

\*) თარიღის შესახებ იხ. ქვემოთ, ცალკე.

„მგზავრობის“ შესახებ აქ აღსანიშნავია აგრეთვე მეორე საკითხი. „მგზავრობის“ მოთხრობა, როგორც მოვიხსენეთ, იწყება ტფილისიდან და მოყვანილია ჩრდილო-კავკასიამდე. და აქ იბადება კითხვა, ხომ არ ჰქონდა ავტორს განზრახული ლიტერატურულად დაემუშავებია დღიურის მეორე ნაწილიც და მგზავრობა ჩრდილო-კავკასიიდან — პეტერბურგამდის მიეყვანა. ყველა ნიშნებით, ავტორს თავდაპირველად თითქოს ჰქონია ასეთი განზრახვა, რასაც გვიჩვენებს თვით ნაწარმოების სათაური: „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“. მაგრამ შემდეგ ავტორს ამ განზრახვისათვის თავი დაუნებებია და წერტილი ჩრდილო-კავკასიაზე დაუსვამს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: „მგზავრობის“ ეს ნაწილი (ტფილისიდან — ჩრდილო-კავკასიამდე) ავტორს ლიტერატურულად დაემუშავებია 1831 წლის ბოლოს; ამის შემდეგ გრ. ორბელიანმა რუსეთში დაჰყო წელიწადზე მეტი და ამ ხნის განმავლობაში დღიურის მეორე ნაწილის ლიტერატურული დამუშავებისათვის მას ხელი აღარ მიუყვია.



მას წარსულმა საუკუნეებმა მიაყენა, გაძლიერდეს ეკონომიურად, წინ წაიწიოს კულტურის მხრით, და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების რეალურად განხორციელება.

მეორე წრე, „შეურიგებელნი“, მდგომარეობას სწვა-რიგად აფასებდნენ. ეს მეორე წრე ჰფიქრობდა, რომ პოლიტიკური მდგომარეობა აზიის მეზობელი სახელმწიფოებისა ეხლა სხვანაირია, ვიდრე იყო მე-18 საუკუნეში. რომ სპარსეთი და ოსმალეთი უკვე კარგად ჰგრძნობენ, თუ რა დიდი შეცდომა დაუშვეს მათ, როცა — თავისი აგრესიული პოლიტიკით — აიძულეს საქართველო აეღო რუსეთის ორიენტაცია, და ამით საშუალება მისცეს რუსეთს დამკვიდრებულიყო ამიერ-კავკასიაში, სპარსეთისა და ოსმალეთის მეზობლად. ახლო აღმოსავლეთის მყუდროებისათვის დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა აუცილებელიაო, ამბობდნენ შეურიგებელნი; საქართველოს დამოუკიდებლობას არ შეუშლიან ხელს არც სპარსეთი. არც ოსმალეთი. და საკუთარი ინტერესების გამო აღარ აიძულებენ საქართველოს ხელახლა ეძიოს მფარველობა ევროპის რომელიმე სახელმწიფოსი. რაც შეეხება საქართველოს შინაგან მდგომარეობას, — შეურიგებელნი აგრეთვე აღიარებდნენ, რომ საქართველო ჩამორჩენილია კულტურულად, საზოგადოებრივად, ეკონომიურად. მაგრამ ჰფიქრობდნენ, რომ საქართველოს განვითარება უფრო სწრაფი ტემპით წავა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს, ვიდრე თვითმპყრობელ რუსეთის ხელში.

ეს ორნაირი მიმართულება. რომელიც ქართულ საზოგადოებრივ წრეებში არსებობდა, გრიგოლ ორბელიანს ცხოვლად აქვს გადმოცემული თავისი „მგზავრობის“ ერთს ადგილას, დიალოგის სახით, რომელიც გაიმართა პოეტსა და ივანე აფხაზს შორის. ეს დიალოგი ბევრნაირად გვაგონებს ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“, რომელიც ბარათაშვილმა 8 წლით უფრო გვიან დასწერა, 1839 წ. \*);

\*) აღვნიშნავთ აქვე, რომ ბარათაშვილის პოემა თუმცა უფრო გვიან არის დაწერილი, 1839 წელს, მაგრამ ბარათაშვილი არ იცნობდა გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს. გრიგოლ ორბელიანი გაემგზავრა რუსეთში 1831 წელს, როცა ნ. ბარათაშვილი ჯერ კიდევ 12 წლის ყმაწვილი იყო (ბარათაშვილი 1819 წელს დაიბადა, და არა 1816 წელს, როგორც ამას დღემდე ჰფიქრობდნენ); თვით ეს „მგზავრობაც“ რუსეთშია დაწერილი, 1831 წელს, და მისი ერთად-ერთი ხელნაწერი ჟანდარმერიამ ჩამოართვა გრიგოლ ორბელიანს 1833 წლის დასაწყისში. ასე რომ ნ. ბარათაშვილს არ ჰქონდა შემთხვევა გასცნობოდა გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს. — მაგრამ, დამოუკიდებლად ამისგან, იდეების ის რკალი, რაც მოცემულია პოემაში „ბედი ქართლისა“, უშუალოდ ენათესავება შეთქმულთა წრეების იდეებს.



აქ უნებლიეთ წარმოგვიდგება პოემის ის ადგილი, როცა ერეკლე მეფე და სოლომონ მსაჯული „ქართლისა ბედსა განსამართლებენ“. ერეკლე მეფის პოლიტიკის დამცველად აქ ივანე აფხაზი გამოდის, ხოლო შეურთებელთა იდეების წარმომადგენელია თვით პოეტი გრიგოლ ორბელიანი, ამ დროს უკვე შეთქმულობის წევრი.

მოგვყავს აქ „მგზავრობიდან“ ეს ერთი დიალოგი:

\*

„პ-სა აგვისტოს. — მოვიდა ღენერალი კნიაზ ივან ნიკოლაიჩი აფხაზი, დანიშნული ღრაფ პასკევიჩთან არმიაში პირისპირ პოლშელთა. ფრიად გვიამა ურთიერთისა ხილვა. შემდგომად სხვა და სხვათა უბნობათა პოლშის ბრძოლისათვის, ვიწყეთ საქართველოზე. — ახ. ვითარ ძლიერად და მართლიად აღსწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოსა, რომელიცა უყვარს ვითარცა ჭეშმარიტსა ძესა მამულისასა. ვითარ მწუხარებითა უბნობდა ქართველებზე, რომელთა აღხოცეს თვის შორის კეთილშობილური სიამაყე და სიყვარული მამულისადმი და არიან მონებასა ქვეშე, დამდაბლებულნი სულითა.

უ ბ ნ ო ბ ა ჩ ვ ე ნ ი.

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევებად საქართველოსა, რომელიცა მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწესოებისა, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა-დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან.

გ რ. ო რ ბ. — საქართველო, შემდგომად რუსთა დატევებისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა. ოც-და-ათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, ვგონებ არცა დაჰკლებოდეს. —

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — არა ძალუძს: ამისთვის, რომელ პოლიტიკებრი მდგომარეობა მესამზღვრეთა სახელმწიფოთა აზიასა შინა ფრიად შეიცვალა. ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალის ესრეთი გაწყობილი ჯარი და ესრეთი თოფხანა. საქართველო, იქმნების რა დატევებულ რუსთაგან, ვითარ წინააღუდგების მათ. ერეკლე იყო ჭკვიანი და მხნე მეფე: ხედვიდენ მის მხნეობას მაგალითად თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა უყვარდათ მამული, სარწმუნოება, მეფე, და იბრძოდნენ ვითარცა ლომნი, — მაშინ, ოდესცა ყიზილბაშთა, ბუნებითად მხდალთა, არა ჰქონდათ არცა წესი ჯარში და არცა მხნეობა სპასალართა; მაშინ, ვამბობ, ქართველთა შეეძლოთ ბრძოლა პირისპირ მათთა. — ხო-



ლო აწ გამოიცვალა დრო და შეიცვალნენ იგინიცა, გააწყეს მათ რელული \*) და ჩვენ ვეღარ ძალ-გვიძს, რომ გაწყობილს ჯარს ვებრძოლოთ ისევ იმ ღონისძიებით, ვითარცა იბრძოდნენ მეფეების დროსა. რელულსა უნდა ვებრძოლოთ რელულითვე. ნუ გგონია, რომ ჩვენის გლეხების თოფი იყოს სახმარ მშში. რომელსაცა სამჯერ ვერ ისვრის საათში, მაშინ ოდესცა მინუტში უნდა ოთხჯერ მაინც ესროლოს ... ერთის სიტყვით, საქართველო ურელულოდ ვერცა ერთსა თვესა გაუძლებს მტერთა. — და გარდა ამისა, ოცდაათმან წელიწადმან ფრიად შექსცვალა ერი. არღა მდგომარეობს ჩვენ შორის იგი მხნეობის სული. რომლითაცა იქებოდნენ უწინ.

გ რ. ო რ ბ. — რელულის გაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში, ამიტომ რომ, იქმნებიან რა თვით დამცველნი თვისისა საზღვრისანი, თვალთ დაინახვენ რელულის სარგებლობასა; თვით მეფე ერეკლემაც იცოდა უმჯობესობა რელულისა და გააჩინა მორიგის ჯარი და მაშინ არცა ერთი ტყვე არ დაკარგულა. — ამას ადვილად მოახდენენ მაშინ იგინი, ვინცა დარჩებიან ერის მმართველად. და ვაჟკაცობაში ქართველნი ნაქებნი არიან და უყვარსთ მამულიცა; ესე დამტკიცდების მით, რომე საქართველო, ესრეთი მცირედი სამეფო, ვერ დაიცავდა ვერცა სამზღვარსა თვისსა და ენასა და ვერცა სარწმუნოებასა. თუ არ განსხვავებულითა ვაჟკაცობითა და სიყვარულითა მეფეთა და მამულისადმი. — ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არარაისაგან; ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისადმი. — გარდა ამისა, აწ თვით ყიზილბაში და ოსმალოცა ხედვენ შეცდომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწრებულმან, დაუმეზობლა ესდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი, და არღა მოინდომებენ, რომელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა. ყიზილბაშნი ჰსწყევდენ ალა-მაჰმად-ხანს ტფილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზი რუსების გადმოსვლისა.

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — მართალ არს, რომელ ქართველნი არიან მხნენი; გარნა რელულის გაწყობა აგრე ადვილი ნუ გგონია. ამიტომ რომ, რელულის დაწყობის დროს, ჯერ-არს პირველად შევიდნენ სამსახურში სალდათად, სამაგალითოდ სხვათათვის. პირ-

\*) „რელული“ — რეგულიარული ჯარი. (პ. ი.).



ველნი თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა აქვსთ პატივი და ხმა მემამულეთა შორის თვისთა; ჯერ-არს მათდა, რათა შეჰსწირონ მსხვერპლად სიმდიდრე და თვით სიცოცხლეცა, ვისაც ვითარ ძალ-უძს, საზოგადოობისა ბედნიერებისათვის, და არა მიხედოს საკუთარსა თვისსა სარგებლობასა. ამით ოდენ ჩაიყრება მტკიცედ საფუძველი რელიულისა. — აბა, ჩემო გრიგოლ! დამისახელე გინა ერთი კაცი, რომელმანცა დასდევას ნაწილი სიმდიდრისა თვისისა საზოგადოობისა სარგებლობისათვის. ესრეთი მსხვერპლი არს სათნოება, რომელსაცა ჰგრძნობს მხოლოდ გონებითა და გულითა განათლებული კაცი. უმეცარი და უსწავლელი ვერა მიხვდების ამა ამალღებულსა გრძნობასა. რომელსაცა აწარმოებს მხოლოდ სიყვარული მამულისადმი. — თქვენ, ახალგაზდანო! თქვენ უნდა ეცადენთ ყოველის ღონისძიებებით მამულისათვის. პირველად უნდა ისწავლოთ. გონება განინათლოთ. და მაშინ დაინახავთ და გამართავთ ნაკლულოვანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ აღარა მეშინის. ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება, იგრძნობს ყოველსა საჭიროებასა. და ყოველი კეთილი. ახალი სასარგებლო დაწყებულება ადვილად აღსრულდების; ახლა ვინ იკისრებს, ან ვინ გაუგონებს. — აწინდელ ჩვენი საზოგადოება არს მკვდარ მამულისათვის. ჰსცხოვრებენ უსაგანოდ. დაეხეტებიან უგზოდ. ვითარცა ბნელსა ღამესა შინა: ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის. რომლისა მისაღებელად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედვლენან. ანგაარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი. რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება. — გარნა ნუ გგონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა.

გ რ. ო რ ბ. — ამა ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღხოცენ იგინი. ვინცა იქმნებიან. შემდგომად რუსთა დატევებისა, ერის მმართველნი. უკეთუ იქმნებიან გონებიან და შორსმხედველ. ძალა იქმნების მათ ხელში. აღაშენებენ და გააწყობენ სასწავლებელთა; სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქმნებიან პირველნი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა, და შემდგომად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უეჭველად



აღმოცენდების, მით უფრო უმეტეს, რომელ ქართველთა აქვსთ  
ბუნებითი გონება.

ი. აფხაზი. — ეგე ყოველი შესაძლო არს, გარნა ჯარისა და სას-  
წავლებელთა შენახვისათვის საჭირო არს ხაზინა; საქართველო  
არს ღარიბი სამეფო, და სხვა რომელი სახელმწიფო გვენდობა  
ჩვენ ვალად. — გარდა ამისა, საქართველო არს დაგლეჯილი  
ნაწილ-ნაწილად. ალექსანდრე მეფის შემდეგ, რომელმანცა  
ვანუსჯელად განჰყო საქართველო, — ქართლი, კახეთი, იმერე-  
თი, საათაბაგო, გურია, აბხაზეთი, — მის დროთ აქამომდე  
იყვნენ ურთიერთის მტერნი და სისხლი ინთხეოდა მოუწყვე-  
ტელ. აწ ძლივს შეერთდნენ და ამიერითგან უნდა შეერთხორც-  
დნენ და შეადგინონ ერთი მრთელი: წებოთი მიკრული არ დად-  
გების დიდ ხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადულებს მას.  
ჩვენი მზე არის დრო; დრომან უნდა განგვანათლოს, გვასწავოს  
ურთიერთთა და მამულის შეყვარება და შეგვაერთოს ერთითა  
გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქარ-  
თველოისანი; მაშინ იქნების, თუმცა არა ფრიად ძლიერ, ვი-  
თარცა სხვანი სახელმწიფონი, — გარნა შემძლებელ დაცვად თვი-  
სისა სამზღვრისა. გარე-შემოზღუდულ არს რა საქართველო  
მტერთაგან, ჯერ-არს რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამუ-  
ლის სიყვარულითა და თვითოეულმან აღირჩიოს გზა ლეონი-  
დისა... კვალად ვამბობ, რომ დრომ უნდა აღადგინოს საქარ-  
თველო“.

\*

გრიგოლ ორბელიანი თუმცა შეთქმულობის წევრი იყო, მაგრამ  
მას, როგორც სჩანს, არ მიაჩნდა მთლად უსაბუთოდ ივანე აფხაზის  
აზრები. პოეტის ოდნავი დაეჭვება თავის პოზიციაში უნებლიეთ მოს-  
ჩანს ამ დიალოგის შესავალიდან. და აგრეთვე იმის მიხედვითაც, რომ  
იგი საჭიროდ სთვლის ასე დაწვრილებით გადმოგვცეს ივანე აფხაზის  
ნაუბარი.

მიუხედავად ამ დაეჭვებისა, რომელსაც პოეტი. ცხადია, ზოგჯერ  
განიცდიდა, გრიგოლ ორბელიანი მაინც გარკვევით მიმხრობია შეუ-  
რიგებელთა ბანაკს. გრიგოლ ორბელიანი დიდი ენტუზიასტია შეური-  
გებელთა მიერ დაწყებული შეთქმულობისა. ეს სჩანს როგორც სხვა  
ნაწერებიდან გრიგოლ ორბელიანისა, ისე თვით ამ „მგზავრობის“  
მთელი რიგი სხვა ადგილების მიხედვით \*).

\*) ეველა ასეთი ადგილების აღნიშნვა აქ ჩვენ შორს წაგვიყვანდა. — აქ მო-  
ვიხსენებთ მხოლოდ ერთს, მეტად საგულისხმო ფაქტს: გრიგოლ ორბელიანი ამ



ჩვენ ჯერჯერობით ამით დავასრულებთ საუბარს გრ. ორბელიანის „მგზავრობის“ შესახებ და უფრო დაწვრილებით განხილვას იმ დროისათვის გადავდებთ, როცა გამოვაქვეყნებთ მთელ ტექსტს \*).

აქ კი საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ორბელიანის ეს „მგზავრობა“ სრულიად უცნობს ფურცელს გვიშლის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. დღემდე ჩვენს მწერლობაში ის აზრი იყო მიღებული, რომ ქართული ეროვნული რადიკალიზმის პირველი იდეოლოგიური ასახვა ქართულს ლიტერატურაში ჩვენ გვაქვს ბარათაშვილის პოემის სახით „ბედი ქართლისა“; ხოლო უფრო ფართე გაგებით ეროვნული რადიკალიზმის ისტორიას ჩვენ ვიწყებდით სამოციანი წლებიდან და მის მამათმთავრად ილია ჭავჭავაძე მიგვაჩნდა. თავისი „მგზავრის წერილებით“ (1861 წ.). — ნამდვილად კი, ის იდეები, რაც „მგზავრის წერილებშია“ მოცემული, ოც-და-

მოგზავრობის დროს, როგორც ირკვევა, სამხედრო მისიასაც ასრულებდა შეთქმულთა დავალებით. მართლაც, «მგზავრობაში» უნებლიეთ იქცევა ყურადღებას შემდეგი. გრ. ორბელიანი ყველა იმ პუნქტების შესახებ, რომელიც მან საქართველოში და საქართველოს მეზობლად მდებარე ჩრდილო-კავკასიის რაიონებში დაათვალიერა. ყველგან, გა მო უ კ ლ ე ბ ლ ი ვ, დაწვრილებით აღნიშნავს, თუ სად რამდენი რეგულიარული ჯარი არის დაბანაკებული და სად რა ხასიათის იარაღი აქვს ამ ჯარს. — (ამას გარდა გრ. ორბელიანი დაწვრილებით ჩერდება დარიალის ხეობის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე).

ჩვენ ჯერ ეჭვი დაგვებადა, ხომ არ არის ეს შემთხვევითი მოვლენა, იქნებ გრ. ორბელიანი ყოველგვარი წინა-განზრახვის გარეშე, უბრალოდ აგვიწერს ჯარის ამ ამბებს? მაგრამ არა. ამ დაეჭვების შემდეგ ჩვენ ხელახლა გადავათვალიერეთ როგორც ეს „მგზავრობა“, ისე გრიგოლ ორბელიანის მთელი დღიური ტფილისიდან ვიდრე პეტერბურგამდე და ნოვგოროდამდე. აქ შემდეგი გამოირკვა. გრ. ორბელიანი ცნობების ჩაწერას ჯარის დისლოკაციის შესახებ აწარმოებს მხოლოდ საქართველოდან — ჩ რ დ ი ლ ო - კ ა ვ კ ა ს ი ა მ დ ე; ხოლო ამის მერმე, მთელი შემდეგი შორი გზის მანძილზე, ხანგრძლივი მოგზავრობის დროს (— გრ. ორბელიანი ცხენებით მიდიოდა: მოვაგონებთ მკითხველს, რომ რკინის-გზა ამ დროს არ იყო) — მთელი ამ შორი გზის მანძილზე, დაწყებული ჩრდილო-კავკასიიდან ვიდრე პეტერბურგამდე, აღარ აღნიშნავს ჯარის შესახებ ასეთ ცნობებს. გრ. ორბელიანს გარკვევით აინტერესებს ჯარის დისლოკაცია სწორედ საქართველოს სამხედრო გზაზე, და ჩრდილო-კავკასიის იმ რაიონებში, რომელთაც უშუალო მნიშვნელობა ექნებოდათ აჯანყების დაწყების დროს.

ყველა ამ ცნობებს ჯარის დისლოკაციის შესახებ გრ. ორბელიანი სჩანს აწვდიდა ტფილისში. შეთქმულთა მთავარ კომიტეტს. სანდო პირთა საშუალებით. რომლებთანაც შეხვედრა რამდენჯერმე აქვს მოხსენებული გრ. ორბელიანს თავის „მგზავრობაში“.

\*) „მგზავრობის“ სრული ტექსტი, სხვა ახლად აღმოჩენილ ნაწერებთან ერთად, შევა გრ. ორბელიანის ნაწერების აკადემიური გამოცემის სერიაში, რომელიც დაწყებული აქვს გამომცემლობას „ქართული წიგნი“.



ათი წლით ადრე. გაშლილი ჰქონია გრ. ორბელიანს, ზოგს ხაზებში შესაძლოა მეტის სისრულით. ვიდრე თვით ილია ჭავჭავაძეს.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ გრ. ორბელიანის ეს „მგზავრობა“ ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით, არამედ წმინდა მხატვრულის მხრითაც. „მგზავრობის“ სახით ჩვენ გვაქვს დიდი ღირსების მხატვრული პროზა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისა. —

სხვათა შორის, არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აქ ისიც, რომ მგზავრობა პირველი ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში, სადაც გაცოცხლებულია კავკასიონის მთების ბუნება. ამ მხრით გრ. ორბელიანი პირველი წინამორბედეა პოეტის ვაჟა-ფშაველასი.

\*

## 2. დღიური

გრიგოლ ორბელიანის რესპუბლიკანური სიმპატიები. —

გადავდივართ ამის შემდეგ გრ. ორბელიანის დღიურზე.

ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, რომ გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ მისი დღიურიდან წარმოიშვა, რომ პოეტმა „მგზავრობის“ სახით ლიტერატურულ ფორმაში ჩამოაყალიბა დღიურის პირველი ნაწილი.

რაც შეეხება დღიურის დანარჩენ ნაწილებს, იგი დაცულია პირვანდელი შენიშვნების სახით; მის ლიტერატურულ დამუშავებას პოეტი აღარ შესდგომია. დღიურის ხელნაწერში შენიშვნები ჩვეულებრივ სახელდახელოდ არის ჩანიშნული, ფანქრით, რომელიც ავტორს შემდეგ მელნით გაუცხოველებია, რომ არ გადასულიყო. მოკლედ, ჩვენ აქ ჩვეულებრივი დღიური გვაქვს (ზოგჯერ დაუმთავრებელის ადგილებით), და იგი უკვე აღარ ეკუთვნის წმინდა ლიტერატურას, არამედ ლიტერატურული საბუთების დარგს.

მაინც, როგორც უშუალო დოკუმენტი, ეს დღიური საინტერესო მასალას წარმოადგენს პოეტის ბიოგრაფიისათვის.

და აქ საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ ამ დღიურის ერთი ადგილის მიხედვით ირკვევა გრიგოლ ორბელიანის რესპუბლიკანური სიმპატიები.

1831 წელს, ოქტომბრის ბოლოს, გრ. ორბელიანი პირველად ჩავიდა ნოვგოროდს. აქ მას შეაქვს დღიურში შემდეგი შენიშვნა:

„ნოვგოროდს გაველ მდინარესა მცირეს ვოლხოვს. რომელზედაც არის გადებული დიახ კარგი ხიდი თუჯის პერილით. — დაღამდა რა შეველ ქალაქში. და ველარ მოვითხოვე კვარტირა, ამისთვის დავდეგ იტალიანის ტრახტირში.“



ფიქრმა ნოვლოროდისათვის არ დამაძინა დიდს ხანს. — გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკანური უწინდელი ამათი მმართველობა, სიმდიდრე, ვაჭრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა, ვეჩევოის ზარი (ანუ ბუკი), რომლითაც შეიკრიბებოდა ხალხი მძიმის საქმის გადასაწყვეტლად, ნოვლოროდის რაყიფობა მოსკოვის მეფეებთან, და შემდგომად დამხობა მისი მრისხანე იოანეს მეფის მიერ.

ვიდრე იყო რესპუბლიკა, ნოვლოროდი ყვავილოვნობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა და იყო სხვათა რუსებზე უმეტეს განათლებულცა და თვით თათართ მონებასაცა გადურჩა; გარნა აწ აღარც აჩრდილი ჰსჩანს უწინდელისა მის შემძლებლობისა. — რკინის ხელმან შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება მისი.“ \*)

დღიურის ამ შენიშვნას გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობის ვასაცნობად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ აქ არ არის არავითარი „ლიტერატურული შეფერადება“, არამედ სრულის უშუალოებით გადმოგვცემს ავტორის ნაფიქრს. ავტორი ამას დღიურში სწერს, თავისთვის, და არა ფართო წრისათვის, ამიტომაც აქ მის გულწრფელობაში ოდნავი ეჭვის შეტანაც არ შეიძლება. ავტორს ეს შენიშვნა სახელდახელოდ ჩაუწერია დღიურში, ფანქრით, იმ უძილო ღამეში, რომელზედაც იგი თვით მოგვითხრობს \*).

რასაკვირველია, დღიურის ამ მოკლე შენიშვნის მიხედვით ძნელია იმის თქმა, თუ სადამდე მიდიოდა გრიგოლ ორბელიანის რესპუბლიკანელობა. იყო თუ არა იგი სავსებით გამორკვეული რესპუბლიკანელი. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მისი სიმპატიები რესპუბლიკანური წყობილებისადმი — აქედანაც ცხადია.

საერთოდ ირკვევა, რომ პოლიტიკური წყობილების ფორმის გამო, შეთქმულთა წრეებში რამდენიმე მიმართულება არსებობდა. ერთი ნაწილი, რომელთა აზრსაც გამოჰხატავდა ფილადელფოს კიკნაძე (იხ. მისი თხზულება „სწავლავი მამულის ერთგულებისათვის“, რომელიც შეთქმულთა საქმეშია დაცული, ტ. V, გვ. 747 — 756), „განათლებული“ მონარქიის, ე. ი. კონსტიტუციურ-მონარქიულ წყობილების მომხრე ყოფილა, — ხოლო მეორე ნაწილი, სჩანს, რესპუბლიკანური იდეებისაკენ იხრებოდა. კერძოდ გრიგოლ ორბელიანის სიმპატიები, როგორც ირკვევა, ამ მეორე, რადიკალური ჯგუფისაკენ ყოფილა.

\*) იხ. შეთქმულობის საქმე, ლენინგრადის კრებული, ტ. 21, გვ. 4046a.

\*) მხოლოდ შემდეგ, უფრო გვიან, როცა ავტორმა დღიური რიგში მოიყვანა, ყველა ფანქრით ნაწერი, და მათ შორის ეს შენიშვნაც, მელნით გააცხივლა, რომ ნაწერი არ გადასულიყო.



\*

### მ. „აღსარება“.

რუსეთის და ევროპის საზოგადოებრივ მოძრაობის გამოცხილი 1832 წლის შეთქმულობაში.

გრ. ორბელიანის პოეტური ნაწერებიდან პირველ რიგში აქ „აღსარებას“ შევეხებით.

განსვენებულ იონა მეუნარგიას ჩაწერილი აქვს, თვით გრიგოლ ორბელიანის სიტყვებიდან, ის დიალოგი, რომელიც გაიმართა პოეტსა და ჟანდარმის პოლკოვნიკს შორის, როცა ჟანდარმერიის წარმომადგენელი მოულოდნელად ეწვია გრიგოლ ორბელიანს, შეთქმულობის გაცემის შემდეგ:

— დიდათ მოხარული ვარ, ბატონო, თქვენის გაცნობისა; რა გნებავთ ჩემგან?

— მე ბრძანება მივიღე მთავრობისა სახლი გაგიჩხრიკო და შევიტყო, რა წიგნები გაქვს... თავადო ორბელიანო, ელიზბარ ერისთავს იცნობთ? \*)

— ვიცნობ.

— ალექსანდრე ორბელიანს? გიორგი ერისთავს?

— ვიცნობ.

— ბატონიშვილებს: ოქროპირს, დიმიტრის?

— ვიცნობ.

— საიდან იცნობ ყველა ამათ?

— ყველა ჩემი ნათესავებია და ამხანაგები.

— რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ სთარგმნეთ ქართულად?

— დიახ, მე.

— „იარალი“ თქვენ დასწერეთ?

— მე.

— რა უნდა გეთქვათ მაგით?

— ის, რაც არის გამოხატული შიგ: ქართული შექცევა და ლხინი.

— გვითხარით თუ იცით, რა მოიწერა საქართველოში ეგვიპტის ფაშამ?

— არ ვიცი, და ვერც მივმხდარვარ, ვისთან რა უნდა მოეწერა ეგვიპტის ფაშას... და სხვა.

„ნალივაიკოს აღსარება“, დასახელებული ამ დიალოგში, არის, როგორც ცნობილია, დეკაბრისტების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელის კონდრ. რილეევის ლექსი. გრ. ორბელიანის ქართული ტექსტი ამ ლექსისა დღემდე დაკარგულად ითვლებოდა.

\*) ელიზბარ ერისთავი, და ქვემოთ დასახელებულნი სხვა პირნი, შეთქმულობის მონაწილენი იყვნენ. — (პ. ი.).



ამ უამად შეთქმულობის საქმეებში ორი ეგზემპლიარი აღმოჩნდა ამ ლექსისა. ერთი, გადაწერილია თვით გრიგოლ ორბელიანის ხელით და მოთავსებულია, როგორც აღვნიშნეთ, A-ხელნაწერში. ხოლო მეორე ეგზემპლიარი ამავე ლექსისა უნდარმერიას უპოვია სოლომონ დოდაშვილთან, მისი გაჩხრეკის დროს, და ისიც აგრეთვე ჩაკერებულია შეთქმულობის საქმეში (ტომი მე-X, განყოფილება, საერთო სათაურით: „Возмутительныя сочинения найденныя в бумагах Додаева“, გვ. 1855).

შედარება გრიგოლ ორბელიანის ქართულ ტექსტისა რილევის რუსულ დედანთან, გვიჩვენებს, რომ გრიგოლ ორბელიანის ლექსი არ წარმოადგენს უბრალო თარგმანს, არამედ გადმოკეთებას. შეფარდებით საქართველოს პირობებთან.

რა დროს ეკუთვნის გრ. ორბელიანის ეს ლექსი. ამის შესახებ თუმცა პირდაპირი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ თარიღის გამოკვლევა დაახლოებით მაინც არის შესაძლებელი. ლექსს ქვემოთ მიწერილი აქვს დაწერის ადგილი — ტ ფ ი ლ ს ი. ხოლო გრიგოლ ორბელიანი ტფილისიდან გაემგზავრა 1831 წელს, ივნისს, და შემდეგ ვიდრე დაატყვევებდენ, რუსეთში იმყოფებოდა; მაშასადამე ეს ლექსი შეთქმულობის პირველ ხანას ეკუთვნის, 1831 წლის ივნისის წინა დროს.

საგულისხმოა აღვნიშნოთ აქ, თუ როგორ ვრცელდებოდა ეს ლექსი საზოგადოებაში. გრიგოლ ორბელიანის ხელნაწერში ამ ლექსს სათაურად აქვს „ა ლ ს ა რ ე ბ ა“; ხოლო სოლომონ დოდაშვილის ხელნაწერში, რომელიც, სჩანს, საზოგადოებაში გასავრცელებელი ეგზემპლიარის პირს წარმოადგენს, წარწერილი აქვს შემდეგი მოგონილი სათაური:

**„აღსარება გივი ამილახვარისა.“**

ოდესცა მეფე იყო გარდავარდნილი და საქართველო იმყოფებოდა თათართ მონებაში, მაშინ გივმან აღსძრა საქართველოს თავადნი პირისპირ მტარვალთა, და უამთა აღსარებისასა უპასუხა ესრეთ მოძღვარსა ამის დამშლელსა“.

ლექსის ავტორის ვინაობაც, რასაკვირველია, ასევე დაფარულია და ხელმოწერილია „ბ ე ს ი კ ი“ (!).

ასეთი მაგალითები, როცა შეთქმულნი კონსპირაციის მიზნით, რევოლუციურ ხასიათის ნაწერებს მოგონილს სახელწოდებას უკეთებდენ, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა; სხვა ამნაირი შემთხვევა, კერძოდ გრიგოლ ორბელიანის მეორე ნაწარმოების შესახებ. ქვემოთ გვექნება აღნიშნული. —

ის გარემოება, რომ დეკაბრისტების ნაწერები გავრცელებული ყოფილა 1832 წლის შეთქმულთა წრეებში, ერთ-ერთი ცხადი მა-



ჩვენებელია იმისი, რომ შეთქმულობის მონაწილენი უახლოესად ყოფილან დაინტერესებულნი თანამედროვე ევროპის საზოგადოებრივი მოძრაობით. ავლნიშნავთ აქვე, რომ სოლომონ დოდაშვილის ქალაქ-დებში ჟანდარმერიას ჩხრეკის დროს აღმოუჩენია არა მარტო „აღსარების“ ქართულად გადმოკეთებული გრიგოლ ორბელიანის ტექსტი, არამედ რილეევის ლექსის რუსული პირიც (ჩართულია შეთქმულობის საქმეში, № 171, გვ. 253).

ამას გარდა, შეთქმულობის მეორე მონაწილის, ტარასის ქალაქ-დებში. პოლიციას შეხვედრია პირი რილეევის გამოსათხოვარი წერილისა სიკვდილით დასჯის წინ, 1826 წლის 13 ივლისის თარიღით (ეს წერილიც აგრეთვე მოთავსებულია შეთქმულობის საქმეში, № 171, გვ. 282 — 283).

ავლნიშნავთ აქვე, რომ ბირთველ თუმანიშვილის ქალაქ-დებში, რომელიც გასასინჯად გადმოგვცა ქ. ან. თუმანიშვილმა-წერეთლისამ, ჩვენ ვიპოვეთ ერთი კრებული, სადაც გადაწერილია რილეევის პოემა „როგნედა“. კრებულის გადაწერა დასრულებულია 1834 წელს, 14 თებერვალს. ე. ი. როცა შეთქმულნი ჯერ კიდევ ავლაბრის ყაზარმებში იყვნენ დატყვევებულნი. ხოლო რაც შეეხება თვით ბირთველ თუმანიშვილს, რომლის ოჯახშიაც გადაუწერიათ ეს კრებული, ბირთველ თუმანიშვილი თუმცა დაჭერილი არ ყოფილა, მაგრამ გამოძიების ქვეშ იყო, და როგორც საქმეებიდან დანამდვილებით ირკვევა, მას შეთქმულობასთან უშუალო კავშირი ჰქონია.

რომ 1832 წლის შეთქმულებისათვის არ იყო უცხო ევროპიული იდეების წრე, ამის მაჩვენებელია, გარდა დეკაბრისტებთან სიახლოვისა. სხვა ფაქტებიც. ამას ადასტურებს, სხვათა შორის, გრიგოლ ორბელიანის მეგობრის სოლომონ რაჭმაძის ნაწერები. სოლომონ რაჭმაძე, რომელიც ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო შეთქმულობისა. კარგად მომზადებული და თან გაბედული პოლიტიკური მოღვაწე (— იგი, შეთქმულთა კომიტეტის დავალებით, გაგზავნილი იყო თეირანში ინგლისურ მისიასთან კავშირის დასაჭერად—), ამავე დროს ნიჭიერი პოეტიც ყოფილა. მას ეკუთვნის, სხვათა შორის, კარგად დაწერილი პოლიტიკური სატირა „დათვი და ცხვარი“ \*). 1831 წელს, როცა პოლონეთის აჯანყება დაიწყო, სოლომონ რაჭმაძეს უთარგმნია ქართულად ადამ მიცკევიჩის ცნობილი პოემა „ფარისი“, რომელიც „კონრად ვალენროდთან“ და „ოდასთან ახალგაზრდობის მიმართ“, — ამ ეპოქის პოლონურ მწერლობაში. პატრიოტულ ჰიმნად ითვლებო-

\*) იხ. АКТЫ. ტ. VIII. გვ. 417. ტექსტი ამ ლექსისა დაცულია შეთქმულთა საქმეში № 171, გვ. 207 — 208. (შეად. ზევით, 241, შენიშვნა).



და. (ეს თარგმანი, რომელიც სოლომონ რაზმაძეს გაუგზავნია გრიგოლ ორბელიანთან 9 იანვარს 1832 წელს, დაცულია შეთქმულთა საქმეში № 171, გვ. 151 — 158).

რუსულ დეკაბრიზმთან და პოლონურ მოძრაობასთან ერთად, საქართველოს შეთქმულობის წევრნი, ბუნებრივია, განსაკუთრებით დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ 1831 წ. რევოლუციით საფრანგეთში, რომელი ქვეყანაც თავისუფლების დედად ითვლებოდა. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აქ მოვიხსენოთ ერთი დოკუმენტიც. მთავრობის აგენტებს, შეთქმულთა დაჭერის დროს, ხელში ჩაგარდნიათ ქართული თარგმანი მოწოდებისა, რომელიც გამოცემულია „სენის დეპარტამენტის პრეფექტის მიერ თვისთა თანამოქალაქეთა მიმართ“. მოწოდება დათარიღებულია: „პარიჟი, 19 ოქტომბერს, წელსა 1830“, და ხელმოწერილია ამ-რიგად: „წევრი სახელმწიფოსა რჩევისა და პრეფექტი სენის დეპარტამენტისა ოდილიონ ბარრო“. — ეს მოწოდება ქართულად თარგმნილია, როგორც ამას უჩვენებს მინაწერი, 1831 წლის იანვრის 20-ს (ე. ი. სამი თვის შემდეგ მოწოდების გამოქვეყნებიდან), ხოლო მისი მთარგმნელი ყოფილა, როგორც გამოძიებამ დაამტკიცა, სოლომონ რაზმაძე. თვით ის ეგზემპლარი მოწოდებისა, რომელიც მთავრობას ჩაუვარდა ხელში, გადაწერილია სოლომონ რაზმაძის მიერვე (დაცულია შეთქმულობის საქმეებში, ტ. XIII, გვ. 2359).

ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით მოვიხსენეთ ეს ზოგიერთი დეტალები, საიდანაც ცხადდება 1832 წლის შეთქმულობის იდეური ნათესაობა თანამედროვე ევროპის საზოგადოებრივ მოძრაობასთან. უფრო დაწვრილებით ამ საკითხის გაშუქება სპეციალურა გამოკვლევის საქმეა. უეჭველია, დეტალური შესწავლა შეთქმულთა საქმეებისა, და აგრეთვე ამ ეპოქის სხვა დოკუმენტებისა, ბევრს საგულისხმოს აღმოაჩენს ამ მხრით. —

გადავიდეთ ამის შემდეგ გრ. ორბელიანის დანარჩენ ნაწარმოებთა მიმოხილვაზე და გავითვალისწინოთ გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედების მაგისტრალი როგორც 1832 წლის შეთქმულობის ხანაში, ისე ამ ხანის შემდეგ. ჩვენ აქ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ჩვენი პოეტის ზოგიერთ ლირიულ ლექსზე, და კერძოდ პოემაზე „სადღეგრძელო“, რომელიც პირველად სულ სხვა დროს და სულ სხვა პირობებში ყოფილა დაწერილი, ვიდრე ამას დღემდე ვფიქრობდით, და რომლის დედანს მეტად საგულისხმო ისტორია ჰქონია.

(დასასრული შემდეგს ნომერში)



# ზოგიერთი ტექსტი გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწარებიდან.

რედაქცია პავლე ინგოროყვას მიერ.

## ა ლ ს ა რ ე ბ ა

[მიზაძვა დეკაბრისტის კ. რილეევის  
ლექსისა: „ნალივაიკოს აღსარება“].

ეს ლექსი გრიგოლ ორბელიანისა გავრცელებული იყო ფარული სა-  
ზოგადოების წევრთა შორის 1831 — 1832 წლებში და ხელმოწერილი იყო  
ფსევდონიმით: „ბესიკი“.

ჰე, სულიერო მამაო! ნუ მეტყვი: „ამით შეჰსცოდავ!  
ესრეთსა შენსა მოძღვრებას მხოლოდ უბრალოდ დაჰკარგავ!  
რა მგამა! იყოს საშინელ, სატანჯველ ჩემთვის ეს ცოდვა;  
თუ კი მით თავისუფლება მამულსა უკ მოექცევა!  
ეს საიდუმლო, რაიც ვჰსთქვი, ოღონდა აღესრულოსა!  
ცოდვანი თათართ, ურიათ მზა ვარ მივილო ჩემს სულსა!

და მისთვის ნულარ ეცდები ზეციურ რისხვით მაშინო,  
ან საუკუნოდ ტანჯვითა ჩემ შორის ნანვა აჩინო!  
ჯოჯობითი მტანჯს მაშინ მე, ვჰხედავ რა ტყვედ ქმნილს მამულსა!  
როს ვნახო თავისუფლებით, ვჰხვდე მაშინ სასუფეველსა!  
სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი თავისუფლების აღმენტო;  
რა მესმა ძველთ დროთ ღიღინი, ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო!

ესრეთ სარცხვინო შიშითა ვინ იყო მაშინ ძლეული?  
ტყვეობას ვის არ ერჩივნა სიკვდილი მამაცეული?  
ქედმოდრეკილი უღელს ქვეშ, სიმწარით დღეთ თვისთ ვინ ჰსწყევდა?  
მთოვარით განისვენებდენ და მზე ნათელსა მოჰფენდა!  
მაშინა აქვნდათ ივერთა რა სიყვარული კავშირად,  
აღვსილი მათი სიამით ცხოვრება ჰრბიოდა ნათლად.  
აწ გესლოვანთა მუხთლურებრ ჩვენ შორის ჰსთესეს მტერობა:  
კავშირი შეჰსწყდა და მასთან ივერთა კეთილდღეობა! —  
შიში, სიმდაბლე სულისა, შური, მფლობელნი აწ ჩვენნი  
არიან მარად მონების ნაყოფნი ესე საძაგნი! —

ძველი ქებული სამეფო უფსკრულსა შთაუნთქავს ესრეთს,  
რომ ჩვენზე მტერნი აღმსდგარან და ჩვენ-კი ვებრძვით ურთიერთს.  
ლეკი, ოსმალო და სპარსი, ვით მგელნი განუძლომელნი,  
უწყალოდ ჰგლეჯენ ჩვენს მამულს, სისხლითა ჩვენით ღებილნი.



ჰსჯულსა უძლურად შექმნილსა, ჰსთვლემს მცხეთას გამოუფხიზლად;  
ერი ლაღადებს ვაებას, და ვერვინ აღსდგა მფარველად.  
მის ჟამით მტრისა სისხლისა ვარ დასათხევად მოსურნე  
და ამა ფიქრით მოცულსა, სახე მაქვს ჭმუხვნილ, მრისხანე.

მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვნესის,  
და ეს ოცნება დღე და ღამ, ვითა აჩრდილი თან მდევნის:  
მოსვენებასა არ მაძლევს ნათესავთ შორის გინა ვჯდე,  
გინა საყდარში შესული გულ-მხურვალებით ვილოცდე!  
ხმა საიდუმლო მარად-ჟამს მეჩურჩულების მე ყურსა,  
ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა!..

ვუწყვი ძე მართლად, რომ ჯერ-არს სიკვდილსა იგი ელოდეს,  
ვინც ერის მაწუხებელსა პირველად წინა-აღუდგეს!  
მარა, მოძღვარო! მითხარ მე, ვის? სადა? რომელსა მხარეს?  
თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდის?  
წარვსწყმდები მამულისათვის, ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ;  
და მისთვის ესრეთს ჩემს სიკვდილს ადრევე სიამით ვაკურთხებ!

ტფილისი  
[1831 წ.]

1832 წლის უეთჰმულობის დროინდელი ორიგინალური ლექსები

\* \* \*

მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს,  
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს,  
და ვინცა მისსა ტყვეობას გულ-სიგრილითა ჰხედავდეს  
და მის დახსნისთვის უზრუნველ თვისს სიცოცხლეს კი ჰზოგავდეს.  
მტერსა ხანჯალზედ აღებულს ვინცა სიამით არ ჰსჭკრებდეს  
და სმენა მისთა კვნესათა გრძნობათა არა უტკბობდეს!

რა სასურველ არს სიცოცხლე, ვაით ამ სოფელს მოსული,  
და სამარემდის კვნესითვე უღელს ქვეშ დამწარებული!  
ჰსჯობს იგი მოკვდეს და ანუ არ იქმნას დაარსებული,  
მხვედრი ესრეთი ვაგლახი არს ვისთვისც განმზადებული!  
ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა ჰშთომოდეს,  
რომელ ოდესმე ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს! —

ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს...  
სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!

[1832 წ.]



\* \* \*

ჰე, ივერიავ! ვიდრე იყო ქედ-მოდრეკილი,  
ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი,  
რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა გრიალი  
ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი!  
წინაპართ სისხლი აწ ჩვენ შორის არღა მდინარებს,  
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!..

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას...  
მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას...  
ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას!  
ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!

[1832 წ.]

\* \* \*

### [თავისუფლებას]

გულნი ივერთა აქვს მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ-შესაწი-  
რავად,  
ტადარი შენი არს გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმევად!

კმა არს რაც ვკარგეთ აქამდის... აწ შენში ვჰპოოთ კარგული,  
ამაღლდეს ქედი ივერის შავ-ბედით დამიწებული!

მტერთა შემუსვრით შენის, მხნეობით, კეთილდღეობით აღგვაყვავილე!  
სწავლათა ჰპოონ აქ თვის სადგური, მისისა ნათლით ჩვენ განგვანათლე!

მტერი შეძრწუნდეს, რა მოახლოვდეს შენსა საზღვარსა მხნეობით  
მცველსა,

თამარის დღენი, დიდების დღენი, უკ-მოუქციე ივერიასა.

[1832 წ.]



დავით უორლანაშვილს \*)

შენი წიგნი ასე მატკობს, მახარებს,  
ვით ყიზილბაშს ყალიონი და ჰალვა!  
ვამბობ! ნეტა ბედი როდის მაღირსებს  
რომ შენს გრიგოლს, ჩემი დავით ეხილვა!

ტულთ.  
სექტემბრის 26 დღესა,  
1831 წელსა.

ს — სა. \*\*)

მერცხალნი — თვალნი შენნი,  
გონების სხივთ მომფენნი!  
ვარდნი — შენნი ბაგენი,  
მარად მოღიმარენი.  
თოვლ-ღვინო — შენნი ლაწვნი,  
მათზედ გარდაშლილ ზილფენი...  
შენი წელი კიპაროზ!  
და შენი ხმა სირინოზ!  
ხან სიამით მავსებენ,  
ხან ცრემლთ მაფრქვევინებენ!  
ზოგჯერ მტანჯვენ, შმაგ-მყოფენ  
და ხან უცებრ მალხენენ!..

პეტერბურღს, 18 ოკტომბერს,  
1832 წელსა.

\*) ხელნაწერში აღნიშნულია დასაწყისი ასოები: „დ. ყორ....“. — დავით უორლანაშვილი პოეტის სიყრმის მეგობარი იყო.

\*\*\*) ეს ლექსი მიძღვნილი უნდა იყვეს სოფიო ორბელიანისადმი. (იხ. ამის შესახებ ჩვენს წერილში).



ო თ ხ ე უ ლ ე ბ ი

\* \* \*

ზღვის კიდეს დგომით მარგარიტი ვით იპოების!  
ტრფობისგან წყლულნი მხოლოდ ოხრვით ვითა განჰქრების!  
ვის გტანჯავთ სურვა, შევედ მედგრად ზღვას მწუხარების,  
რომ მიხვდეთ საგანს, და მაშინ ფასს ჰსცნობთ სიტკბოების!

აგვისტოს 7-სა, 1832 წელს,  
პეტერბურღს.

\* \* \*

ოდეს ოხრვით მაგონდების სანატრელი დღე წარსრული,  
გონება ვერ მიპოვნია სანუგეშოდ, ვერცა ცრემლი!  
ბედის ვარსკვლავს შორს ძლით ვხედავ, ღრუბლით მოცულს და  
მკრთოლვარეს,  
დამშთომია შვებისა წილ ტრფობის ხსოვნა გულს მჭმუნვარეს.

[1832 წ.]

\* \* \*

სიყვარული არს თავ-დავიწყება!  
სატრფოსთვის ვინ არ ევედრა ზეცას,  
რომ არც ჰმუნვა და არც მწუხარება  
არა შეეხოს მის სახეს ტურფას.

[1832 წ.]

\* \* \*

გრწამდეთ, ვის გული არ უძგერს ტრფობით,  
ვითა სიზმარი მის დღენი განჰქრეს...  
ვერცა სიამით, ბედნიერებით  
ამა სოფელსა ვერა რით დატკბეს.

[1832 წ.]



\* \* \*

ისმინე ჩემი, ჰე, სიყვარულო!  
ტრფობისა ცეცხლი გულს არ გამიქრო!  
გული სურვილით მარად დამირთო,  
და ტრფობით მთვრალი არ განმაფხიზლო!

[1832 წ.]

\* \* \*

ნეტავც კვლავ ხილვა შენი მეღირსოს,  
საამურის ხმის დავეტკბო სმენას...  
მას წამს სანატრელს ვით შემეღაროს  
ან მეფე ტახტზე, ან ღმერთნი ზეცას!

[1832 წ.]

ო რ ე უ ლ ე ბ ი

\* \* \*

წყალში წრე განიერდების, მისთვის რომ ბოლოს განქარდეს...  
ვიცი რომ ბოლოს მეც ეშუის სიციოფე მიმცემს სამარეს!

[1832 წ.]

\* \* \*

სულისა ჩემის სადგურად არს თვალნი შენნი ცეცხლებრნი,  
დამწველ, დამტანჯნი, მარამა ზოგჯერმე დამატკბობელნი!

[1832 წ.]

\* \* \*

რა უნდა აქენდეს სულსა უკვდავი,  
თუ მასში განჰქრეს კვლავ სიყვარული.

[1832 წ.]



\* \* \*

შენცა მიმუხთლე, გონებაო, და მას ემონე,  
ვინც მტაცა გული, მოსვენება და სიამოვნე!  
ვისიცა სახე მარად-ჟამსა თვალთ ეოცნების,  
მდევნის და ჰხარობს, როს ისმენს ჩემს ხმას მწუხარების,  
ცრემლნი — საამოდ, კვნესა — ლხინად ვის ეჩვენების!

[1832 წ.]

[ ნ ი ნ ა ს \* ]

დღესა ამას სიყვარულმან სოფელსა აღმოგაცენა,  
რათა იპყრნა კაცთა გულნი, შენით ბრწყინვიდეს ქვეყანა,  
მშვენიერების ყვავილნი სრულიად შენზედ მოჰფინა,  
და ჰრქვა: იყავ მშვენიერ, ნინა! \*\*

კუპიდონმან თვისის მხარით მკვეთრი ისარი მოგიძღვნა,  
რომელშიაც სიმწარესთან სიტკბოება შეურივნა...

შენგან კოდილი, მწარედ გლახ გული, კვალად სურვილით შენვე  
ემონებდეს,  
თავისუფლებას შორს განაგებდეს და ტყვეობასა თვისსა ჰხარობდეს!

[1832 წ.]

ე — სა. \*\*\*)

ვინცა გაგიცნობს,

ეშყით ტანჯვას ჰსცნობს...

და ვინც ვერ გიცნობს

მაშ რას კეთილს ჰსცნობს!

პეტერბურდს. 27 ოკტომბერი.

1832 წელსა.

\*) ეს ლექსი, სჩანს, მიძღვნილია ნინო ჭავჭავაძისადმი.

\*\*) დედანში ფანქრით მიწერილია: „ნ“.

\*\*\*) ეს ლექსი მიძღვნილი უნდა იყვეს ეკატერინა ჭავჭავაძისადმი.



## რ უ ს თ ვ ე ლ ჯ ე

(ფრაგმენტებიდან)

დრომან, შემუსრვის [მან] მოყვარემან  
ვერა შემუსრა მის თხზულებანი!  
ლამესა ბნელსა ვით მთოვარემან  
ბრწყინვით გამოვლო საუკუნენი!

[1832 წ.]

ნაწყვეტი 1832 წლის უთქმულობის ხანის ლექსებისა.

### I

ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის,  
ვითარცა მგლისა, ეგრეთ მშიერ კაცის ეშინის...  
ვინცა განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზას პატივის,  
დასასრულ მაინც საშინელად ესრეთ წარხლების!

[1832 წ.]

### II \*

[სადღა ვჰპოოთ სიწმინდე ჩვენთა ზნეთა!  
აწ იქების მოქმედი სობილწეთა,  
ეს ნაყოფი მოსულთ მტერთ-მოყვარეთა...  
ვინ აღმოჩნდეს მომცემი წარსრულთ დღეთა!].

[1832 წ.]

\*) ეს ნაწყვეტი II „სადღა ვჰპოოთ სიწმინდე“ შეადგენდა ნაწილს ლექსისა „ვე ივერიავ“ (ჩართული იყო მე-7 სტრიქონის შემდეგ). მაგრამ შემდეგ ავტორს გადაუხაზავს.



სხვა-და-სხვა ესკიზები და ფრაგმენტები

1.

...მარამა ბედი უკვე წილსა ჰყრის,  
და ჰსწერს სახელსა თვისთა მსხვერპლთასა!

...მის სახე, მის ხმა, არიან მარად  
ჩვენის გონების თანამდევარნი.

2.

ესრეთთა ბნელთა ღამეთა ვარდი, მდელოთა შვენება,  
მოჰფენს საამოდ სუნნელთა, თუმც თვალთა არ ეხილვება.

3.

აჰა ყარიბი, ძველთ დროთ მოწამე,  
ცრემლთ შეუშრობლად მისთვის მტირალი...

...და ჭავჭავაძე მისი ბულბული,  
მასაც შეეხო მისი კალამი...

აწ სად ხართ, გმირნო! გზა ცხოვრებისა  
განვლეთ დიდებით და მიგვეფარეთ!

4 \*).

ნეტარ ვინც ჩანგით განაცხოველებს  
ჟამთა ცხოვრების მსწრაფლ წარმავალთა.

ძველთა დროთაგან მისი თხზულება  
ვით მარგარიტი დაგვშთა საუნჯედ.

---

\*) ფრაგმენტებიდან რუსთველზე.



5.

ვითა ღამეში გზასა მავალი  
ჰგრძნობს იდუმალად სიამოვნესა,  
ოდეს ვარსკვლავი დილის წინ მსრბოლი  
მკრთოლვარებს ზეცას ლაჟვარდოვანსა  
და მოასწავებს დღესა ნათელსა...

6.

რა ვჰყო, ვინცა იწვის ეშხით, აქვს ნუგეზად მოთქმა ოდენ!

[1832 წ.]

#### ლექსები ნინო ჭავჭავაძისადმი.

[ქვემოთ მოთავსებული ორი ლექსი თუმცა ცნობილი იყო, მაგრამ კერძოდ მეორე ლექსის გრიგოლ ორბელიანისადმი კუთვნილება არ იყო გამორკვეული; არ იყო აგრეთვე ცნობილი თუ ვისდამია მიძღვნილი ეს ლექსები, და არც დაწერის თარიღი.]

#### ნ... ღმრ.

როს გხედავ, მნათო! ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა,  
ვივიწყებ ყოველთ სიმწარეთ, ბედისგან მოვლინებულსა.  
სულისა ღელვა მშვიდდების, გული კვალად ჰგრძნობს სურვილსა...  
და ვნანობ, მიწყევვიეს თუ სიცოცხლე დამწარებულსა!

#### მასჴმ.

ამა სოფელს დამშობმიეს მხოლოდ ესე სატანჯველი,  
ოდეს გავვლი ცხოვრების გზას და მეწევის აღსასრული:  
ჩემსა სულსა, რომელიც აწ შენდამო მაქვს შეწირული,  
სამოთხის წილ შენს ზილფებში აღუნიშნე მას ადგილი!

ტფილისი.

1829 წელსა, მაისის 7 დღესა.

— : —



# ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ბ. ბ.

**ლეო ქიაჩელი.** თავადის ქალი მაია. ტფილისი, 1928 წ.

ჩვენი დროის მოწინავე ბელეტრისტიკა და საზოგადოდ ხელოვნება ხასიათდება ოსტატობის ახალ შესაძლებლობათა ძიებით, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ უფრო დაიმორჩილოს ახალი რთული სინამდვილე.

ლეო ქიაჩელის დამახასიათებელი არაა განსაკუთრებული ფორმალური ძიება, მაგრამ მას ეხერხება აქტუალური და მნიშვნელოვანი თემების გამოჩენა და მათი სერიოზული დამუშავება. სარეცენზიო წიგნიც იწვევს ჩვენს ინტერესს, ვინაიდან მასში გამოხატულია თანამედროვე ხანა და წრე. გაღრმავებული ფსიქოლოგიური გეგმით ავტორი იძლევა უკვე განწირული წოდების ტიპს.

თავადის ქალი მაიას სახით მოცემულია წარმომადგენელი ნიადაგ გამოცლილ წოდებისა, რომელსაც ეშინია ყოველივე ახალის და წყევლა-კრულვისა; ხვდება მას, მაია, ახალგაზრდობაში, იყო ლამაზი, მდიდარი და გავლენიანი; მას აუარებელი წარჩინებული წრის ყმაწვილ-კაცები ეტრფოდენ და ბევრი მსხვერპლიც გამხდარა ამ ტრფიალების. დღეს კი: „წელსაც ზღვაზეა თავადის ქალი მაია, მაგრამ, ნეტავი, არ დაჩვეოდა ზღვის აბანოებს, როცა მდიდარი იყო და მართლა თავადობდა. ეხლა მაიასთვის კურორტები არ არსებობენ. და გაყარა-ღებულმა ცხოვრებამ მას ყველა გზები შეუკრა, რომლებითაც წინად დადიოდა.

ცხოვრებას ხანიც აჰყვა — ეს მეორე ყაჩაღი — და... აჰა. გაძარცვულია თავადის ქალი ყოველნაირად...

ჰყავს მხოლოდ ერთი მოახლე და აქვს მხოლოდ ერთი ნუგეში. პირველი არის მისი გაზრდილი ობოლი გოგო დაფინო, ხოლო მეორე — ოდესღაც შმაგი მისი მიჯნური, განთქმული არშიყი ბონდო თავადი — უკანასკნელი, სიყვარული და მიზანი მაიას ცხოვრების“.

უკანასკნელი სიყვარული და მიზანი მაიას ცხოვრების არის ბონდო. რადგან თავადის ქალი ეხლა უკვე გახუნებულია და ახალი მიჯნურის გამოჩენის იმედი მას უკვე აღარა აქვს. მას აღარ შეუძლია არსებობა, თუ ეს უკანასკნელი იმედიც დაეკარგა. ამიტომ მაია უკანასკნელი თავგანწირვით იბრძვის ამ საუნჯის შენარჩუნებისათვის. მაგრამ ამაოდ. ეს იმედიც გარბის. თავად ბონდოს გემოვნება საკმაოდ განვითარებული აქვს. რომ ქალბატონ მაიას, ყმაწვილი ქალი, იმისი გოგო დაფინო ამჯობინოს. ამას კარგათ გრძნობს მაია და ცდილობს, თუ ტანით ველარ ხიბლავს, სიტყვებით იქონიოს გავლენა თავის საყვარელზე. მაგრამ მაიას სიტყვები ველარ ახდენს გავლენას ბონდოზე და ის ისევ მოსამსახურე გოგო დაფინოს ხელში ჩაგდებაზე ფიქრობს.

როცა თავადის ქალი უკანასკნელად დარწმუნდება, რომ საშველი აღარ არის, რომ ბონდოს ის ეჯავრება, მაშინ მოინდომებს ყოფილი მიჯნურის ვერაგულად დაღუპვას.



მაია მიმართავს ბოროტ ხერხს: მოინდომებს შეაჯახოს თავადი ბონდო და ახალგაზრდა კომუნისტი-გლეხი ამბაკო, რომელსაც უყვარს დაფინო და ცოლად უნდა შეირთოს. მართლაც ინტრიგა ეწყობა ხერხიანად: ღამით, როცა ზღვის პირად „ღამის თევა“ არის გამართული და ბონდო მარტო არის კარავში, მაია გააგზავნის გოგოს კარავში შალის მოსატანად. მაიამ კარგად იცის, რომ ბონდო ასეთ მოხერხებულ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს უბრალოთ, იცის, რომ თავადი ქალზე ძალადობის ხმარას მოინდომებს, ამიტომ ამავე დროს კარავში აგზავნის ამბაკოს. ამბაკო სწრაფად გაექანება კარავისაკენ და სწორედ იმ დროს მივა, როცა ბონდოს ქალი დაჭერილი ჰყავს და ძალდატანებას უპირობს. მოხდება მათ შორის ბრძოლა. გლეხი ამბაკო რევოლუციით ჰკლავს თავად ბონდოს, რის შემდეგაც თვით მაიაც თავს იხრჩობს ზღვაში.

ნოველაში კომუნისტი-გლეხი ძლიერ მკრთალად არის მოცემული. ნოველა ძლიერ მოიგებდა, რომ სოფლის წარმავალ, დრომოქმულ ტიპების გვერდით, უფრო დამთავრებული მხატვრული გამოხატულება ეპოვა ახალი ცხოვრების მიერ წარმოშობილ ტიპებს რევოლუციონური გლეხის სახით. რევოლუციამ დიდი ცვლილებები გამოიწვია სოფლის სოციალურ ცხოვრებაში — წარმოშვა ახალი აქტუალური პიროვნება და ჩვენმა ბელეტრისტიკამ აუცილებლად უნდა მიაქციოს ამას თავისი ყურადღება. ლეო ქიაჩელი დაკვირვებული მწერალია და ჩვენ გვწამს, რომ მისი მხატვრული ერუდიცია ფართედ იქნება გამოყენებული ახალი, რევოლუციონური, ვითარების მიერ წამოყენებულ თემისა და ახალი ტიპების დამუშავების საქმეში.

საერთოდ ნოველას ემჩნევა გამოცდილი ბელეტრისტის ხელი და იკითხება ინტერესით. განსაკუთრებით მოხდენილად არის აწერილი ღამისთევა.

წიგნი კარგათაა გამოცემული, შეიცავს 64 გვ. და ღირს 50 კაპ.

— : —



ლ. არდაზიანი — „სოლომონ მეჯღანუაშვილი“ — რომანი. წინასიტყვაობა გ. ხუროძის. პოლიტ-კატორღელთა მალაზიის გამოცემა. ტფილისი, 1927. გვ. 144 + XXVII. ტირ. 5000. ფასი 1 მან.

ლავრენტი არდაზიანის რომანი „სოლომონ მეჯღანუაშვილი“ პირველად დაიბეჭდა 1861 წელს, ჟურნალ „ცისკარში“. ამ რომანს განსაკუთრებული ადგილი უკავია მე-19 ს. ქართული ლიტერატურის განვითარებაში. არდაზიანის რომანი დღესაც არ არის მოკლებული მხატვრულ-ლიტერატურულ ინტერესს, თავის დროზე კი, როგორც ლიტერატურული ფაქტი, იგი მეტად საგულისხმო მოვლენას წარმოადგენდა. „სოლომონ მეჯღანუაშვილი“ დაიბეჭდა იმ დროს, როდესაც ერთადერთი ქართული ჟურნალის „ცისკრის“ ფურცლებზე გაცხოველებული კამათი ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემოღების გარშემო ჯერ კიდევ არ იყო გათავებული. ძველი თაობა, ალ. ორბელიანის, ბარბარე ჯორჯაძისა და სხვების სახით, საჭიროდ სთვლიდნენ დარჩენილიყო ძველი, ნახევრად-ეკლესიური და მწიგნობრული ენა, ხოლო ახალი თაობის მწერლები, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, მოითხოვდნენ სალიტერატურო ენისა და ორფოგრაფიის რეფორმებს, მის დაახლოვებას ხალხისთვის გასაგებ, ცოცხალ და ყოველდღიურათ სახმარებელ ენასთან. ამ პერიოდისათვის ახალი ლიტერატურული ენით დაწერილი პროზის საუკეთესო ნიმუშებათ ჩაითვლება, გ. ერისთავის კომედიებთან ერთად, დ. ჭონჭაძის „სურამის ციხე“, გრ. რჩეულიშვილის ისტორიული მოთხრობები და ბოლოს არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. უკანასკნელი დაწერილია თავისი დროისათვის შესაფერისი ახალი სალიტერატურო ფორმებით. მაგრამ არდაზიანის ნოვატორობა მარტო ახალი სალიტერატურო ენის ხმარებითა და სტილისტიური ხერხებით არ ამოიწურება. გიორგი ერისთავთან ერთად მას ახასიათებს თემატიური სიახლე, ახალი ყოფისა და სოციალურ ურთიერთობის მხატვრული გადამუშავება.

მე-19 საუკ. ნახევარში საქართველოში უკვე ხელსახები ფაქტი იყო ის საზოგადოებრივი დიფერენციაცია, რომელიც თან მოჰყვა ნატურალური ეკონომიკის წიაღში ჩასახულ და შემდეგ სწრაფად განვითარებულ კაპიტალისტურ ეკონომიკას. ნატურალური მეურნეობის დაშლასთან ერთად შეუჩერებელი აღორძინების გზას დაადგა მრეწველობაზე და გაცვლა-გამოცვლაზე აგებული მეურნეობა. ამ ეკონომიურ გარდატეხასთან ერთად ჩვენი სინამდვილის ასპარეზზე სამოქმედოთ გამოვიდნენ ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის, მამოძრავებელი სოციალური ფენები. აღსანიშნავია, და, ეს არც გამოპარვიათ ჩვენს პირველ რეალისტ მწერლებს, რომ მე-19 ს. ნახევარში ჩვენში სავაჭრო კაპიტალთან ერთად განსაკუთრებულის სიცხოველით გამოდიოდა ასპარეზზე ჩარჩული, სავახშო კაპიტალი, რომელიც თავის სამოქმედო არეს უმთავრესად პოულობდა ეკონომიურად დაქვეითებულ და გაღატაკებულ სოფელში. ეს გარემოება გარკვევით არის უკუფენილი, როგორც ნაწილობრივ გ. ერისთავის კომედიებში, ისე ლავრენტი არდაზიანის რომანში. ამ ნაწარმოებებში ჩვენ გვეძლევა საშუალება გავეცნოთ წარსული საუკუნის ნახევრის ყოფის სურათებს, თავად-აზნაურობის დაცემას, ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიას და ადმინისტრატიულ ხელისუფლებას.

არ შეიძლება ლ. არდაზიანის რომანს მივუდგეთ თანამედროვე ფორმალური მოთხოვნისგან და გავგებით. ამ ნაწარმოების შესაფასებლად ეს იქნებოდა



მეტად შემცდარი თვალსაზრისი. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს მაინც ის გარემოება, რომ „სოლომონ მეჯღანუაშვილი“, როგორც რეალისტური პრინციპით გაკეთებული მოთხრობის პირველი ცდა, არ არის მოკლებული დამწყების სუსტ მხარეებს. აქ ჩვენ ხშირად მეტისმეტად ვგრძნობთ გამოუცდელ კალამს, გაუბედავ ხაზებს, მხატვრული ზომიერების დარღვევას და მთლიანი გეგმიანობის უქონლობას სიუჟეტის აშენების დროს.

სარეცენზიო წიგნს წარმძღვარებული აქვს მოქალაქე ხუროძის წერილი: „ლავრენტი არდაზიანი და მისი ლიტერატურული მოღვაწეობა“. სამწუხაროდ უნდა ითქვას რომ ეს წერილი არ არის მოკლებული ზოგიერთ დაუსაბუთებელ და კურიოზულ დებულებებს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუშს. მე-**XVIII** გვ. ვკითხულობთ: „ასეთი (არდაზიანისთანა) გრაციოზული მანერით მთელ მე-19 საუკ. არავის არ უწერია“. რასაკვირველია წერილის ავტორის ეს მტკიცება იწვევს ღიმილს. ამას არ დაიჯერებს არავინ, ვინც იცნობს აკაკის, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგის, არაგვისპირელის და კლდიაშვილის პროზას. ცოტა ქვემოდ (მე-**XXVI** გვ.) მოქ. ხუროძე სწერს: „საზოგადოთ ცნობილი ფაქტია, რომ 60 წლების ჩვენი მოღვაწეები სულ ცოტას გამოკლებით (ან. ფურცელადე) კონსერვატორები იყვენ (?!) და არდაზიანიც მათი აზრის ყოფილა. ერთ რამეში მაინც ისინი უსათუოდ რადიკალურად და ოპოზიციონურად აზროვნებდენ და სწერდენ. ეს იყო ეროვნული საკითხი, ამ მხრივ ყველანი გულდათუთქულნი (!) იყვენ“... ჩვენ გვაკვირვებს, საიდან მოიტანა მოქ. ხუროძემ, რომ ჩვენი 60-იანი წლების, — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გ. წერეთლის, ნ. წულაძის და სხვ. თერგდალეულთა თაობა კონსერვატიულად მოაზროვნე თაობა იყო? საიდან არის ეს სიბრძნე? ამ პატივცემულ მწერელს ავიწყდება თავისი სიტყვები სულ რამდენიმე გვერდიო წინ. აქ იგი სულ სხვაგვარად ახასიათებდა 60-იანი წლების მოღვაწეებს. მე-**V** გვ. მაგალითად იგი სწერს: „ბატონ-ყმობა აგვისახეს გიორგი ერისთავმა, დანიელ ჭონქაძემ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკიმ და სხვ. ამ ავთე მწერლებმა და ჰგმეს იგი და ხელი შეუწყვეს ამ საშინელი ინსტიტუტის მოსპობას“... მე-**XVII** გვ.: „დანიელ ჭონქაძემ... სასტიკად გაილაშქრა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, ილიამაც სასტიკი მხატვრული განაჩენი გამოუტანა ამ რეჟიმს „კაცი ა-ა და-ამიანი ში“... გამოდის, რომ 60-იანი წლების მოღვაწენი სასტიკად ილაშქრებდენ როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ და მიუხედავად ამისა, მაინც „საზოგადოთ ცნობილი ფაქტი“ ყოფილა. რომ ისინი კონსერვატორები იყვენ!

სარეცენზიო წიგნი დაბეჭდილია სუფთად, თუმცა შედარებით მდარე ღირსების ქალაქზე. გარეკანის ხატულობა უგემურობის შედეგს წარმოადგენს. სარეცენზიო წიგნის გამოსვლის წელს „შრომამ“ გამოცა იგივე თხზულება უფრო იაფად და ლამაზად.



**სარეპერტუარო ბიულეტენი № 1**“. სახელოვნო დაწეს. მთავარმართველობის გამოცემა. ტფილისი 1928 წ., გვ. 60. ტირ.1000 ც. ფას. 50 კ.

სარეპერტუარო ბიულეტენი № 1 წარმოადგენს სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს მიერ თეატრებში დასადგმელათ მოწონებულ პიესების რეცენზიათა კრებულს. იგი შედგენილია შალვა დადიანის, ს. თოხაძის, კ. კალაძის, ვ. მაჭავარიანის, ე. პოლუმორდვინოვის, ბესო ულენტის, პ. ქიქოძის, ს. ჩიქოვანის და ა. ჭეიშვილის მიერ. სულ კრებულში მოთავსებულია 73 ორიგინალური და ნათარგმნი პიესის რეცენზია. რეცენზიები გაკეთებულია მოკლეთ და სხარტულად. ნაამბობია მოკლეთ პიესის სუჟეტი, შემდეგ გადმოცემულია ავტორის იდეა და ბოლოს ცნობები, თუ რამდენი მსახიობი, ან რა დეკორაციებია საჭირო პიესის გაფორმებისათვის, ბიულეტენი ამგვარათ საშვალეებას აძლევს რეჟისორებს, თეატრებს, კლუბებს და სოფლის დრამატიულ წრეებს წინასწარ სახელდახელოთ და მოკლეთ გაეცნონ ამა თუ იმ პიესას და გაიგონ, შეეფარდება თუ არა ეს პიესა მათი დასის მსახიობურ. ფინანსიურ და სხვა შესაძლებლობას.

ბიულეტენში პიესები დაყოფილია უმთავრესად სამ კატეგორიათ: პროფესიონალური თეატრებისათვის, მუშათა კლუბებისათვის და სოფლის სცენებისათვის. ზოგიერთი პიესის რეცენზია გვამცნობს, რომ ეს პიესა გამოსადეგია ამა და ამ კამპანიის დროს (მაგალ. ქალთა დღე, თებერვლის რევოლიუციის აღსანიშნავი დღე, გასაბჭოების წლისთავი, პარიზის კომუნის მოგონება და სხვ.).

უნდა ითქვას, რომ ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში ეს ბიულეტენი წარმოადგენს სარეპერტუარო პიესების სისტემატიზაცია-კლასიფიკაციის პირველ ცდას. საქართველოში მომქმედ სხვადასხვა ტიპის თეატრებს დღემდე არ შეეძლოთ ეხელმძღვანელათ რაიმე საერთო და ავტორიტეტული მითითებით რეპერტუარის დარგში. ამ ხრმივ „სარეპერტუარო ბიულეტენის“ გამოცემა მეტად მიზანშეწონილ და დადებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. როგორც ბიულეტენის სარედაქციო წერილიდან ვტყობილობთ, სახელოვნო დაწეს. მთავარმართველობას გადაწყვეტილი ჰქონია სისტემატიურად გამოუშვას ასეთი ბიულეტენი. შემდეგ ნომრებში ალბათ რედაქცია იზრუნებს შეიტანოს ქართულ ენაზე არსებული ზოგიერთი ძველად დაწერილი, მაგრამ დღესაც გამოსადგი პიესა, რომელიც ბიულეტენის პირველ გამოცემაში არ არის შესული.

ბიულეტენში მოთავსებულ ზოგიერთ რეცენზიას სტილის მხრივ ცოტა გაშალაშინება აკლია. ადგილ-ადგილ ქართული ენაც მოიკოჭლებს. საერთოდ კი ბიულეტენი მეტად სუფთად და კულტურულად არის გამოცემული.

— : —



# ლიტერატურული ცხოვრება

## უსსრ-ში.

◆ **ხელოვნება და პოლიტიკა.** ბრიუსელის ერთ-ერთმა ჟურნალმა თავის მკითხველებს შორის მოაწყო ანკეტა, რომელიც შეეხება ხელოვნების მუშაკთა მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. ანკეტაში დასმულია შემდეგი კითხვები: 1. შეუძლია თუ არა ხელოვნების მუშაკს მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკაში და თუ შეუძლია, რა ფარგლებში? 2. ვალდებულია თუ არა იგი შეუთანხმოს თავისი მუშაობა იმ პოლიტიკურ მრწამსს, რომელსაც აღიარებს, და 3. ვალდებულია თუ არა პოლიტიკოსი თავის მუშაობაში ანგარიშს უწევდეს თავის ესტეტიურ მიდრეკილებებს.

◆ **პრემია 10 მილიონი ფრანკი.** ბელგიაში მიმდინარე წელს საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებისათვის განკუთვნილი პრემია, ათი მილიონი ფრანკის რაოდენობით, მიესაჯა ედმონდ გლეზენერს, რომელმაც დასწერა რომანი „ქალწული“.

◆ **ვილჰელმ რუბრიკის მოგზაურობის წიგნი.** გრიფფელის გამომცემლობამ ლაიპციგში ამას წინათ გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი, რომელიც გადმოთარგმნილია უძველესი ლათინური ხელნაწერიდან, სახელწოდებით: „ფრანცისკანელი ბერის ვილჰელმ რუბრიკის მოგზაურობა“. ამ ბერმა 1253 — 1255 წლებში იმოგზაურა რუსეთსა და აზიაში და ასწერა მონგოლების ბატონობა. ეს წიგნი ნაწილობრივ დაიბეჭდა 1839 წელს საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ, პარიზში. ხელნაწერი მეტად ძვირფას მასალებს შეიცავს გეოგრაფიული, ყოფა-ცხოვრებით, ისტორიული და ეთნოლოგიური თვალსაზრისით.

◆ **წიგნი სტეფან ცვაიგის შესახებ.** ამ მოკლე ხანში ბერლინში გამოვიდა ერვინ რიგერის ახალი წიგნი სტეფან ცვაიგის შესახებ. წიგნს ეწოდება „ადამიანი და მისი შემოქმედება“.

◆ **ერიხ მიუზამის მოგონებები.** ბერლინში გამოვიდა გერმანელ პროლეტარულ მწერლის, ერიხ მიუზამის მოგონებების წიგნი. მოგონებები შეეხება 1918 წლის რევოლუციონურ ამბებს მიუნხენში.

◆ **ფრა-დიაბოლოს ცხოვრება.** იტალიის ერთ-ერთი გამომცემლობა აქვეყნებს სახელგანთქმულ ბანდიტების ბიოგრაფიების სერიას. ამ სერიიდან პირველი იქნება „ფრა-დიაბოლოს ცხოვრება“. ეს წიგნი ეკუთვნის კარლო ვეიდლიკს.

◆ **ლუიჯი პირანდello.** ცნობილმა იტალიელმა მწერალმა ლუიჯი პირანდelloმ დაშალა თავისი დრამატიული დასი, რომლითაც მან მთელი დედამიწა მოიარა. პირანდello ეხლა ხელს კიდებს კინემატოგრაფს. მას განზრახული აქვს მიმდინარე წლის აგვისტოში წავიდეს გერმანიაში და დასდგას საკუთარი ფილმი, რომლის თემას შეადგენს ამავე მწერლის ცნობილი კომედია „ექვსი პერსონაჟი ავტორის ძიებაში“. ავტორის როლს ამ ფილმაში შეასრულებს თვითონ პირანდello.



◆ **ლიტერატურული კონკურსები ესპანეთში.** ესპანეთის „სალიტერატურო გაზეთი“ აწყობს სალიტერატურო კონკურსებს, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს დამწვებ მწერლებს, ეწყობა კონკურსები საუკეთესო მოთხრობებზე და რომანებზე. საინტერესოა პერიოდული ორგანიზებული კონკურსები საუკეთესო წერილებზე თეატრალური დადგმების, კინემატოგრაფიული სურათების, ლიტერატურული საკითხებისა და ახლად გამოსული წიგნების შესახებ ხელოვნების პრობლემებზე.

◆ **საინტერესო წიგნის ბაზარი.** ამას წინათ ფრანგ მწერალთა ასოციაციამ თავისი ურთიერთ დამხმარე სალაროს გასაძლიერებლად პარიზში მოაწყო მეტად საინტერესო წიგნის ბაზარი. ბაზრობა მოთავსებულია სოლომონ როტშილდის სახლში. წიგნების გაყიდვაში მონაწილეობას ღებულობს 140 მწერალი. ავტორები საკუთარ წარწერას უკეთებენ ყოველ გაყიდულ წიგნს. წიგნების ფასია 25-დან 1000 ფრანკამდე. 1 ივნისს ამ ბაზარზე თავის წიგნებს ჰყიდდნენ კლოდ ფარერი, სოლანდ უელესი, მადამ დენოაილ, ანრი ბერნშტეინი და სხვები. თავის დაწერილ წიგნებს „ომის პრინციპები“ და „ქება ნაპოლეონს“ ჰყიდდა სხვათაშორის მარშალი ფოშიც.

◆ **ლუკ დიურტენი საბჭოთა კავშირის შესახებ.** „Les nouvelles litteraires“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის შესახებ ლუკ დიურტენმა განაცხადა შემდეგი: ევროპის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მთლიანი და სრული ცხოვრება. დღევანდელი ევროპის ცხოვრება ურუსეთით მთლიანი არ არის. ჩვენ მეცნიერული პრინციპებით უნდა მივუდგეთ ამ ქვეყნის შესწავლას, რომელიც ბევრს ჯერ კიდევ წარმოუდგენილი აქვს, როგორც ერთგვარი „შავი ლაქა“. რუსეთი და ამერიკა — ეს ორი გიგანტია, რომლებიც ამჟამათ გამოსული არიან მსოფლიო ავანსცენაზე

## რ უ ს ე თ ი.

◆ **მიმდინარე წლის პრემიები მეცნიერებს.** კომუნისტურ აკადემიასთან არსებობს სპეციალი კომისია რომლის მიზანს შეადგენს ყოველწლიურათ გაანაწილოს ლენინის სახელობის ხუთი პრემია, — თითო 2.000 მანეთის რაოდენობით, მეცნიერების ყველა დარგის საუკეთესო შრომებისათვის. მიმდინარე წელს პრემიებით დაჯილდოვებული იქნენ შემდეგი მეცნიერები: 1. აკადემიკოსი ნიკო მარი — შრომებისათვის ენათმეცნიერების დარგში, 2. პროფ. ნ. ცინგერი — შრომებისათვის ბოტანიკაში, 3. პროფ. ა. არხანგელსკი — გეოლოგიურ ნაშრომებისათვის, 4. ინჟ. ვ. მიტკევიჩი — ელექტრო-ტექნიკის დარგში და აკად. ნ. კურნაკოვი — თხზულებათათვის ქიმიის დარგში.

◆ **ლევ ტოლსტოის იუბილესათვის.** საკავშირო პროფსაბჭოს კულტგანყოფილება შეუდგა სამზადისს ლევ ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის თავის ჩასატარებლად.

◆ **მარქსისტული თეატრმცოდნეობის კომისია.** კომუნისტურ აკადემიასთან არსებულ ლიტერატურისა და ხელოვნების სექციაში გამოყოფილ იქნა მარქსისტული თეატრმცოდნეობის კომისია პ. ნოვიცკის თავჯდომარეობით. კომისიის წევრებათ დამტკიცებული არიან: კერჟენცევი, პლეტნიოვი, ლუნაჩარსკი, შტერნბერგი და სხვ.



◆ **ყოველკვირეული ჟურნალების ტირაჟი.** ამჟამათ საბჭოთა რუსეთში ყოველკვირეულად გამოდის შვიდი დასურათებული ჟურნალი. მათი საერთო ტირაჟი უდრის 1.185.000 ცალს.

◆ **ნ. ჩერნიშევსკის დაბადების 100 წლისთავი.** მიმდინარე წლის 24 ივლისს სრულდება 100 წელიწადი, რაც დაიბადა გამოჩენილი პუბლიცისტი ჩერნიშევსკი. საბჭოთა სამეცნიერო და საზოგადოებრივი დაწესებულებები აპირებენ მისი ხსოვნისა და დამსახურების აღსანიშნავად ჩაატარონ სპეციალი საზეიმო დღეები შემოდგომაზე, ოქტომბერში. ჩერნიშევსკის იუბილეს მოსაწყობათ უკვე შემდგარია კომისია, მ. პოკროვსკის თავმჯდომარეობით.

◆ **ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემა.** ჩერნიშევსკის პოპულარიზაციის მიზნით რუსეთის სახელგამი სცემს მის რჩეულ თხზულებათა კრებულს 5 ტომით და აგრეთვე ჩერნიშევსკის „ლიტერატურულ მემკვიდრეობას“ 3 ტომით. ამ უკანასკნელში შევა ჩერნიშევსკის დღიურები, წერილები და სხვა ჯერ დაუბეჭდავი მასალები. პირველი ტომი უკვე გამოვიდა. განსაკუთრებით ამ გამოცემაში აღსანიშნავია ჩერნიშევსკის დღიური, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, თუ როგორ შემუშავდა ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობა, გარდა ამისა ეს დღიური წარმოადგენს წარსული ეპოქის უშესანიშნავეს ძეგლს.

◆ **ჩერნიშევსკის ხსოვნისათვის.** საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საჭირო თანხები გადასდო ჩერნიშევსკის სახლის შესაკეთებლად ქ. სარატოვში, სადაც მწერალმა გაატარა თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები და გარდაიცვალა. თანხების ნაწილი მოხმარდება აგრეთვე ჩერნიშევსკისათვის მიძღვნილი კრებულის გამოცემას.

◆ **იაპონური და ჩინური საბავშვო წიგნების გამოფენა.** სექტემბერში მოსკოვში გაიხსნება იაპონური და ჩინური საბავშვო წიგნების გამოფენა. გამოფენას აწყობს კულტურ. კავშირის საკავშირო საზ — ბა. მოკლე ხანში მოელიან ექსპონატებს იაპონიიდან.

◆ **ლიტერატურული ყოფა-ცხოვრების შესწავლა.** ხელოვნების ისტორიის სახელმწიფო ინსტიტუტში, ლენინგრადში დაარსებულია სპეციალური სემინარი, რომლის მიზანია წარსული საუკუნის ლიტერატურული ყოფის შესწავლა. შესწავლის ობიექტს წარმოადგენს — ლიტერატურული ცხოვრება რუსეთის მწერლებისა და ლიტერატორების, აგრეთვე მწერალთა ჯგუფებისა და წრეების, როგორც იყო მაგალითად სტანკევიჩის წრე; ცხოვრება და მუშაობა სხვადასხვა ჟურნალების რედაქციებისა, ურთიერთობა გამომცემლებსა, რედაქტორებსა და მწერლებს შორის. ამ სემინარში სწავლობენ აგრეთვე მე-XIX ს. საავტორო კონორარის საკითხებს, მწერალთა საჯარო გამოსვლებს, სალიტერატურო კარიკატურის განვითარებას და სხვა საკითხებს. სამეცნიერო კვლევა-ძიებასთან ერთად ადვენენ ლიტერატურულ ყოფასთან დაკავშირებულ მასალების ბიბლიოგრაფიას. სემინარის ნამუშევარი გამოცემული იქნება ცალკე წიგნებით.

◆ **გ. პლехანოვის წიგნთსაცავი.** რუსეთის სახკომსაბჭომ გადასდო თანხები გიორგი პლехანოვის წიგნთსაცავის გადმოსატანათ პარიზიდან საბჭოთა კავშირში.

◆ **მწერალთა ბინების მშენებლობისათვის.** კომუნალური მეურნეობის მთავარმა სამმართველომ მიზანშეწონილად სცნო საბჭოთა მწერლების ფედერაციას საბინაო მშენებლობისათვის მისცეს გრძელვადიანი სესხი.

◆ **მსოფლიო საისტორიო კონგრესზე.** საკავშირო სამეცნიერო აკადემია მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო საისტორიო კონგრესზე, რომელიც მოწვეულია



ქ. ოსლოში მიმდ. წლის 14 აგვისტოს. მსოფლიო საისტორიო კონგრესების კომიტეტში კოოპტაციით შესული არიან აკადემიკოსები ოლდენბურგი და ტარლე.

◆ **ახალი სამხატვრო გაერთიანება — „ოქტომბერი“.** ახლო წარსულში მოსკოვში დაარსდა ახალი სამხატვრო გაერთიანება სახელწოდებით „ოქტომბერი“. გაერთიანებამ უკვე გამოაქვეყნა თავისი დეკლარაცია. გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს ჭეშმარიტად — რევოლუციონური, ე. ი. პროლეტარული მიმდინარეობების წარმატებას სივრცითი ხელოვნების ყველა სფეროებში, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მთელ მსოფლიოში. გაერთიანებაში შედიან: არქიტექტურის, საინდუსტრიო ხელოვნების, კინემატოგრაფიის, ფოტოგრაფიის, მხატვრობის, გრაფიკის და სკულპტურის, ის ოსტატები-მწარმოებლები, რომლებიც მზათ არიან თავისი შემოქმედებითი მუშაობა დაუქვემდებარონ პროლეტარიატის კონკრეტ მოთხოვნილებებს იდეოლოგიური პროპაგანდის, წარმოების და კოლექტიური ყოფის გაფორმების სფეროში; ამ გაერთიანებაში დამფუძნებელ წევრებათ შედიან სხვათა შორის უკვე საკმაოდ ცნობილი ოსტატი-მწარმოებლები, ხელოვნებათ-მცოდნეები და კრიტიკოსები: ძმები ვესნინები, ალექსეი განი, მ. გინზბურგი, ა. კურელა, ი. მაცა, ესფირ შუბი, ს. ეიზენშტეინი და სხვები.

◆ **ახრ-ის დეკლარაცია.** ამას წინათ დამთავრდა ახრ-ის საკვშირო ყრილობა, რომელმაც გამოიტანა დადგენილება შეეცვალოს სახელწოდება რევოლუციონური რუსეთის მხატვართა ასოციაციის და ნაცვლად ამისა დაერქვას რევოლუციის მხატვართა ასოციაცია. ახრ-მა გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც ასოციაციის მიზნად დასახულა ახალი ფორმალური მიღწევები და ახალი შინაარსით შექმნან ეპოქის გამომხატველი მონუმენტალური სტილი, სტილი ეგ. წ. გმირული რეალიზმისა.

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო .

◆ **ვაჟა-ფშაველას ლექსები.** გამოვიდა გასასყიდათ ვაჟა-ფშაველას ლექსების ტომი, გამოცემა სახელგამის.

◆ **კოსტანტინე გამსახურდიას ახალი წიგნები.** 1. გოეტე. მონოგრაფია. 2. ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი თარგმნილი გერმანულით. მთარგმნელისავე წინასიტყვაობით. გამომცემლობა „ქართული წიგნი“ 3. „ტაბუ“ ნოველა. ლადო გულიაშვილის ილიუსტრაციით. გამოცემა „კოლექცია რენესანსი“.

**ახალი კომედია.** პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე სწერს კომედიას „პარნასი“; პირველი ნაწილი უკვე დამთავრებულია და წაკითხულ იქნა ლიტერატორთა წრეში.

◆ **აკაკი პაპავას მოთხრობები.** გამოვიდა აკაკი პაპავას მოთხრობების პირველი წიგნი. მეორე წიგნში დაიბეჭდება მოთხრობა „ნახშირის ხაზები“.

◆ **გრიგოლ ვეშაპელის წერილების კრებული.** სახელგამმა გამოსცა გრიგოლ ვეშაპელის პუბლიცისტური წერილების კრებული „ახალი საქართველო“.

◆ **ელ. პოლუმორდვინოვის მოთხრობები რუსულათ.** რუსეთის სახელგამმა დასაბეჭდათ მიიღო ელიზბარ პოლუმორდვინოვის მოთხრობების წიგნი.

— : —